# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 6 იანვარი, 2009 წელი.

№ 1 (6102)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ქინძზე დაკიდებული ავტორიტეტი

ამბობენ, მართალია?



პრეზიდენტი სცემს პრემიერ-მინისტრს... იმდენად ველური სურათი იხატება, დაჯერება კი არა, წარმოდგენაც ჭირს.

სად ვართ, ცენტრალურ აფრიკის რესპუბლიკაში „იმპერატორ“ ბოკასას დროს, რომელიც ხელქვეითებს... ჭამდა?

3

## „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!“

7

„აღხოცენ ცოდვანი ჩვენნი“

## პატრიარქი და პრეზიდენტი

რას ფიქრობს ხალხი?

5



## მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია...

14

## ენანაყივლო სადღეგრძელო,



4

ჩვენს საახალწლოდ გულაჩუყებულ პრეზიდენტს „ჩარეცხილებისთვის“ საახალწლო საჩუქრები დაურიგებია (ზოგის კალათაში შამპანურთან და კონიაკთან ერთად ყვითელი ინდაურიც ყოფილა!). მგონი, გადავრჩი... კიდევ კარგი, პრეზიდენტის ძღვენი მეც არ შემხვდა, თორემ ამ, ცოტა არ იყოს, ეკლიანი წერილის დაწერა „დასაჩუქრებულ-მოქრთამულს“ ნამდვილად უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენებდა

„როიტერი“ აქვეყნებს დოკუმენტს:

## წლის პოლიტიკური სირცხვილი – მიხეილ სააკაშვილი



10

## ბუნდოვანი ამნისტია, ბუნდოვანი მომავალი



12

## როცა პურის მაგივრად ტყუილს აცხობენ

11

## კმარა დათვის გალიზიანება




Newsweek

10

**განსჯა**



**ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებულ მოვლენებს უცხოეთში მცხოვრები არც ერთი ქართველი არ დაუტოვებია გულგრილი. რუსეთის სამხედრო აგრესიის პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში თითქმის უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა ხმაური ანი საპროტესტო აქციები ლოზუნგით — STOP RUSSIA. ომის შემდგომ კი ქართულმა დიასპორამ დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად სერიოზული სამუშაო ჩაატარა.**

**დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში დარწმუნებულნი არიან, რომ ქართული დიასპორა საკმაოდ ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს.**

**ამასთან დაკავშირებით ჯი-ეიჩ-ენი დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს იულონ გაგოშიძეს ესაუბრა.**

# იულონ გაგოშიძე: ქართულმა დიასპორამ დაამტკიცა, რომ ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალაა

**— ბატონო იულონ, რამდენად ძლიერია ქართული დიასპორა?**

— აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა გვაჩვენა, რომ ჩვენი დიასპორა ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალაა, რომელსაც დიდი ლობირება შეუძლია გაუწიოს საქართველოს ინტერესებს მთელ მსოფლიოში. ნოემბრის მოვლენების დროს 36 ქვეყანაში მცხოვრებმა ქართველებმა მიიღეს მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის მხარდასაჭერ აქციებში. საპროტესტო გამოსვლების ინიციატივა მათგან მოდიოდა, მაგრამ ინიციატივების კოორდინაცია ეს უკვე ჩვენი აპარატის დამსახურებაა. მაგალითად, ლონდონის ქართული დიასპორის ინიციატივა იყო „გრინვიჩის" დროით 17:00 საათზე მთელი მსოფლიოს ქართველობა ერთად გამოსულიყო საქართველოს მხარდასაჭერად. შემდეგ იყო აქცია საფრანგეთის ქართული დიასპორის ინიციატივით „ვიმღეროთ საქართველოსთვის", შემდეგ პატრიარქის ინიციატივა — ცოცხალი ჯაჭვი საქართველოს მხარდასაჭერად, ხელი ხელს ჩაჭიდებული ჯაჭვი გავაკეთეთ და სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართველები საქართველოს მხარდასაჭერად ცოცხალ ჯაჭვში ჩადგნენ.

დიასპორის აპარატის შექმნით მთელ მსოფლიოში გაფანტულმა ქართველებმა დაინახეს, რომ საქართველო მათ ქვეყნის ორგანულ ნაწილად თვლის, ფიქრობს და ზრუნავს მათზე. აფასებს მათ ღვაწლს ქვეყნის წინაშე.




ქართული დიასპორის ღვაწლი ჩვენი ქვეყნისადმი ძალიან დიდია. გარდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მხარდაჭერისა, დიასპორამ ჩვენი ქვეყანა პრაქტიკულად შიმშილისგან იხსნა. ახალ მიგრანტებს ვგულისხმობ, რომლებიც გაჭირვებამ გაიყვანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ისინი შემდეგ იქიდან თავის ნაშრომს აგზავნიდნენ სამშობლოში.

**— როგორ კონტაქტობთ საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებთან?**

— ჩვენ კავშირი გვაქვს დიასპორის ორგანიზაციებთან, სათვისტომოებთან, კულტურის ცენტრებთან, ეკლესიის მრევლთან და ა.შ. სხვადასხვა ფორმის ორგანიზაციებია შექმნილი საქართველოდან წასული ჩვენი მოქალაქეების მიერ. თითო ქვეყანაში რამდენიმე ასეთი ორგანიზაციაა. ახლა დავიწყეთ ვებ-პორტალის ამუშავება, რომელიც ძალიან გაგვიადვილებს მუშაობას, იმიტომ რომ კონტაქტები გაადვილდება. ვებ-პორტალში ყველა ჩვენთან დაკავშირებულ ორგანიზაციას თავისი გვერდი ექნება, თვითონ შევა და თვითონ იმუშავებს. შეივსება მონაცემთა ბაზა და საბოლოო ჯამში პორტალის საშუალებით გავაერთიანებთ მთელ ქართულ დიასპორას მსოფლიოში.

აპარატი რომ შეიქმნა, დიასპორასთან ურთიერთობის გამოცდილება ცოტა გვქონდა, ამიტომ დავიწყეთ გაცნობა. ჩვენი აპარატიდან სამუშაო ვიზიტები განხორციელდა. ეს ყველაფერი ამ მიზანს ემსახურებოდა. გაცნობა და უშუალო კონტაქტი იმისთვის არის საჭირო, რომ გავიგოთ იმათ რა სჭირდებათ და ჩვენ რითი შეგვიძლია დავეხმაროთ. ვიზიტებმა დამარწმუნა, რომ საზღვარგარეთ წასული ქართველობა, ჩვენი მოქალაქეები კარგად ხედავენ ჩვენში მიმდინარე მოვლენებს და ძალიან განიცდიან. ყველაფერი რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, უშუალოდ ეხება ჩვენს დიასპორას. ჩვენ აქ ვართ და შეგვიძლია რაღაც გავაკეთოთ ჩვენი ქვეყნისთვის, ხოლო შორ მანძილზე ეს უფრო რთულია. აი, მაგალითად, ომის დროს უცხოეთში მცხოვრები ქართველები მოხალისეების სიებს ადგენდნენ, რომ ბრძოლაში მიეღოთ მონაწილეობა. ფრანგი მიგრანტის შვილიშვილი ჩამოვიდა აქ საომრად და იომა კიდეც. აი, ასეთი განწყობაც იყო, იქ უფრო მძაფრად განიცდიან ჩვენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. მათი წერილებიდანაც ჩანს.

**— რამდენი ცხოვრობს თურქეთში?**

— 2000 წლის ოფიციალური თურქული წყაროების მიხედვით 2 მილიონამდე გურჯი ცხოვრობს თურქეთში. ხალხი, რომელსაც ახლოვთ ქართული წარმომავლობა და მშობლიური ენა ქართული აქვთ, აგვისტოს მოვლენების დროს ძალიან გააქტიურდა თურქეთის ქართველობა და აქაც ვხედავ ჩვენი აპარატის შექმნის გადაწყვეტილებას, რამაც გარკვეული როლი შეასრულა დიასპორის აქტიურობის საქმეში. დიასპორის საკითხში სახელმწიფო მინისტრის რანგით რომ ვესტუმრე, გავიარეთ თურქეთის საქართველო. მარმარილოს ზღვის სანაპიროზე, რამდენიმე ათეული ქართული სოფელია. ზემო აჭარა გეგონებათ. მიუხედავად იმისა, რომ კლიმატი განსხვავებულია, აქაც ფეხებზე შემდგარი შენობებია. ძირითადად აჭარელი მუჰაჯირების შთამომავლები ცხოვრობენ კომპაქტურად ამ სოფლებში. ზღაპრული შეხვედრები იყო ქალაქებში ინეგოლში, იზნიქი ბურსაში, გერჯუკში, ორქანზში. ყველგან ქართული ორგანიზაციებია. თავის თავს „ჩვენებურებს" ეძახიან, ძალიან აქტიური მოქალაქეები არიან, მაგალითად ქალაქ ინეგოლში უკვე 20 წელია მერი ყოველთვის ქართველია. განათლება და კულტურის სფერო ქართველებს უჭირავთ ხელში. უნივერსიტეტებში ბევრი ქართველი პროფესორია, მთავრობაშიც რამდენიმე ქართველი მინისტრია, ძალიან ბევრია დეპუტატები. სტამბულში რამდენიმე ქართული ორგანიზაციაა.

საერთოდ, თურქეთის ქართველობა თავისი ფესვებით, გულით დაკავშირებულია საქართველოსთან და ძალიან ბევრს ფიქრობს საქართველოზე. ადრე ეს შორეული ოცნებასავით იყო. საზღვარი რომ გაიხსნა, ჩვენს შორის კონტაქტი გამყარდა. ხელახლა დავინახეთ ერთმანეთი. ისინი ჩვენი ხალხია, ჩვენებურები არიან. ზემოთ აღვნიშნე, რომ აგვისტოს მოვლენების დროს პოლიტიკური ძალა გახდა ჩვენი დიასპორა, აჩვენა რომ დიდი ძალაა. თურქეთის ქართველებმაც აჩვენეს, რომ ისინი საქართველოს მხარეს არიან.

ერთ სფეროშიც ძალიან მნიშვნელოვანია მათი წვლილი: თურქეთში ძალიან დიდი, აფხაზური დიასპორაა აფხაზეთიდან დევნილი მუჰაჯირების შთამომავლები, რომლებიც რუსებმა განდევნეს აფხაზეთიდან. ქართულ დიასპორას აფხაზურ დიასპორასთან ძალიან მეგობრული, ახლო, მჭიდრო ნათესაური ურთიერთობა აქვთ, ასე რომ, ამ თვალსაზრისითაც ისინი ჩვენ მხარში ამოგვიდგებიან აფხაზებთან ურთიერთობის გამოსასწორებლად.

**— როგორ ეხმარებით ქართულ დიასპორას? რა პროექტები ხორციელდება?**

— ყველაზე მეტად უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს ენის შენარჩუნება სჭირდებათ. ამიტომ საკვირაო სკოლებს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა, ასეთი სკოლები ბევრი არსებობს და ეს იქაური ქართველების ინიციატივაა. ჩვენ მათ სასწავლო სახელმძღვანელოებით ვეხმარებით. ვფიქრობ, ბავშვებისთვის საჭიროა საბავშო ბაღების მოწყობაც, რათა ქართულად დაიწყონ ლაპარაკი, პირველი სიტყვა ქართულად თქვან.

ძალიან ბევრი მეცნიერია წასული ქვეყნიდან, სხვადასხვა სფეროს ბევრი კარგი სპეციალისტი. ამიტომ, განხორციელდება პროექტი, რომლის ფარგლებშიც ქვეყნიდან გასული სპეციალისტები სამშობლოში სამუშაოდ დაბრუნდებიან, პროექტს ჰოლანდიის მთავრობა აფინანსებს. თუ რაიმე გრანტი მოდის საქართველოში იმას გამოაყოლონ ექსპერტად, ან სპეციალისტად ისევე ქართველი იმ ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც გაცილებით ნაკლებ თანხად იმუშავებს, გზისა და ცხოვრების ხარჯების ანაზღაურებით ჩამოვა აქ. კიდევ: ქართველი სპეციალისტი აქაურ სიტუაციას კარგად იცნობს, ენა იცის, აქაურ ურთიერთობას უფრო კარგად დაამყარებს და შესაძლებელია დარჩეს კიდეც აქ. ამ პროექტზე ვისაუბრეთ ჰოლანდიაში და ახლა მოვიდა იქიდან წერილი რომ, იქაური მთავრობა დათანხმდა ამ საქმეს.

ესაუბრა
**ქეთი ხიდიშელი**

**მილოცვა**



**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი სიყვარულითა და პატივისცემით დაბადების დღეს ულოცავს უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, ერის იმედსა და სულიერ მოძღვარს, უსურვებს დღეგრძელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

მერაბ ბერძენიშვილი

**ინფორმაცია**

## ქარტიას ხელი 9 იანვარს მოეწერება

**საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას 9 იანვარს მოეწერება ხელი. ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს.**

**დოკუმენტს ვაშინგტონში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე გააფორმებენ. მინისტრი ვაშინგტონში უახლოეს დღეებში გაემგზავრება.**

**ქარტიაზე ხელმოწერა 4 იანვრისთვის იყო დაგეგმილი, თუმცა კონდოლიზა რაისის ახლო აღმოსავლეთში გამგზავრების გამო გადაიდო.**

**დოკუმენტი ითვალისწინებს ორ სახელმწიფოს შორის პატრნიორობის გაღრმავებასა და თანამშრომლობის გაფართოებას თავდაცვის, უსაფრთხოების, ეკონომიკის, ენერგეტიკის, დემოკრატიული რეფორმების, დიპლომატიისა და კულტურის სფეროებში.**

## ბუბა კიკაბიძე სააკაშვილის მკვლელობის შეკვეთაზე საუბრობს

**ქართველი მომღერალი ბუბა კიკაბიძე შიშობს, რომ მიხეილ სააკაშვილის მკვლელობას შეუკვეთავენ. ამის შესახებ მომღერალმა რუსულ გაზეთ „გორდონის ბულვარისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. კიკაბიძე რუსეთის ხელისუფლების ქმედებებს კიდევ ერთხელ აკრიტიკებს და აგვისტოს მოვლენების შემდეგ, საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.**

**მისი თქმით, მას შემდეგ, რაც საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანა დაიწყო, სამეგრელოს რეგიონში ჩამოიყარა პროკლამაციები. მათში აღნიშნული იყო, რომ თუ ხელისუფლებიდან წავიდოდა პრეზიდენტი სააკაშვილი, მაშინ მოსახლეობისთვის ნორმალური საარსებო პირობები შეიქმნებოდა.**

**ამ პროკლამაციებში დასახელებული იყო ნინო ბურჯანაძე, როგორც შემცვლელი ხელისუფალი. ასეთი ქმედება სხვა არაფერია, თუ არა რუსეთის მხრიდან საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევა, — განაცხადა კიკაბიძემ.**

**მისივე თქმით, იგი დადებითად აფასებს ნინო ბურჯანაძის პიროვნებას, თუმცა აქვე დასძენს, რომ არ შეიძლება რუსეთი ცდილობდეს საქართველოს ხელისუფალი მისთვის უფრო მისაღები პირით შეცვალოს.**

**მომწონს თუ არა სააკაშვილი, ეს ჩემი პრობლემაა. მე არასდროს გავაკრიტიკებ სხვა ქვეყნის ხელისუფალს, ვინაიდან ეს შეურაცხმყოფელია უშუალოდ იმ ხალხისა და მათი არჩევანის. პუტინმა უკვე შეიძინა ახალი სახელი, მას „რუსეთის პრეზიდენტის სააქციო საზოგადოების გენერალურ დირექტორს" უწოდებენ. სადამდე გაგრძელდება ასეთი დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის მიმართ, არ ვიცი. მე მაგალითად, ვშიშობ, რომ მიხეილ სააკაშვილის მკვლელობა არ შუკვეთონ, — განაცხადა კიკაბიძემ.**

ინტერპრესნიუსი

ამბობენ , მართალია?

# ქინძზე დაკიდებული ავტორიტეტი

**ჭორი მთიდან დაგორებული თოვლის გუნდასავით არის, თვალთვალ იზრდება და ბოლოს მთელი ფერდობი მოაქვს ტყიან-ლოდებიანად.**

ჭორი წყალში ჩაგდებული კენჭით ამოძრავებულ წრესავით არის: ფართოვდება, ფართოვდება...

დაკვირვება გვიჩვენებს: ჭორი განსაკუთრებით სწრაფად და ფერადოვნად ახალი წლის წინა დღეებში ვრცელდება.

ალბათ იმიტომ, რომ ზეიმისთვის მზადების დამღლელ პროცესში ფასების დაუოკებელი ზრდით ნერვებდაწყვეტილი მოქალაქე ყოველ მითქმა-მოთქმას კანით შეიგრძნობს.

ჰოდა, ახლახან პირდაპირ რადიოთი გამოცხადებულივით საყოველთაოდ (სრულიად რესპუბლიკური მასშტაბითძ გაიგრიალა ცნობამ, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჯერ თვითონ, თავისი ხელით სცემა ახალდანიშნული პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მგალობლიშვილი, შემდეგ ყორჩებს მიუგდო დასამატებლად, დაცვის კუნთებმაგარი და გონებასუსტი ბიჭები კი ისე ერთგულად გაისარჯნენ, რომ ჭაბუკი პრემიერი სასწრაფოდ გერმანიაში გასაქანებელი გახდა თირკმლების სამკურნალოდო.

ჭორი ორგვარია: თავანკარა ტყუილი და რაღაც სიმართლის შემცველი.

პირადად მე აგორებული ხმა ქვეყნის პირველი პირის მიერ ქვეყნის მესამე პირისთვის თავში მობილური ტელეფონის სროლისა და მისთვის დაცვის ოფიცრების ბათინკებით თირკმლების ჩანგრევის შესახებ, ხალასი სიცრუე მგონია.

მაგრამ მთელ ამ ამბავში მთავარი ის სულაც არ არის, სცემა თუ არ სცემა, უდავოდ „ღირებული" სხვა გახლავთ: ხალხი ძალზე იოლად უშვებს ალბათობას, რომ შეიძლება პრეზიდენტმა სცემოს (!ძ პრემიერი („თუ დააშავა, მა რა უნდა ექნა!"ძ, ან, ვთქვათ ადგილზე (სამუშაო ადგილზეა ლაპარაკიძ დოსტოლრივ დააორსულოს ან ისე, შემდგომი გართულებების გარეშე, მიუდგეს თანაპარტიელ და თანაკანცელარიელ ჭყინტ გოგონებსა თუ გამოცდილ ქალბატონებს (ამასაც ხომ უხვად და ენაწყლიანად ლაპარაკობენძ.

დაორსულებით თუ დაუორსულებლად თანამშრომლებთან არასაშტატო ურთიერთობა კიდევ ჯანდაბას („კაცი ხარ და უნდა გაუგო კაცს, ჩემო ევგენი"ძ! ამ „სახადით", მოგეხსენებათ, ჩვენი საყვარელი და მისაბაძად დასახულ-შესანატრი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი კლინტონიც სცოდავდა (გაუკუღმართებულადაც კი!ძ ცოლის, აწ უკვე სახელმწიფო მდივნის ჰილარის ლამის თვალწინ, მაგრამ ხელისუფლების უმაღლეს სფეროებში ცემა-ტყეპა?

პრეზიდენტი სცემს პრემიერმინისტრს – იმდენად ველური სურათი იხატება, დაჯერება კი არა, წარმოდგენაც არ გინდა.

სად ვართ, ცენტრალურ აფრიკის რესპუბლიკაში „იმპერატორ" ბოკასას დროს, რომელიც ხელქვეითებს... ჭამდა?

გავიმეოროთ: ხალხი იმაზე კი არ დავობს, მართლა სცემა თუ არაო, არამედ – ნეტა რატომ სცემაო (ისე, პოსტვარდებისრევოლუციის ეპოქაში ცხვირპირში იმდენი ხათქა-ხუთქი ვნახეთ ტელევიზიით თუნდაც პარლამენტში, ნაცმოძრაობა მუშტით ისე ყოჩაღად იმკვიდრებდა ადგილს მზის ქვეშ, რა უნდა გაგვიკვირდეს!.

ვაი, უბედურო საქართველოვ, თუ მართლა სცემა და უი, უბედური საქართველოვ, თუ არ სცემა და ასეთი აღვირახსნილი ჭორი დააბიჯებს ქვეყანაში, როგორც ერთ დროს აჩრდილი კომუნიზმისა დააბიჯებდა (უფრო სწორად, ეგონათ, დააბიჯებსოძ ევროპაში.



ყველა ვითარებაში ცხადი ხდება, რომ ქვეყნის ხელმძღვანელის და მთლიანად ხელმძღვანელობის ავტორიტეტი, როგორც ცხონებული ჩვენი კოლეგა გია ჭელიძე იტყოდა, ქინძზე ჰკიდია.

იმასაც ამბობენ, საახალწლოდ რომ ნაცმოძრაობამ თავი მოიქაჩლა და ინტელიგენციის (პრინციპში – ჩარეცხილების!ძ ერთ ნაწილს (ზუსტი რაოდენობა სახელმწიფო საიდუმლოებააძ საჩუქრებიანი კალათები დაურიგა პრეზიდენტის ხელმოწერილი მისალოცი ბარათებით, სწორედ ამ ჭორის „გადაფარვის" ცდა იყოო.

ცუდია, როცა კარგსაც ცუდად ჩაგითვლიან.

ნამდვილად მოსაწონი ჟესტია საახალწლო საჩუქრების ჩამორიგება (სახლში მირთმევაძ ალბათ რამდენიმე ასეული ღვაწლმოსილი ადამიანისთვის, რომლებსაც გუშინ საკანალიზაციო ქსელში უპირებდნენ ჩაშვებას, თანაც როცა ეს საჩუქარი მართლაც ღირებულია.

ცნობისთვის: კალათები, რომლებიც თავისთავად ძვირფასი და მართლაც სასაჩუქრო იყო, შიგთავსის მიხედვით ორ ვარიანტად გახლდათ წარმოდგენილი: 1. შამპანურ-კონიაკ-ბომბონერებიანი და 2. ინდაურ-ტკბილეულიანი.

არ ვიცი, იქნებ მესამე ვარიანტიც – გოჭებიანი სპეცკალათებიც იყო.

ვინც დასასაჩუქრებელთა სია შეადგინა, ალბათ წინასწარ გამოთვალა დედექციური ანალიზის შედეგად, ვის რა გაუხარდებოდა და წაადგებოდა საახალწლოდ: ინდაური თუ შამპანური...

ნამდვილად არ არის ურიგო ღონისძიება, მაგრამ სხვა დროს რომ მსგავსი არაფერი მოსვლიათ თავში, იმ ნაბომბარ-ნახანძრალი და დაქცეული 2008 წლის მიწურულს რა ოქროს ძარღვს მიაგნეს?

ან – იმ ხალხსაც რატომ არ ჩამოურიგეს საჩუქრები „შემოვლის ფურცლებთან" ერთად, ვინც უკვე გაყარეს სამსახურიდან მსოფლიო-რესპუბლიკური ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისის კვირაძალზე? (თუმცა პრეზიდენტმა შემოგვფიცა, კრიზისი ჩვენ არ შეგვეხება, ისეთი გენიალური ჩანაფიქრი მიდევს „ზაგაჟნიკში", თქვენ ოღონდ მე მომყევით და პოლიტიკური სტაბილურობა არ ამირ-დამირიოთ ოპოზიციის ბოროტ ზრახვებს აყოლითოძ;

ან – დევნილებს (ძველებს და ახლებსძ არ ეკუთვნოდათ მოკითხვა და გულის გათბობა?

ერთი სიტყვით, ეს საპრეზიდენტო საჩუქრებიც კითხვის ნიშნებს აღძრავს (ვისო, რამდენსო, რა ნიშნითო...ძ ამ ჩვენს ერთიან კითხვის ნიშნად ქცეულ საზოგადოებაში.

მაგრამ, ასეა თუ ისე, საჩუქრებით თუ უსაჩუქრებოდ, ახალი წელი მაინც მოვიდა და ათასი საზრუნავიც მოგვიტან-მოგვიმატა.

მაგრამ ისეთი რა უნდა იყოს, იმასაც ვერ გავუძლოთ! ამდენ ნაციონალურ ვარდთა და ნეხვთა ამტანმა ხალხმა.

ჰოდა, ახალ წელს გილოცავთ, მეგობრებო!

**სანდრო ალექსიძე**

გამოკითხვა

# 2009 წელს ოპტიმიზმით შეხვდა რესპონდენტთა მხოლოდ 31 პროცენტი

**ახალი ამბების სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენ"-ის დაკვეთით, საკონსულტაციო ჯგუფმა „პსპ"-მ ტრადიციული საახალწლო გამოკითხვა ჩაატარა, რომელშიც 1128 რესპონდენტი მონაწილეობდა.**

2008 წელი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ უარყოფითად შეაფასა და 2009 წლის დადგომაში ოპტიმიზმს ვერ ხედავს.

**რესპონდენტების 63 პროცენტის აზრით, პირადად მისთვის და ქვეყნისთვის 2008 წელი უაღრესად უარყოფითი იყო. მომავალ 2009 წელს ოპტიმიზმით რესპოდენტების 31 პროცენტი ელოდება, ხოლო 57 პროცენტი ფიქრობს, რომ 2008 წლის პრობლემები 2009 წელს გადაჰყვება და მათი ცხოვრების დონე კიდევ უფრო გაუარესდება.**

გამოკითხულთა 62 პროცენტი ყველაზე დიდ პრობლემად კრედიტების დაფარვასთან დაკავშირებულ საკითხს და ამის გამო 2009 წელს შესაძლო გართულებებს ასახელებს.

**გამოკითხულთა მხოლოდ 28 პროცენტი იმედოვნებს, რომ 2009 წელს ქვეყანაში ვითარება დადებითად შეიცვლება.** ვითარების გაუარესებას ვარაუდობს რესპონდენტების 43 პროცენტი, ხოლო ვითარების უცვლელად დარჩენას – 29 პროცენტი.



2006-2007 წლებთან შედარებით, ახალი წლის დადგომას სადღესასწაულო განწყობით მოსახლეობის გაცილებით ნაკლები რაოდენობა შეხვდა – 29 პროცენტი. 2007 წლის დეკემბერში ეს ციფრი 47 პროცენტი იყო, ხოლო 2006 წელს – 43.

ახალი წელი ჩვეულებრივი დღე აღმოჩნდა გამოკითხულთა 38 პროცენტისათვის, როდესაც შარშან ეს მაჩვენებელი გაცილებით ნაკლები – 24 პროცენტი, ხოლო 2006 წელს 23 პროცენტი იყო.

**გამოკითხულთა 42 პროცენტმა ვერ შეძლო ტრადიციული ქართული სუფრის დამშვენება გოჭით, ინდაურით, საცივით, გოზინაყით. შარშან, დეკემბერში კი ამის საშუალება 36 პროცენტს არ ჰქონდა.**

ქართულ ჩოხაში გამოწყობილ თოვლის პაპას რესპონდენტთა 41 პროცენტმა, ხოლო სანტა კლაუსს – 20 პროცენტმა მიანიჭა უპირატესობა. ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა რესპონდენტთა 39 პროცენტისთვის.

წლეულს, სასურველი ნაძვის ხე შეიძინა გამოკითხულთა 28 პროცენტმა, შარშან და შარშანწინ ეს ციფრი 34 და შესაბამისად – 32 პროცენტი იყო. ახალი ნაძვის ხის გარეშე დარჩა 31 პროცენტი, ხოლო შენაძენით უკმაყოფილოა გამოკითხულთა 41 პროცენტი.

ასე რომ, ამ ციფრების მიხედვით, იმედი საგრძნობლად ნაკლებია. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს იმედიო, – ამბობდნენ ჩვენი წინაპრები. იმედია, ხარის ფესვძლიერი წელიწადი გულგატეხილთა რაოდენობას შეამცირებს.

**ნატა ნიბლაძე**

ინფორმაცია

## სახელმწიფო მოხელეთა თავაშვებულება უნდა შეწყდეს!

**„მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" სახალხო დამცველის მიერ პარლამენტში წარდგენილ ანგარიშს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად აფასებს.**

**როგორც ყოფილი პრემიერის ზურაბ ნოღაიდელის პოლიტიკურ მოძრაობაში განაცხადეს, ანგარიშში მოყვანილი ფაქტები სასამართლო კანონდარღვევების, სიტყვის თავისუფლების ხელყოფის, თითქმის ყველა სფეროში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების შესახებ მკვეთრად მიანიშნებს ქვეყანაში ხელისუფლების თავაშვებულ ქმედებებზე.**

**„მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" მოუწოდებს პრეზიდენტს, პარლამენტსა და მთავრობას, ყურადღებით შეისწავლონ აღნიშნული ფაქტები, გამოიძიონ და დასაჯონ დამნაშავეები.**

**– ეს ხელისუფლება უნდა მიხვდეს, რომ ამგვარი საკითხების უგულებელყოფა კიდევ უფრო აძლიერებს და ამკვიდრებს სახელმწიფო მოხელეთა თავაშვებულობას და ქმნის მათ შორის დაუსჯელობის სინდრომს, რაც საბოლოოდ ამ ხელისუფლების კრახით დასრულდება, – აღნიშნულია მოძრაობის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.**

## გაიტაცეს და შემდეგ მოკლეს

**ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონადან გუშინ გატაცებული დემურ ქირია, გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ დილით გარდაცვლილი იპოვეს.**



**გალის რაიონის სოფელ თაგილონის ტერიტორიიდან ქირიას სახლს რამდენიმე შეიარაღებული პირი დაესხა თავს.**

**სახლიდან წაიღეს ფული, ძვირფასეულობა და თან წაიყვანეს ოჯახის უფროსი დემურ ქირია.**

**არსებული ინფორმაციით, დემურ ქირიამ გამტაცებლებს წინააღმდეგობა გაუწია, რის შემდეგაც იგი მოკლეს.**

ინტერპრესნიუსი

## ნატვრა მაქვს სანატრელისა

# ენანაყივლი სადღეგრძელო,

## ანუ რა მთავარი სმური შეისვა საქართველოში წლევანდელ საახალწლო სუფრაზე...

***ადამიანები სულ უკეთესის მოლოდინში ვხვდებით ყოველ ახალ წელიწადს. ამ მხრივ 2009 მართლაც გამორჩეულია. გამორჩეულია თავისი ნატვრით, თავისი მოლოდინით,თავისი განახლების ჟინით. ეს ნატვრა, ეს მოლოდინი და ეს განახლების ჟინი კი თავისთავად იმით არის გამორჩეული, რომ მარტო „ხელისუფლების მწვერვალისკენ მცოცავ“ რამდენიმე „გამოუსწორებელ“ ოპოზიციონერს კი არ ეკუთვნის, არამედ საყოველთაოა, სრულიად „დამოუკიდებლობამოპოვებული“ ხალხის კუთვნილებაა, რაც, უწინარესად, თვით ჩვენი „ბანზედ მიდგომ-მოდგომისა და გამჩვენეობის“ ტრფიალი „ვარდოსანი“ ხელისუფლების „ყოველდღიური ხელშეწყობისა და რუდუნების“ შედეგია...***

არ ვიცი, სხვაგან როგორ არის, მაგრამ რაცა გვჭირს, უპირატესად ავი თუ ცუდი, თავის ნატვრა-მოლოდინ-ჟინიანად, როგორც უკვე ვთქვი, თვითონ ჩვენივე არაერთხელ პირშერცხვენილი ხელისუფლების ნაჭირნახულევია, რომელმა ხელისუფლებამაც მართლაც რომ უთვალავი „ალმაშენებლური“ დაპირება-შეპირებიდან ამ ბოლო დროს მარტოოდენ „ახალი დემოკრატიული ტალღა“ გადაგვაჩქაფუნა 7 ნოემბერს კარგა გვარიანად ნაჩეჩქვ თავზე. და თუ ჩვენი „ვარდისფერსათვალიანი“ პრეზიდენტის ზეოპტიმისტური საახალწლო ქუთაისური (სატელევიზიოძ გამოსვლით ვიმსჯელებთ, 2008 წელს საქართველოში თუკი რამ ავი და შავი მომხდარა, თურმე ჩვენივე „გამოცდის მიზნით“ მომხდარა, **რათა** თვით პრეზიდენტსა და ხელისუფლებას კი არა, ჩვენ, ხალხს, დიდიან-პატარიანად, ჭკუა გვესწავლა და ჩვენი ფოლადისებური გაუტეხლობა კვლავ და კვლავ გვეჩვენებინა „ბოროტი იმპერიული რუსეთისთვის“, რომელიც ჩვენდა გასახარად „უკვე დაშლის პირას არის და სულ მალე არა მარტო დაიშლება, გადაშენდება კიდეც“; **რათა** ყველასაგან განსხვავებით, „ჩვენებურად, ქართულად“ გვერდი აგვევლო საშინელი ეკონომიკური კრიზისისათვის, აგრერიგად რომ ანგრევს მსოფლიოს უდიდეს ქვეყნებს, მაგრამ ჩვენს ჯადოქმნილ ეკონომიკაში „ფეხი არ ჩასდის და არც ჩაუვა“; **რათა** ერთხელ კიდევ თვალცხადლივ დაგვენახა ნატოში შეუსვლელობის მთელი უბედურება და ამერიკისგან თუ ევროპისგან გამოგზავნილი ჰუმანიტარული დახმარების სიკეთე; **რათა** მცირე ხნით იმ აზრით დაგვეკარგა ჩვენი მიწა-წყლის ორი კარგა მოზრდილი ნაწილი, რომ როგორც არასდროს, ისე ახლოს მივსულიყავით ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასთან; **რათა** მთელი სიმძაფრით გვეგრძნო, თუ როგორ თვალდათვალ იცვლის მოძველებულ ისტორიულ სახეს აგვისტოს ომში პოლიტიკურად გამარჯვებული საქართველო (სამხედრო თვალსაზრისით სასტიკად დამარცხებული საზიზღარი რუსეთის ჯიბრზე!ძ, ანუ ძველი უსახური სოფლების ნაცვლად როგორ აშენდა ათი ათასობით ახალი ფერად-ფერადი სახლ-კარი, სადაც თავს ბევრად უფრო ბედნიერად გრძნობს ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ასი ათასობით პატრიოტი ლტოლვილი; **რათა** 18 თვის შემდეგ (მგონი, უკვე თექვსმეტიღა დარჩა!ძ სუყველამ ერთად გავიმარჯვოთ სიღარიბეზე (რასაკვირველია, უკვე ყელში ქონმოწოლილებთან ერთად!ძ და ერთადერთი დამარცხებული მხოლოდ სიღატაკეღა იყოს (აბა, არა!ძ; **რათა** საქართველოში სამუდამოდ დავაკარგვინოთ აზრი ძველი მშიერი დროიდან ჩვენდა ჭირად შემორჩენილ „კლასობრივი თვალსაზრისით“ გაჟღენთილ ანდაზას: მაძღარი მშიერს წვრილად უფხვნიდა, თან დასძახოდა, ცოტა ჭამეო... ერთი სიტყვით, ასე **რათა-რათას** თუ მივყე, იმდენი **რათას** დაწერა მომიწევს, ერთი წერილი ნამდვილად მარტო ამას არ ეყოფა...



კი, ბატონო, რათას თავი დავანებოთ, მაგრამ ამ ახალწლის იმედიან დღეებში იმის უთქმელობა მაინც არ ეგების (რახან შარშანდელი ნიშანდებული ამბები გავიხსენეთ, ბარემ, შეძლებისამებრ, ბოლომდე გავიხსენოთძ, რომ კარგა გვარიანად შორეულ მომავალთან (მგონი, მეორე ვადის იქითაცძ ჯიუტად თვალგადაწვდენილმა პრეზიდენტმა, ზუსტად ერთი წლის წინათ „ამაოდ მოყაყანე ოპოზიციის“ გულის გასახეთქად „უკვე მეორედ და ვადაზე ადრე გამარჯვებულმა“ (რის 7 ნოემბერი, რა 7 ნოემბერი!ძ, უამრავ გულის გასახარ ამბავთან ერთად, ერთ-ერთ ყოვლის უფრო გულის გასახარად ის გაგვანდო, რომ მორჩა, საქართველოში პოლიტიკურ თუ სხვა ყოველგვარ ძალადობას თურმე ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო და ადამიანის უფლებებს აგრე ალაალად ველარავინ ვერ დაარღვევს...

როგორც ჩანს, წინასაახალწლოდ ერთობ მოუცლელმა ქვეყნის მეთაურმა, ჩვეულებისამებრ, თვალი ბოლომდე ვერ მიადევნა, თუ როგორ საჯაროდ დაარღვია თვითონ ქვეყნის უმაღლესმა ორგანომ, პარლამენტმა (21 მაისსს ასევე „ვადაზე ადრე არჩეულმა“ ძველი კოდექსით „შეიარაღებული“ დღემდე შეუცვლელი თარხნიაანთ ბიჭის წყალობით!ძ თვით სახალხო დამცველის უფლებები და, უწინარესად ყოვლისა, სიმართლის თქმის უფლება, რისთვისაც ის ხელფასს იღებს და პრეზიდენტისგან გარკვეული ვადით სწორედაც ამ სიმართლის თქმისთვის არის დანიშნული.

იმის მაგივრად, რომ სახალხო დამცველის ნათქვამს (ესეც ხომ კიწმარიშვილის ნათქვამი არ იყო!ძ ფეხზე დაეყენებინა უმრავლესობა ვაიოპოზიციონერ დავითაიას კომისიასთან ერთად (რომელ დავითაიასაც ფრიად მოსწრებულად უთხრა პოეტმა, რაც მოგივა დავითაიაო, ყველა შენი თავითაიაო!ძ, რათა ბოლოს და ბოლოს გამოემზეურებინათ 7 ნოემბრის აქციის დარბევის დამკვეთელთა „საიდუმლო სეროზის“ დამნაშავე მონაწილენი, კინაღამ ტრიბუნიდან ჩამოიღეს მართლაცდა „სვანურად გაუტეხელი“ სუბარი, რომელიც ბოლო რამდენიმე წელიწადი ყველა ოფიციალური პირის მაგივრად ერთადერთი ლაპარაკობს უტყუარ სიმართლეს, ურომლისოდაც ნამდვილად შეუძლებელია ქვეყნის სასიკეთო მომავლის პროგნოზირება, რაც ხელოვნურად განაირფერადებული უკვე არაერთხელ საბედისწეროდ შერცხვენილ პირზე აკერია ერთდროულად „ვარდებისა და რეზინის ტყვიების“ ხელისუფლებას.

ის კი არა, იმავე საღამოს პირველ არხზე „მთავარ თემაში“ მიწვეული არსენიშვილი, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, რომელმაც მართლაც რომ კარგად იცის „ერთი ადგილის“ თბილად შენახვის ფასი, ცნობილი ოთხფეხივით უცილობლობდა (ჯერ კიდევ რუსთაველი რომ ახსენებს, იმ ოთხფეხივით!ძ, სახალხო დამცველი პოლიტიკურად ანგაჟირებულია და მაგას არაფერი არ დაეჯერებაო, პარლამენტმაც სწორედ ამიტომ არ დაუჭირა მხარი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნასო, თუ ბიჭია, ბარემ ტრიბუნიდანვე ეთქვა, სახელდობრ ვინ მიაწოდა ეს დეზინფორმაციაო... და სულაც არ გამკვირვებია, რომ ცოტა მოგვიანებით უკვე „კავკასიის“ ეკრანზე გაჩნდა არცთუ ნაუცბადევი SMS:„გია არსენიშვილი სრული არარაობა ყოფილა...“ (ვითომ ერთი ადგილის თბილად შენახვა ღირს კი იმად, რომ ხალხის თვალში ასეთ ადამიანად გამოჩნდე?!ძ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ კი ახლა ის გამკვირვებია, რომ ყველა იმ „შინაურ თუ გარეულ“ ოჯახში, სადაც კი საახალწლო დღეებში მომიწია ყოფნა, თითქმის ერთსა და იმავე სადღეგრძელოს, ანუ როგორც ჩვენი ძველები იტყოდნენ, სმურს შევესწარი: **„უფლის შეწევნითა და თითოეული გონიერი ქართველის სიყოჩაღით 2009 ისეთი ფეხბედნიერი გამომდგარიყოს, რომ ათში ეს ხელისუფლება აღარ გადაგვყოლოდესო...“**

ღმერთი, რჯული, როცა ამ ნატვრა-სადღეგრძელოსა თუ სმურს ვისმენდი, მაინცდამაინც არც მაშინ მსიამოვნებდა, რადგან ჩასაფრებული კაცი არა ვარ, და არც ახლა მსიამოვნებს, როცა ამ სტრიქონებს ვწერ (განა ხელისუფლების უხეირობა ჩვენივე ბრალიც არ არის?ძ, მაგრამ მეც ხომ რუსთაველისეული ჯორივით უცილობლობას არ დავიწყებ, ეს ჩვენი პრეზიდენტი და მთავრობა დიახაც გვემართლებიან-მეთქი ანდა ჩვენ რას ვემართლებით-მეთქი...

ყველას ყველაფერი ჩემზე ბევრად უკეთესად მოეხსენება. ამიტომ ნამდვილად ვერავის ვერ დავუწყებ ჭკუის სწავლებას, მით უმეტეს, საახალწლო სუფრაზე, როცა ბოლო ხანს ფარისევლურად დამტკბარი პრეზიდენტისგან თუ ენადღეობაში გამეცადინებული პარლამენტის თავმჯდომარისგან განსხვავებით, ხალხი ბევრად უფრო სწორად აფასებს განვლილ ცხოვრებას, დასკვნებიც ბევრად უფრო უტყუარი გამოაქვს, და როგორ დავიჯერო, რომ სრულიად უსაბაბოდ ერჩის არსებულ ხელისუფლებას და მაინცდამაინც მომავალს ვერ ნატრულობს სწორად?

დღესაც სიმართლისა და სამართლიანობის დასამკვიდრებლად შემაგულიანებელი ყიჟინასავით ჩამესმის ყურში ის ერთსულოვანი შეძახილი, ჩემი ერთი შედარებით ახალგაზრდა მეგობრის მამის, მართლაცდა თავზე წისქვილის ქვადატრიალებული კაცის, ზემოხსენებულ სადღეგრძელოსმურს რომ მოჰყვა: **„ენამ გიყივლოს, გიორგი, ენამ გიყივლოს! შენს პირს შაქარი!“**

ვიცი, საპარლამენტო უმრავლესობის რომელიმე წევრმა ანდა ვინმე „ვარდებს“ ანგარებით მიტმასნილმა იქნებ ნიშნის მოგებითაც მითხრას, თუ არა ამჟამინდელი ახალი დემოკრატიული ტალღა, ვერც მაგ სადღეგრძელოს იტყოდნენ სადმე საახალწლო ქართულ სუფრაზე და ვერც შენ დაწერდი მაგასო. მეტყვიან და, იცოცხლეთ, პასუხიც მზადა მაქვს: ეგ ახალი დემოკრატიული ტალღაც რის ვაივაგლახით ჩვენ გამოვგლიჯეთ ამ უკვე თვალთმაქცურად ნირშეცვლილ ხელისუფლებას და, როგორც ერთმა გონიერმა ქართველმა სამხედრო ექსპერტმა ახლახან თქვა, ჩვენი მომავლის იმედის კრიზისიც ჩვენივე დასაძლევია...

ისე, რაც არ უნდა მწარე და ტკივილიანი იყოს, სანამ უტყუარ სიმართლეს თვალს დაუხამხამებლად არ გავუსწორებთ, არც ხელისუფლებას გამოუვა რამე საკეთილო და არც კიდევ ხალხს. ხოლო თვით ენანაყივლ სადღეგრძელოს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ თუ მოჰყვება ნანინანატრი შედეგი, როცა ის სუფრიდან უშუალოდ ცხოვრებაში გადაინაცვლებს და თითოეული დამცირებული თუ შეურაცხყოფილი ადამიანის აუცილებელ სამოქმედო პროგრამად იქცევა.

სხვანაირად არცრა ყივილს არავითარი ფასი არა აქვს. მით უმეტეს, თუ, იმ ერთი ძველი ანდაზისა არ იყოს, მარტო ყეფითა და ყივილით სოფელი არც აშენებულა და არც აშენდება...

**გურამ გოგიაშვილი**

5.I.09.

*P. S. როგორც მერე შევიტყვე, ჩვენს საახალწლოდ გულაჩუყებულ პრეზიდენტს „ჩარეცხილებისთვის“ საახალწლო საჩუქრები დაურიგებია (ზოგის კალათაში შამპანურთან და კონიაკთან ერთად ყვითელი ინდაურიც ყოფილა!). მგონი, გადავრჩი... კიდევ კარგი, პრეზიდენტის ძღვენი მეც არ შემხვდა, თორემ ამ, ცოტა არ იყოს, ეკლიანი წერილის დაწერა „დასაჩუქრებულ-მოქრთამულს“ ნამდვილად უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენებდა (ანდა იქნებ სულაც ვერ დამეწერა)...*

**გ. გ.**

## ინფორმაცია

### „ევროვიზიაზე“ მონაწილეობას მივიღებთ

„ევროვიზიის“ საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც წელს მოსკოვში გაიმართება, საქართველო მონაწილეობას მიიღებს.

ამის შესახებ „ევროვიზია-საქართველოს“ წარმომადგენელმა ნათია უზნაძემ განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველო არ გეგმავდა მოსკოვში დაგეგმილ ღონისძიებაში მონაწილეობას, თუმცა გადაწყვეტილება შეიცვალა.

— „ევროვიზიის“ საერთაშორისო კონკურსის ორგანიზატორები მთელი ამ ხნის განმავლობაში გვთხოვდნენ, პოლიტიკური ნიშნის გამო უარი არ გვეთქვა კონკრუსში მონაწილეობაზე. მათი სურვილი გათვალისწინებულ იქნა და დღე გადაწყდა, რომ საქართველოს წარმომადგენელი რუსეთში გაემგზავრება, — განაცხადა უზნაძემ.

მისივე თქმით, ჯერჯერობით ცნობილი არ არის ვინ წარმოადგენს ჩვენს ქვეყანას კონკურსზე.

საქართველო „ევროვიზიის“ საერთაშორისო კონკურსის მონაწილე, სადაც დღეისათვის უკვე 43 ქვეყანა მონაწილეობს, პირველად 2007 წელს გახდა.

### ყურადღება, მძღოლებო!

თბილისში შემოსავლელი გზის 16-23 კმ-ზე მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით არის დასაშვები. დანარჩენი სახის ტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან იტყობინებიან, ინტენსიური თოვის გამო, გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის 24-45 და 82-100 კილომეტრებში ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის 81-108 კმ-ზე, მლეთა-კობის მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ინტერპრესნიუსი

◉ „ალხოცენ ცოდვანი ჩვენნი“

***ხვალ, 7 იანვარს, ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, 76 წლის ჩვენი ერის სულიერი მამა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, უფლის ნებით, კიდევ ერთხელ გაგვახარებს ახალი საშობაო ეპისტოლეთი.***

***როგორც ყოველთვის (განსაკუთრებით ბოლო წლებში), ეს იქნება ჩვენი ერის და ბერის სულიერი წრთობის, ქართული სახელმწიფოს გადარჩენის უტყუარი, მართალი პროგრამა.***



# პატრიარქი და პრეზიდენტი

## რას ფიქრობს ხალხი?

ქართველი ისტორიკოსები და შემოქმედებითი სფეროს წარჩინებულნი პატრიარქის ეპისტოლეებს კარგა ხანია ბრძნულს, ეროვნულს და ზოგადსაკაცობრიოს უწოდებენ.

ილია II საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული მღვდელმთავარი, მის მიერვე ამაღლებული ქართული ეკლესიის ღირსეული საჭეთმპყრობელია.

კარგად თუ ჩავუკვირდებით, ადვილად დავინახავთ, რომ ქართული მართლმადიდებლობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, გაწონასწორებული, გამოცდილი და მრავალჭირგადანახადი პატრიარქი, იმავდროულად, ჭეშმარიტი სახელმწიფო მოღვაწეც გახლავთ. მისი ქადაგებანი, სიტყვანი და ეპისტოლენი პრაქტიკული მნიშვნელობის უბადლო დოკუმენტებია.

ილია II საბჭოური ურწმუნოების ჟამს შეუდგა ქართველი ერის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის მოქცევას დედაეკლესიისკენ. ეს იყო ურთულესი პროცესი. მრევლი უკვე მარგალიტივით დაეძებდა პატრიარქის ხელდასხმით თანამედროვე ქართულ ენაზე გამოცემულ ბიბლიას, ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, სჯულის კანონს, პატრიარქის დიდი რუდუნებით გამოცემულ ჟურნალებს – „ჯვარი ვაზისა“, „სადვთისმეტყველო კრებული“, „საქართველოს საპატრიარქო“, „საპატრიარქოს უწყებანი“, გაზეთი „მადლი“ და სხვ.

...სიახლის გრძნობით, თანამედროვეობის პრობლემებით დამუხტულია საპატრიარქოსთან შექმნილი ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც წმინდა სამების დიდებულ ტაძარში ფუნქციონირებს...

ამ ცენტრს სულის დასამშვიდებლად მარტოოდენ ის ფაქტი ეყოფა, რომ ბოლო ხანს მწერალთა სახლიდან დევნილი ჩვენი სიტყვის ოსტატები შეიფარა და დაუვიწყარ შემოქმედებით საღამოებს უმასპინძლა... ქართულ მასმედიაში ახალი სიტყვა იყო (და ბოლომდე იქნებაძ საპატრიარქოს ტელევიზია „ივერია“, რომელსაც დღეს „ერთსულოვნება“ ჰქვია და გამოცდილ, რჩეულ ტელეჟურნალისტებს იკრებს.

მრევლი გამორჩეულად ემადლიერება პატრიარქს, რომ მისი დაუღალავი მზრუნველობის შედეგად, მსოფლიოს მართლმადიდებლურმა სამყარომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიას 1990 წელს რეალური ავტოკეფალია მიანიჭა.

ბოლო ოცწლეულის განმავლობაში, საყოველთაოდ ცნობილია, რომ აიგო მრავალი უნიკალური ტაძარი, აღსდგა დანგრეული ეკლესია-მონასტრები, გაიზარდა ეპარქიათა რაოდენობა, ახალგაზრდობა დაეწაფა სასულიერო სწავლა-განათლებას, გაფართოვდა სამონასტრო ცხოვრება.

ბევრს, მათ შორის ფრიად ანგარიშგასაწევ პიროვნებას მიაჩნია, რომ ჩვენში ტაძრების მშენებლობა, ხალხის ეკლესიისკენ შემობრუნება, შუა საუკუნეების აღორძინების ეპოქის შემდეგ, ძირითადად, მაშინ ხდებოდა, როცა ქვეყანას ძალიან უჭირდა, მტერთაგან შევიწროებული და ეკონომიკურად დაბეჩავებული იყო.

თუ ეს ასეა, მაშინ ცამდე მართალი ყოფილა ის თვალსაზრისიც, რომ **ერის გადარჩენის უმთავრესი ნიშანსვეტი ღმერთთან სიახლოვე (ღმერთს ებარებოდეთ!) და სულიერი სიმტკიცე (სიკვდილშიაც არდანებება!) ყოფილა.**

არ ვიცი, სხვა როგორ ფიქრობს, მაგრამ ქართველთა სულიერი ციხე, ქართული ცნობიერება ყოველთვის შიგნიდან ტყდებოდა და ამის უმთავრესი მიზეზი სწორედ „უბრალო“ ადამიანური ცოდვები – ძლიერთა ამა ქვეყნისათა **ამპარტავნება, კატეგორიულობა, კორუფცია-გაუმაძღრობა, თავნებობა, ღმერთთან თავის გატოლება იყო... ახლა ამას დაუმატეთ „მდაბიოთა“ უმუშევრობა, ნარკომანია, ქურდობა, ლოთობა, ელემენტარული გაუნათლებლობა** და... ყველაფერი ნათელია – საქართველოში დღეს მიმდინარე პროცესები ტყუპისცალივით ჰგავს ძველს და მის აღმოფხვრას ვერავითარი გლობალიზაცია, კომპიუტერიზაცია და უცხოური რეფორმების „გადმობრმავება“ ვერ უშველის! ნებისმიერ ქვეყანას საკუთარი ზნეობრივი, სულიერი, ისტორიული, კრიტერიუმები აქვს და თავსმოხვეული „დემოკრატიული რეფორმა“ ამ ეროვნულ ტრადიციებსა და კულტურაზე უნდა დაიმყნოს.

დღეს გონიერი ბავშვიც კი ხვდება, რომ **1989 წლის 9 აპრილს ეროვნული მოძრაობის ლიდერებს საქართველოს კათოლი-**



**კოს-პატრიარქისთვის რომ დაეჯერებინათ და ქაშუეთის (გნებავთ – სიონის!) ტაძარში ჩასულიყვნენ სალოცავად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ეროვნულ-დამანგრეველ ტრაგედიად არ გარდაიქმნებოდა!**

სამოქალაქო დაპირისპირების ჟამს (1991-92 წ.წ.ძ „სარდალ“ კიტოვანის მომხრეებს ყური რომ მიეგდოთ კათოლიკოს-პატრიარქის თხოვნისთვის, ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდით – კიდევ ერთხელ „ძმამ მოუდო ძმასა ყისტი“ და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს შორის სწორედ **ამპარტავანი და თავკერძა საქართველო თვითგვემით გაიჭყლიტა ყველაზე სასტიკად!**

* * *

უაფხაზეთოდ, უოსეთოდ (უსამაჩაბლოდძ, ერთ დროს მართლა მოძმე აფხაზებთან და ოსებთან **ბარბარუსისგან** თავსმოხვეულ ომებს და დაპირისპირებაში განვლო 20-მა გრძელმა წელიწადმა...

ბოროტების იმპერიამ, სხვათა მიწებით გაუმაძღარმა რუსეთმა, ბოლოს და ბოლოს, პროვოკაციის ანკესზე წამოაგო ჩვენი – რბილად რომ ვთქვათ – ემოციური, გაუწონასწორებელი, ამპარტავანი, ბაქია პრეზიდენტი და მთელი მისი გუნდი – გამოუცდელი, სატირალ-სასაცილო ხელისუფლება – აგვისტოს ხუთ დღეში თითქმის ყველა სამხედრო-სტრატეგიული ობიექტი დაგვიბომბა, სამაჩაბლოს სოფლები მიწასთან გაგვისწორა, ასობით ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე დაგვიხოცა და „საკუთარი მოქალაქეების დაცვის მიზნით“ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებელი სახელმწიფოები“ აღიარა!

**და რაც მთავარია – პუტინის და მედვედევის „საშინაო დავალებები“ ჯერ ბოლომდე შესრულებული არ არის. რუსი პოლიტიკოსების და გენერლების აბსოლუტურ უმრავლესობას, არც მეტი, არც ნაკლები – საქართველოს დაშლა-დაქუცმაცება და სააკაშვილის რეჟიმის ამოშანთვა სურს. შემზარავი რუსული „პიარ-კამპანია“ დღესაც მხოლოდ აქეთკენაა მიმართული.**

**ერთადერთი იმედი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია.** ამ დღეებში რედაქციის თანამშრომლებმა 300-ზე მეტ სხვადასხვა პროფესიის, ასაკის, ეროვნების ადამიანს (რა თქმა უნდა, იმათ, ვისაც ჭკუა მოეკითხება... ხომ გახსოვთ სულმნათი აკაკი წერეთელი: ხმა კი არ უნდა დაითვალოს, არამედ – აიწონოსო!ძ ერთადერთი შეკითხვა დავუსვით, – **თქვენი აზრით, რა გვეშველება?**

გამოკითხულთა მხოლოდ ექვსმა პროცენტმა აირჩია მხრები – საშუხაროდ, გამოსავალს ვერ ვხედავთ, ძალიან უიმედოდ ვართო! დანარჩენმა, ანუ 94-მა პროცენტმა იმედად პატრიარქი და მისი დიდი ავტორიტეტი დაასახელა.

ქართველმა ხალხმა (ბუნებრივია, რუსეთის მილიონობით მოქალაქემაცძ იცის, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წყალობით, რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ კატეგორიული უარი განაცხადა ცხუმ-აფხაზეთის და ცხინვალის ეპარქიების რუსეთის ეკლესიასთან მიერთებაზე და ერთმნიშვნელოვნად აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობა... მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი II-ის დაკრძალვის დღეებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს და ნახევარი საათის განმავლობაში ესაუბრა მას. ასე რომ, პატრიარქი პირველი ოფიციალური პირია, რომელიც ომის შემდეგ შეხვდა რუსეთის ხელმძღვანელობას...

**გამოკითხულთა აზრით, პატრიარქმა აუცილებლად უნდა მოიწვიოს ერის ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები, მოსკოვში მცხოვრები გავლენიანი ქართველები და, აზრთა შეჯერების შემდეგ, პრინციპული წინადადებები წერილობით წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს.**

როგორი იქნება ეს წინადადებები? – **ალბათ, მთავარზე მთავარი უნდა იყოს ქართველი ხალხის უმრავლესობისთვის და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისთვის უკვე მიუღებელი, როგორც თვითონ უცხოელები ამბობენ, – არასანდო პარტნიორის, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მშვიდობიანი გადადგომა, – ერთხმად ასკვნიან გამოკითხულები.**

კათოლიკოს-პატრიარქი ეკლესიის და ერის სახეა, პრეზიდენტი – ქვეყნისა და ერთი პარტია „ნაციონალებისა“.

ღმერთთან და საკუთარ თავთან, ალბათ, მართალი ვიქნები, თუ ჩვენს ხელისუფლებას კიდევ ერთხელ შევახსენებ ამონარიდს პატრიარქის ერთ-ერთი შთამბეჭდავი ლოცვიდან:

***„...მამაო სახიერო, გევედრები სახელითა ძისა შენისათა, ნუ განეშორები ერსა ჩვენსა შეცოდებათა გამო ჩვენთა; მოგვიძიენ, ვითარცა მამაი მოიძიებს ძესა თვისსა წარწყმედულსა; შეგვინდევ ურწმუნოებანი, გულფიცხობაი, ამპარტავნებაი, შური და ვერცხლისმოყვარეობაი; გეაჯებით, აღხოცეთ ცოდვანი ჩვენნი და განკურნენ სულნი ჩვენნი ვნებულნი, მოგვმადლე სარწმუნოებაი ჭეშმარიტი, სიყვარული უძლეველი, ძალი წყლისა და ძლიერებაი ცეცხლისა, აღგვავსე მადლითა ყოვლაწმიდისა სამებისა; გვაკურთხე მშვიდობითა, უფალო, მოგვეფინე სული სიწმინდისაი, თავმდაბლობისაი და მოთმინებისაი“...*** *(ამოღებულია აკადემიკოს რონ მეტრეველის წიგნიდან – „პატრიარქი – ერის სულიერი მამა“ძ.*

დამეთანხმებით, სულში ჩასაფენი სიტყვებია. **უფალო, შეასმინე ეს სიტყვები ხალხსა ჩვენსა და მთავრობასა და მთავარსარდალსა ჩვენსა!**

**სპარტაკ ქობულია**

◉ ინფორმაცია

## რუსული ფლოტი აფხაზეთის პორტებიდან გასვლას არ აპირებს

**რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი მხარს უჭერს რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის პოზიციას შავი ზღვის ფლოტის გემების საზღვარგარეთის ქვეყნებში განთავსების შესახებ. განცხადება ამის შესახებ რუსეთის გენშტაბის უფროსის მოადგილემ ანატოლი ნოგოვიცინმა გააკეთა.**

**– გენშტაბმა ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია უკვე გამოხატა. საბოლოო ჯამში ეს საკითხი უნდა გადაწყდეს და მას მთავრობასთან ერთად შეთანხმებულად გადავწყვეტთ, – განაცხადა ნოგოვიცინმა და დასძინა, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის გემების ბაზირების ადგილზე საუბარი ჯერ ნაადრევია და ამ საკითხის ირგვლივ საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს.**

**– შავის ზღვის ფლოტის გემების აფხაზეთის ტერიტორიაზე ბაზირების შესახებ მოლაპარაკებები ამჟამად მიმდინარეობს, – აღნიშნა ნოგოვიცინმა და დასძინა, რომ ამ გემების აფხაზეთის ტერიტორიაზე ბაზირება იქ წესრიგის ხანგრძლივი ვადით დასამყარებლად იგეგმება.**

ჯი-ეიჩ-ენი

ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

# ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

მაგრამ საუკუნეობით ნარუდუნებ იდეას უცებ ვერ დაივიწყებ, და 1802 წელს ქართველებმა ერთხელ კიდევ ჩამოაყალიბეს თავიანთი სანუკვარი, ოღონდ, უკვე გარემოებებისადმი შეუსაბამო, სურვილი; ჩვენ მთლიანად მოგვყავს ეს შესანიშნავი დოკუმენტი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გამოძახილი, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს ძველი ქართველი ლეგიტიმისტების საპოლიტიკო შეხედულებას რუსეთთან შეერთებაზე.

**არზა ყოვლადუმაღლესი მ.ი.დ-ს სახელზედ.** **„ერთობით კახეთსა შინა მცხოვრებნი სამღუდელონი და საერონი მუხლ-დადგმით მოვახსენებთ ყოვლად უდიდებულესსა მფარველობასა თქვენსა ესრეთ.**

**უმოწყალესო ხელმწიფევ! როდესაც ერთგულებასა ზედა თქვენისა იმპერატორებისა დიდებულებისასა დაგვაფიცეს, მყის გამოგვიცხადდა მანიფესტით, რომ ვითომც ჩვენ მოგვეხსენებინოს კარსა წინაშე უდიდებულესისა ხელმწიფებისა თქვენისას, მეფე აღარ გვინდა და უმეფოდ შემოვსულვართ მფარველობასა ქვეშე.**

**ეს ფრანციულთ მსგავსი რესპუბლიკაობა იქნებოდა ჩვენგან. ჩუჯნს ბატონებს რა დაუშავებიათ ჩვენზედა, რომ უარვყოთ, ათას ორი წელი მეტი არის, რომ ბაგრატოვანნი მემკვიდრეობენ და ეგრეთვე (მრავალი მათგანი ჩვენი გულისათვის წამებულანძ ქრისტესათვის და ჩვენთვის სისხლი დაუთხევიათ და ჩუჯნც ამათ წინ ამოვწყვეტილ-ვართ მრავალნი.**

**ეს ჩუჯნი ჰაზრი არ არის, — მაცთურთა კაცთაგან მომხდარია. ჩვენი ვედრება ეს არის, რომ ჩუჰნზედ მრავალგვარად გარჯილის და ღუაწლ-დიდებულის მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოთ და იმ ანდერძის წესით მეფე დაგვისვათ და ჩვენის მეფით თქვენს მფარველობას ქვეშ გვამყოფოთ, და რაოდენ ჩვენი შეძლება იყოს, ისე გვიმსახუროთ:**

**ამას ვითხოვთ თქვენის დიდებულებისაგან მუხლ-დადგმით და სულთქმით.“**

წინაალმდეგობანი და კონფლიქტები, რომლებიც თან სდევდა რუსული წესების შემოღებას, ქართლის სამეფოს დაცემის შემდეგ მით უფრო ძლიერი იყო, ხოლო უსიამოვნებები და იმედგაცრუება — მით უფრო საგრძნობი, რომ მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის მიუხედავად, ქართველებს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ რუსეთზე. ეშურებოდნენ რა მის მხარდაჭერას, ისინი არც კი ცდილობდნენ გაეგოთ — ან რას მიხვდებოდნენ, რას უქადის მათ რუსეთის დახმარება, რით შეიძლება, დამთავრდეს ყოველივე ეს, როგორია, საერთოდ, რუსეთის წყობა, მისი სახელმწიფოებრივი წესები და ა.შ. ქართველებმა კარგად იცოდნენ, სმენოდათ რუსეთის ძლიერება, შემდეგ, უყურებდნენ მას იმ გულუბრყვილო მართლმადიდებელ ადამიანთა იმედის თვალით, „აგარიანთაგან“ მესამე რომში რომ ეძებდნენ ხსნას. თუმცა, ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ მათი უეშმაკო პოლიტიკის სიმარტივესა და სწორხაზოვნებაზე. შემდეგ, ეს ხალხი, რომელიც შედგებოდა თავადაზნაურობის, სამღვდელოებისა და გლეხებისაგან, — ყველა ერთნაირად რომ ჰყავდა დამონებული ათასგვარ რუტინას, — ისე იყო შეჩვეული ცხოვრების ფორმებსა და მოვლენებს, საუკუნეობით რომ არ იცვლებოდა; და ეს კონსერვატიული, ყოველივე ამის შედეგად, ხალხი, ვამბობ მე, ვერ განჭვრეტდა, რა ძირფესვიანი და ყოველმხრივი მსხვრევა მოელოდა; ამიტომ რა გასაკვირია, რომ ელდანაცემ ქართველებს, პირველ ხანებში, დანა პირს არ უხსნიდა, როცა პირისპირ აღმოჩნდნენ არა ჩვეული, არამედ სულ სხვა მასშტაბისა და სულ სხვა ყაიდის სახელმწიფოებრიობასთან.

ეს ყველა თვალსაზრისით „ირეგულარული“ ხალხი უცბად ხომ ვერ შეეგუებოდა ისეთი პოლიციური სახელმწიფოს მკაცრ მოთხოვნებს, როგორიც იყო რუსეთი; ჩაუკვირდით კახეთის თავადაზნაურობის ამ მიმართვას გენ. გულიაკოვისადმი, 1802 წ. ზაფხულში — შეადარეთ იგი ზემოთ მოყვანილ ადრესს ხელმწიფისადმი, და მაშინდელ ქართველთა მსოფლმხედველობა ხელისგულზე გექნებათ (კახეთის თავადაზნაურობისაგან გენ. გულიაკოვს, 21 ივლისი ქორონიკონისა 490 (1802ძ

**„პირველი ჩუჯნი მოხსნება ეს არის: საქართველო ერთი მცირედნი ქვეყანა ვართ. ჩვენ გვებრძოდა დიდი ხელმწიფე არის ხონთქარი; ჩვენ გვებრძოდა ყეენი და ყმანიც იმისნი ვიყავით. ჩვენ გვებრძოდა დაღისტანი, რომ ისიც ერთი დიდი ქვეყანა არის, მაგრამ ამაებს არც ერთს თავი არ დაუდევით; თუმცა ძალას გვატანდნენ, ზოგჯერ კიდეც დაგვიჭირეს, მაგრამ თავი არც ერთს არ დაუდევით. ამისათვის წარმართნი იყვნენ, როდესაც ამათ დაგვიჭირეს, ვერც მაშინ და ვერც მასუკან ჩვენში ვერც მოშალეს მეფობა. ვერც მოშალეს ეფისკოპოზობა, ვერც მოშალეს თავადობა, ვერც მოშალეს გლეხობა, რომ ყოველს ფერს თჳთ თქვენი თვალი ხედავს. ამ დიდროვანის ურჯულოთ მტერთაგან რომ მოსვენება არა გვქონდა, ხმლითაც ბევრი მოვიშორეთ, მართლისა და ტყუილის თქმითაც და მიცემითაც დაღისტანს ვიშორებდით. ამ შაჭირვებაში რომ ვიყავით. ჩვენ მეფენი ევედრებოდნენ ყოვლად-მოწყალეს ხელმწიფეს რომ ქრისტიანობის გულისათვის მოწყალება მოელო და რუსეთის საფარველი გვდებოდა. ჩვენ მეფესაც პატივი და დიდება მომატებოდა. ეკლესიებსაც და ეფისკოპოზთაც, თავადთაც და გლეხთაც და უშიშროებაშიაც ვყოფილიყავით.ძ.**

მაგრამ ჟამი შეიცვალა, და ეს მიმართვა, რომლის თითოეულ სტრიქონში იგრძნობა ძველი დრო, მისი სიტყვებისა და მრწამსის წრფელი პლასტიკით, მრწამსი, დროების გრდემლზე ისტორიის უროსცემით გამოჭედილი რომ გეგონება, — აი, ეს მიმართვა დაურთეს ჯანყის საქმეს და, თუმცა შესაბამისაობა ამ განცხადებათა კეთილშობილურ სტილსა და სამხედრო და სამოქალაქო სამსახურების იმ გმირთა შორის, რომელნიც მოწოდებული იყვნენ, გაესამართლებინათ მათი ავტორები, მაგრამ სწორედ ეს უკანასკნელნი იყვნენ ისტორიით დაგმობილი, სულისმღაფველი წარსულის წარმომადგენლები, ხოლო პირველნი, ან, უფრო სწორედ, ის წესი, რომლის წარმომადგენელნიც იყვნენ ისინი, საქართველოს ულებდა კარს მომავალში, რომელიც უკეთესი თუ არა, უფრო „რეგულარული“ მაინც იყო.

თუ როგორ ხდებოდა რუსეთის ხელისუფალთა შემოსვლა და დამკვიდრება მხარეში; როგორ გადავიდა საქართველო თანდათან ახალ ლიანდაგზე, და როგორ გადაიქცა ძველებური ლოიალობა სხვაგვარ, საიმპერიო ლოიალობად, როგორი შედეგები მოუტანა ამ ლოიალობამ ქართველ ერს, — ყოველივე ეს სცილდება ჩვენი თემის ფარგლებს და განეკუთვნება კავკასიის XIX საუკუნის ისტორიას.

მაგრამ ერთბაშად როდი ჩამოიქცა ძველი საქართველოს ყველა ელემენტი; თავდაპირველად დაემხო სამეფო და მეფე, შემდეგ — დამოუკიდებელი ეკლესია, ბოლოს, ნელ-ნელა, მაგრამ სულ უფრო მეტი აჩქარებით, მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ძველი წოდებების, მეურნეობის ძველი ფორმების, ძველი ცრურწმენების, ზნე-ჩვეულებებისა და წეს-ჩვეულებების მოშლა.

იმპერატრიცა ეკატერინე II, როგორც ჩვენ გიჩვენეთ, საქართველოს უყურებდა ოსმალეთთან და სპარსეთთან თავისი ურთიერთობის გადასახედიდან. რისთვის სჭირდებოდათ ქართველები 1769-74 წლებში; და რა დამოკიდებულება ჰქონდა 1783 წლის ტრაქტატს რუსეთის სპარსულ ლაშქრობებთან — ყოველივე ეს ჩვენ უკვე განვიხილეთ.

საკითხავია, რამ აიძულა პავლე იმპერატორი, ასე მოულოდნელად შემოეერთებინა საქართველო? შემოერთება არ შედიოდა ეკატერინეს პირველი და მეორე მოწვევის დიდებულების გეგმებში, რა თქმა უნდა, არა „ხალხთა უფლებების“ ხათრით, არამედ უბრალოდ იმიტომ, რომ ამაზე არ უფიქრიათ, ეს არ მდგარა დღის წესრიგში. მართალია, როდესაც გრაფ ტოტლებენს, საექსპედიციო რაზმის უფროსს, და ერეკლე მეფეს შორის დიდი უთანხმოება მოხდა, საქმე იქამდე მივიდა, რომ ტოტლებენმა მოსახლეობას მოსთხოვა, დაედოთ იმპერატრიცასადმი ერთგულების ფიცი, და ეწადა, დაემხო ერეკლე; როცა საქართველოში გზავნიდნენ და აძლევდნენ ინსტრუქციას გვარდიის ოფიცერს იაზიკოვს — საქმის გამოსაძიებლად — მას აძლევდნენ მითითებებს იმ შემთხვევისთვისაც, თუ ერეკლეს ტოტლებენისაგან უკვე ჩამოერთმეოდა განმგეობა (იმ შემთხვევაში, თუ ტ—მა „ირაკლის უკვე ჩამოართვა მისი მფლობელობა და ჩვენგან ნაბოძები წმ. ანდრიას კავალრობა, მაშინ უნდა განვიხილოთ, რამდენად საჭიროა ირაკლის შერიგება გენერალთან, ან მისთვის ჩამორთმეული მფლობელობის აღდგენა და კავალრობის დაბრუნება“. ითვალისწინებდნენ ისეთ კომბინაციასაც, რომ ერეკლე დამხობილია, მაგრამ ქართველები მაინც განაგრძობენ საომარ მოქმედებას ტოტლებენთან ერთად. ცაგარელი. სიგელები უეს. № 59, პ.1-ლი, ინსტრუქცია იაზიკოვსძ. ასე ფართოდ ესმოდათ პეტერბურგში რუსი გენერლის რწმუნებულება, და ასე ცოტას ნიშნავდა იქ უფლებები მეფისა, რომელიც ერთმორწმუნედ იყო მიწვეული, ემოქმედა საერთო მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში (სამაგიეროდ, ეკატერინეს კარგად ესმოდა, რომ „მხოლოდ ერეკლე თუ გაბედავდა, დაეჩემებინა უფლება, დაენიშნა სარდლები ჩემი ჯარებისათვის. იხ. მისი წერილები პანისისადმი (1760 წ.ძ რუსეთის საისტორიო საზოგადოების კრებულში. ტ. X.გ3.442. ეს წერილი






გამოიწვია ცნობამ, რომ მზადდებოდა შეთქმულება ტოტლებენის დაპატიმრების მიზნითძ.

მაგრამ მოგვიანებით ტოტლებენის შემცვლელს, გენერალ სუხოტინს ჩააგონებდნენ, რომ არა აქვთ განზრახული საქართველოს შემომტკიცება (ჩვენ არ ვაპირებთ... საქართველოს შემოყვანას ჩვენი იმპერიის უშუალო „საკუთრებაში“, ib., №218, §3-ე. ინსტრუქცია გენერალ სუხოტინისადმი. 1771 წ. 13 იანვარი. თუმცა, ჯერ კიდევ 1770 წ. 16 ივლისს გრ. პანინი ტოტლებენს სწერდა, რომ თუ ქართველებს ფიცს აღებინებენ იძულების გარეშე, და ამის შედეგად უკეთ წარიმართება სამხედრო მოქმედებანი, შეიძლება განაგრძოთ კიდეც; ვიფიქროთ მეტზე, ახლა ამის დრო არ არის; „გარდა ამისა, დასძენს პანინი, საქართველოს სიშორე და მიმოსვლის სიძნელე — აი, ორი გარემოება, რომლებიც ამ მხარის შემოერთებას ასევე ვერ ჰმატებს სიმტკიცეს. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ დროთა განმავლობაში გამოგვიჩნდეს საშუალებები, რომელთა მეოხებით ეს სიძნელენი ასეთად აღარ მოგვეჩვენება“... ib, № 65ძ.

1783 წელს იწყება რუსეთის პროტექტორატი საქართველოს ზედა; პოტიომკინს არ უმართლებს ვარაუდი სპარსეთის პროვინციების დაპყრობასთან დაკავშირებით — და პროტექტორატი, მეტი რომ არა ვთქვათ რა, დუნედ ხორციელდება. 1796 წლის სპარსეთის ლაშქრობის გამო საქართველო კვლავ იპყრობს ყურადღებას; და არათუ არ ფიქრობენ მის შემოერთებაზე, პირიქით, ოცნებობენ მისი გაძლიერების, მისი ტერიტორიის ზრდის, საქართველოში სამეფო ძალაუფლების განმტკიცების შესახებ. მაგრამ ამ სურვილს — იხილონ საქართველო ძლიერი, იგივე აზრი აქვს, რაც პანინის სურვილს, რათა საქართველოს ყველა გამგებელი ერთსულოვნად, შეხმატკბილებულად მოქმედებდეს: სანამ საქართველოს უყურებენ, როგორც იარაღს, ამჯობინებენ, რომ იგი ყოველმხრივ გამართული იყოს.

ეს რომ სწორედ ასეა, იქიდან გამომდინარეობს, რომ, როგორც აღინიშნა, იგივე ზუბოვები, რომლებიც არწმუნებდნენ ერეკლეს ერთმმართველობის უპირატესობებში და აფრთხილებდნენ, არ დაეყო სამეფო საუფლისწულოებად, 1801 წელს საქართველოს შემოერთების მთავარ მომხრეებად მოგვევლინენ.

როდესაც 1796 წლის ლაშქრობა ჯარების უკან გაწვევით დასრულდა, წავიდა რაზმიც, რომელიც საქართველოში იყო. საქართველოს მიმართ პავლეს დამოკიდებულება სრული ინდიფერენტულობით დაიწყო. თუ 1798-99 წლებში 1783 წლის ტრაქტატი ერთგვარად, სრული ძალით განახლდა, თუ დაინიშნა რეზიდენტი და სხვა, ეს იმიტომ, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო, საქართველოს დაედო რაიმე შეთანხმება ერთ ან ორ მაჰმადიანურ სახელმწიფოსთან. ასე რომ, იმპერატორ პავლეს ამ აქტებში არ არის არაფერი, იმ სურვილის გარდა, რომ შეინარჩუნოს უკვე დამყარებული კავშირები და გავლენა, არ დაუთმოს ისინი სხვებს. რეზიდენტისათვის მიცემული ინსტრუქცია სრულიად სხვა სადიპლომატო ხასიათისაა; რეზიდენტს ევალება, დაიცვას რუსეთის გავლენის ძალა ყოველგვარი ხელყოფისაგან; სრულ შემოერთებამდე ჯერ ისე შორია, რომ სთავაზობენ, განაწყონ ქართველები საიმისოდ, რომ ჩამოაყალიბონ რეგულარული არმია და იქონიონ არტილერია.

რას იზამ, ასეთი ანაზდეულობებით აღსავსე იყო პავლე იმპერატორის პოლიტიკა: თავიდან საქართველოდან დამხმარე ჯარების გაწვევით დაიწყო, ბოლოს კი მისი შემოერთებით დაამთავრა.

ორი მხრიდან იზიდავდა და იპყრობდა მის ყურადღებას საქართველო.

ჯერ ერთი, გიორგი მეფის მეძიებლობა, რომელსაც ეწადა, ყველაზე მჭიდრო ერთიანობა ჰქონოდა რუსეთთან; ჩვენ უკვე ვთქვით, რა იყო ამ სურვილის არსი. „სათხოვნელი პუნქტების“ ფორმა და შინაარსი ისეთი იყო, რომ არ ტოვებდა არავითარ ეჭვს ქართლის მეფის მეძიებლობის სერიოზულობასა და სიწრფელეში.

ამას დაემატა გრაფ მუსინ-პუშკინის მოხსენებებიც, რომლებმაც მოსვენება დააკარგვინა იმპერატორს. ამ მადნების მაძიებელმა და მოხალისე პოლიტიკოსმა ამომწურავად გააცნო ხელმწიფეს უკლებლივ ყველა თვალსაზრისი, რათა დაედასტურებინა, თუ რაოდენ სასურველი, სასარგებლო, გამოსადეგი, საჭირო და გარდაუვალია საქართველოს შემოერთება, და ამას აკეთებდა ისეთი თვალსაჩინოებით, ისეთი რწმენით, რომ თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ: სწორედ ამ მოხსენებებმა, რომლებიც განამტკიცებდნენ და ავსებდნენ ქართველ რწმუნებულთა თხოვნას, გადააწყვეტინა პავლეს, შემოეერთებინა საქართველო, და რაკი ეს აზრი გულში ჩარჩა, ისეთივე გაფაციცებით, როგორც ოთხი წლის წინათ უკან გამოიხმო თავისი ჯარები საქართველოდან — ჩქარობს ახლა, არ გაუშვას ის, რაც ასე მოულოდნელად ჩაუვარდა ხელში. და აი, უკვე აღარ ელოდება თავისივე მოხაზული პროგრამის შესრულებას, ორმხრივი შეთანხმების თაობაზე, მგზნებარედ წარმოთქვამს გადამწყვეტსა და საბოლოო სეფე-სიტყვას, და იმის მაგივრად, რომ ჯერ დეპუტატები მიიღოს, მოუსმინოს, ხოლო შემდეგ მანიფესტით გამოაცხადოს საქართველოს შემოერთება, იგი ზუსტად პირიქით იქცევა: ჯერ გამოსცემს მანიფესტს, ხოლო შემდეგ იხმობს დეპუტატებს, სურს, მიიღოს ისინი საზეიმო აუდიენციაზე და ამისათვის საგანგებო კოსტიუმსაც კი იკერავს.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

**იბეჭდება შემოკლებით**

---

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 203-230, 242. 2008 წელი**

**საფიქრალი**



# „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!“

**დიდხანს არ მიფიქრია, თუ რა შემერჩია წინამდებარე წერილის სათაურად, დიდი ილიას სიტყვები თავისთავად, ფანტაზიის ყოველგვარი დაძაბვის გარეშე გამახსენდა. გამახსენდა კი არა, მუდმივად ხმიანობდა ჩემს თავში იმის შემყურე, თუ რა ხდებოდა 31 დეკემბრის ღამეს ე. წ. თავისუფლების მოედანზე.**

ახლა ვილაცეები იტყვიან, რა გაგვიჭირა ამ კაცმა საქმე, შეგვარგოს ეს ახალი წელიო. რა ვიცი, ვინც ასე ფიქრობს, ღმერთმა შეარგოს ახალი წლის ზეიმიც და ჩემისთანების დამუნათებაც. ჩემისთანების, ვინც აშკარად უმცირესობაში ვართ იმათთან შედარებით, ვინც ამ ახალი წლის ღამეს, ბოლომდე შენავსეს თბილისის ფეშენებელური რესტორნები და ხვლიკზე მონადირე კაცის მონუმენტის გარშემო მროკავთა რიგები. ე. წ. კონცერტის, რომლის სცენარის ლაიტმოტივი, როგორც აღმოჩნდა ყოფილა

**„თოვლი იყოს, მაგრამ არა ციოდეს, დოლარების „პაჩკები“ გვაცვიოდეს“.**

ეს უსურვა მალხაზ ქვრივიშვილმა დამსწრე საზოგადოებას და არა ქვეყნის გამთლიანება, სწორედ ეს იყო გულსატკენი: მერკანტილიზმის, მომხმარებლური, კუჭის ფილოსოფიის დაუფარავი პროპაგანდა, თორემ საახალწლო საზეიმო განწყობილების წინააღმდეგი, თუნდაც ომის შემდგომ საქართველოში, რომელი ნორმალური ადამიანი შეიძლება იყოს! მაგრამ სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ აგვისტოში რუსული აგრესიის მსხვერპლი გავხდით, ცოტა მეტი ზომიერება გვმართებდა.

იქნებ სჯობდა, რომ წლეულს მოცემულ სინამდვილეში მაინც უარი გვეთქვა აშკარად უადგილო ტაშფანდურაზე. ან ჯანდაბას, თუ მაინცდამაინც, პომპეზური ღონისძიების სცენარის ავტორს, ციდან დოლარების „პაჩკების“ ცვენასთან ერთად, ისიც მოსვლოდა თავში, რომ კონცერტის დასაწყისში, დიჯეი მალხაზ ქვრივიშვილს, ათასობით ქვრივ-ობლის გახსენებოდა და წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ დაღუპულთა ხსოვნისთვის.

ის, რაც ე. წ. თავისუფლების მოედანზე ხდებოდა (უკვე მეორედ ვახსენე თავისუფლების მოედანი ეგრეთ წოდებულად. თუ რატომ, ამაზე ქვემოთძ. ამის შემხედვარე ჩვენი მტერმოყვარე, შინ თუ გარეთ, დაიჯერებდა, რომ ზაფხულში გადატანილი უბედურება გვახსოვს, გვტკივა? ხელი რომ გვაქვს გაწვდილი მთელს სოფელ-ქვეყანაზე, გვიჭირს და დაგვეხმარეთო, ვინმეს გაუჩნდებოდა ჩვენი დახმარების სურვილი?

წინასაახალწლოდ ტელევიზიით შევიტყვე, რომ ნიუ-იორკის მერიას საახალწლო ზიზილ-პიპილებისთვის, ბათქაბუთქისთვის, სულ რაღაც 5 მილიონი დოლარი დაუხარჯავს!!! ვინმემ დათვალა, რამდენი მილიონი დაჯდა ჩვენი საახალწლო ზეიმი? არ აჯობებდა, რომ ილუმინაცია-განათებაში გადაყრილი ფული იმ გაჭირვებული ხალხისთვის (არა მხოლოდ ლტოლვილებისთვის!ძ დაერიგებინათ, რომელთაც გოჭი და ინდაური კი არა, საახალწლოდ გაცილებით ბევრი უბრალო რამ ჰქონდა სანატრელი. იმ განათებაში, რომელსაც ასე გვამადლიან, რომელიც არ გვათბობს და რეალურად ქვეყანაში არსებული თალხი ფერების დაფარვის ფუნქცია აქვს და სხვა არაფერი.

### „თოვდა და თბილისს ებურა თალხი. დუმდა სიონი და დუმდა ხალხი“

**წერდა კოლაუ ნადირაძე 1921 წელზე, როცა ბოლშევიკების XI არმია შემოვიდა თბილისში. ახლა რა შეიცვალა?** დიდი არაფერი. 58-ე არმიამ „დაგვინდო“: თბილისამდე მოვიდა, მაგრამ არ შემოსულა. თუმცა არც შორს წასულა. აგერ დგას, თბილისიდან ერთი ხელის გაწვდენაზე, უკვე დე იურედ წართმეულ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. კოლაუს ლექსიდანაც რა დარჩა? თითქმის არაფერი. თალხი კი არა, ისეა თბილისი გაჩახჩახებული, რომ გარეთ მტერს უბრმავებს თვალებს და შიგნით მოყვარეს უხეთქავს გულს.

სიონი კი დუმდა, მაგრამ არა ხალხი. სიონი მდუმარედ ლოცულობდა, მისი წინამძღოლის, ერის ჭეშმარიტი სულიერი მამის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ხელმძღვანელობით. თინეიჯერები კი შლეგურად როკავდნენ ვარდისუფლების მოედანზე. აი, რატომ ვუწოდე ზემოთ თავისუფლების მოადანს ეგრეთ წოდებული. სადაც არ არის არანაირი თავისუფლება, ამ სახელობის ძეგლი და მოედანი შეიძლება არსებობდეს? არსებობს მხოლოდ ეშმაკისათვის სულის მიყიდვის ვარდისუფლება.

პრეზიდენტმა ამჯერად ქუთაისიდან სცადა ჩვენი „დაბოლება“, თუმცა რატომ წინწკლები? სცადა რას მიქვია? დაგვაბოლა და მერე როგორ.

ისეთი ბათქაბუთქი ატყდა, რომ აივანზე გასვლა შემეშინდა. არა, ნამდვილად ლამაზი სანახაობა იყო თვალისთვის, ათასფერებში მფეთქავი ილუმინაცია, მაგრამ რამდენადაც საამო იყო თვალისთვის, იმდენად გულსაკლავი — სულისთვის, რადგან უნებურად გამახსენდა 1992 წლის დადგომა, როცა თბილისის ცენტრი იწვოდა, სამოქალაქო ომის ქარცეცხლი მძვინვარებდა. საკუთარი ხელით, საკუთარი ქვეყნის დაქცევასაც ვზეიმობდით, ახალი წლის მოსვლასთან ერთად.

ისტორია განმეორდა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ისტორიის მაგალითები, გაკვეთილები იმისთვის არსებობს, რომ არავინ არაფერი ვისწავლოთ. კიდევ ერთხელ განვაცვიფრეთ მთელი მსოფლიო ზღვარგადასული ზეიმით. გული მოვუკალით საკუთარ თანამოძმეებს, რომელთაც ხშირ შემთხვევაში საკუთარი შვილების, ძმების თუ მამების საფლავებიც კი არ იციან, სად არის. მართლაც, ჩვენისთანა ბედნიერი ერი სხვაგან სად არის!

### ისევ შენი იმედი მაქვს, ღმერთო, ამ ქვეყანაზე

**„აქუვიზიის“ ბოლო, წინასაახალწლო „ბარიერში“ ჩემი კოლეგა ჟურნალისტები აჯამებდნენ განვლილ უმძიმეს წელიწადს. სოლიდარობის ნაკლებობას უჩიოდნენ.** უხეშად თუ ვიტყვით, ის ჰქონდათ მხედველობაში, რომ საკუთარ სახლში საახალწლო სუფრის სამზადისში გართულებს, ნაკლებად გვახსოვს ათასობით, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ქართველი. რას იზამ, მწარე რეალობაა — ყველა ადამიანში ზის ამა თუ იმ დოზით ეგოისტი. სოლიდარობის მაგალითები ზემოდან, ხელისუფლებიდან უნდა მოდიოდეს და მხოლოდ მაშინ არსებობს შანსი იმისა, რომ საზოგადოება მეტ-ნაკლებად სოლიდარული გახდეს.

ზემოდან კი პრაქტიკულად „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირის“ პროპაგანდა მიმდინარეობს. ისტორიული პიროვნებების ხსენება, მათ საფლავებზე დაფიცება, კარგად ეხერხებათ ვარდისუფლებებს. დავით აღმაშენებელი იქით იყოს, არა მგონია ერეკლე II-ის კრწანისის ტრაგედიის შემდეგ, ისე ეზეიმოს 1796 წლის მოსვლა, როგორც დღეს ვიზეიმეთ. აგვისტოს შემდგომი ახალი წლის დადგომა, წლის ადამიანის დასახელებაც სცადეს ჩემმა კოლეგებმა, თუმცა ჩემდა გასაკვირად, უშედეგოდ. ეს იმიტომ, რომ პოლიტიკოსებში ცდილობდნენ ასეთის მოძებნას. ჩემი აზრით და დარწმუნებული ვარ, არა მხოლოდ ჩემი, წლის ადამიანის ერთადერთი და უეჭველი კანდიდატი, მისი უწმინდესობა ილია II-ა. ვისაც სულით და გულით ვულოცავთ დაბადებიდან 76 და აღსაყდრებიდან 31 წლისთავს.

მხოლოდ მაღალი ღმერთის და ამ მართლაც უწმინდესი ბრძენკაცის იმედიღა მაქვს. ღმერთო, დიდი დღე მიეცი ქართველების და ქრისტიანების იმედს, ქრისტეს ჯვრისათვის მრავალგზის ჯვარცმულ საქართველოში.

**დავით მხეიძე**

**ბუნკერებსაც ებრძვიან**

# გვაქვს კი შნო?

**ამ დღეების შემყურეს, ჩემი საყვარელი მეგობრის, დიდებული ადამიანისა და კინორეჟიორის დიმიტრი ბათიაშვილის ბრწყინვალე მოკლემეტრაჟიანი ფილმი „შნო“ მახსენდებოდა.**

ალბათ გახსოვთ: ჩამოსულმა უცხოელმა სპორტსმენმა თხილამურებით ტრამპლინიდან ნახტომი შეასრულა. ერთმა ბაკურიანელმა კაცმაც მოისურვა თხილამურებით ისეთივე ნახტომის შესრულება, თუმცა, მანამდე ასეთი რამ არასოდეს ეცადა.



ამაოდ ეცადნენ გადაეთქმევინებინათ ეს სახიფათო წამოწყება, მაგრამ უშედეგოდ. გადახტა... მართალია, ძალზე დაიმტვრა, მაგრამ უსაზღვროდ ბედნიერი იყო, რადგან გადახტა.

მას ამისი შნო ჰქონდა!

ჩვენ კი რისი შნო გვაქვს?

პარლამენტის წინ ისეთი ზეიმი მოვაწყეთ რამდენიმე უცხოელი პრეზიდენტის თანდასწრებით, რომ ზოგმა ომში გამარჯვებულადაც კი ჩათვალა თავი. აი, რისი შნო გვქონია: **ხალხი ისე გამოასულელო, რომ გათელილებს და განადგურებულებს თავი გამარჯვებული ეგონოს.**

ამას შნო უნდა. შნო იმასაც უნდა, რომ ქვეყნის ეკონომიკა რამდენიმე წელიწადში პირწმინდად გაანადგურო, ყველაფერი გაასხვისო და სინდისიც ზედ მიაყოლო.

ახლა კი თბილისის მერმა, ბატონმა გიგი უგულავამ განაცხადა: **„ჩვენ გადავწყვიტეთ, ბუნკერები გავაუქმოთ და მოსახლეობა საკონტეინერო მომსახურებაზე გადავიყვანოთ. ხშირ შემთხვევაში ეს ბუნკერები ამორტიზებული იყო და სადარბაზოებში სანიტარიულად ძალიან მძიმე მდგომარეობა იქმნებოდა. ამხანაგობებთან შეთანხმებით ჩვენ ეტაპობრივად განვახორციელებთ ამ ბუნკერების დემონტაჟს“.**

მერს რომ განადგურების შნო ნამდვილად აქვს, ეს კარგად ვნახეთ აშენებული სახლების ნგრევით, მაგრამ რა ჭკუამ მიიყვანა ამ ყოვლად უგუნურ გადაწყვეტილებამდე? ის, რომ მერიას ამორტიზებული ბუნკერების აღდგენა-გარემონტებისა და სანიტარიული უსაფრთხოების შნო არა აქვს, კარგად ვიცით, მაგრამ ამ თანამდებობიდან წასვლის შნო მაინც უნდა ჰქონდეს.

**და თუ არც ამისი შნო აქვს, მაშინ ხალხს მაინც უნდა ჰქონდეს იმისი შნო, რომ ასეთი ქალაქის თავი კინწისკვრით გააგდოს.**

თუ ეს არ მოხდა, მთელი ქალაქი ნაგავში ჩაიძირება: მაშინ ნახეთ შუაღამისას მაღალი სართულებიდან „ცელოფანის პაკეტებში“ გახვეული ნაგავის ტყაპანი ტროტუარებზე, გაზონებზე თუ ეზოებში. შესაძლოა, დაბალ სართულზე მცხოვრებლებს ხელს აძლევს კიდეც ბუნკერების მოშლა მათი საშინელი მდგომარეობის გამო, მაგრამ ახლა ნაგავი პირდაპირ ცხვირწინ დაეყრებათ და მაშინ ანტისანიტარიას თუ რა ეპიდემიები მოჰყვება, არაა ძნელი გამოსაცნობი.

**თუნდაც მხოლოდ ამ განზრახვისთვის მერიც უნდა გადადგეს და პრეზიდენტიც თავისი გოგობიჭებით.**

**მაგრამ, რაც განათლებას და მეცნიერებას დამართეს, ეს უკვე ერის წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაულია.** თუ ოდნავ მაინც გავირჯებით, ეკონომიკას რამდენიმე წელიწადში აღვადგენთ. განათლებისა და მეცნიერების აღდგენას კი ათეული წლები დასჭირდება.

**აქვს კი ხალხს შნო, რომ ეს ხელისუფლება უპირობოდ და რაც შეიძლება სწრაფად ქვეყანას მოვაცილოთ?**

**მერაბ ჯიბლაძე,**
**„ქართული აკადემია“**

**ინფორმაცია**



### დევნილებს ახალი წელი მიულოცეს

**5 იანვარს, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა გლდანში, სასტუმრო „მეგობრობაში“ მცხოვრები დევნილები მოინახულა და ახალი წელი მიულოცა. მინისტრმა სასტუმროს შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებიც დაათვალიერა.**

**5-სართულიან შენობაში მთლიანად გამოიცვალა წყალგაყვანილობა, მოწესრიგდა საკანალიზაციო სისტემა.**

**ობიექტზე სარემონტო სამუშაოები ორი კვირაა მიმდინარეობს და რამდენიმე დღეში დასრულდება.**

**სასტუმროს შენობაში აფხაზეთიდან დევნილი 130 ოჯახი ცხოვრობს.**

ჯი-ეიჩ-ენი

სკოლა

# არ მინდა დავიჯერო, რომ ქვეყანა მართლაც ჩალით არის დახურული

## ღია წერილი განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ბატონ ნიკა გვარამიას



საკუთარი ფიზიკური ნაკლის ღირსეულად ტარება, ერთმანეთის, წიგნისა და მამულის სიყვარული, მეგობრობა, სიკეთე, სამართლიანობა და სხვაც ბევრი რამ ვისწავლეთ მე და ჩემმა მეგობრებმა საგულდაგულოდ შერჩეული პედაგოგ-აღმზრდელების მეშვეობით იმ სკოლაში, რომელსაც დღეს თბილისის 202-ე უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლა-პანსიონი ჰქვია. ეს სასწავლებელი 110 წლის წინათ დააარსეს ქველმოქმედმა ადამიანებმა, რათა უსინათლო ბავშვებს სრულფასოვანი განათლება მიეღოთ. ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან ერთმანეთის გვერდით მომუშავე მხედველი და უსინათლო პედაგოგები, რომელთა ღვაწლში უკანასკნელთა წვლილი განსაკუთრებულია. უსინათლო პედაგოგი მხოლოდ საგნის მასწავლებელი როდია, იგი დიდი იმედია, გზამკვლევია არა მარტო მოსწავლეების, არამედ მათი მშობლებისთვისაც, რადგან ხშირად მშობელი სასოწარკვეთილია, შვილი გამოტირებული ჰყავს, მაგრამ როცა ხვდება სკოლაში მომუშავე უსინათლო პედაგოგს, ესაუბრება მას, რწმენა თანდათან უბრუნდება და უკვე ნათელ ფერებში ხედავს შვილის მომავალს.

ტიფლოპედაგოგიკაში ორი ვერსიიდან: ასწავლოს თუ არ ასწავლოს უსინათლო პედაგოგმა უსინათლო ბავშვებს, პირველის სასარგებლოდ გაცილებით მეტი არგუმენტი არსებობს, ბოლო წლების განმავლობაში კი სწორედ მათი და მათი თანამგრძნობი თანამშრომლების მდგომარეობა გაუარესდა.

12 წელიწადს ვსწავლობდი, ხოლო შემდეგ 13 წლის განმავლობაში უკვე მასწავლებლად მოსული თავად ვასწავლიდი ბავშვებს, რომ სულის სიბრმავე არავის გვეპატიება; რომ როცა დრო მოვა, უფალი გვაცხონებს არა ჩვენი თვალის ფერითა თუ ფორმით, არამედ ღვაწლით, ხოლო სიკეთის ქმნა უსინათლოსაც ისევე შეუძლია, როგორც მხედველს.

აკადემიკოსი ვიგოდსკი სიბრმავეს ფიზიკურ ნაკლად მხოლოდ პირობითად განიხილავს, ხოლო წმიდა დედა მატრონასთვის უსინათლობას ხელი არ შეუშლია სრულყოფის გზაზე სვლაში.

საგნის სწავლების პარალელურად, ბავშვებთან ერთად ვამზადებდი საღამოებსა და კონცერტებს, საკუთარი სცენარებისა თუ კლასიკოსთა პიესების მიხედვით ვდგამდი სპექტაკლებს და ბედნიერი ვიყავი, როცა მათს გახარებულ სახეებს ვგრძნობდი.

დროსა და ენერგიას არ ვზოგავდი, რათა ჩემს მოსწავლეებს სკოლის წლები ლამაზად გაეტარებინათ, ხოლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თამამად გაეკვლიათ გზა საზოგადოებაში.

ასე გრძელდებოდა, ვიდრე სკოლაში ახალი დირექტორი არ მოვიდა; ახალი არც ეთქმოდა, ჩვენი კოლეგა იყო. მოვიდა „თავისი გუნდითა" და განუსაზღვრელი უფლებებით, არა სამართლიანობის, არამედ „გუნდური პრინციპების" ერთგული და ნათესავ-მეგობრების დასაქმების ხარჯზე სკოლიდან განდევნა პროფესიონალები, უსინათლოთა ფსიქოლოგიის მცოდნე, მათი მოყვარული, ღირსეული ადამიანები.

ადგილის შესანარჩუნებლად პედაგოგთა ნაწილმა მაამებლობის პოლიტიკას მიმართა, ნაწილიც გულგრილად დადუმდა, ხოლო რამდენიმე „ურჩი" ხმას ვიმაღლებდით და დირექტორს ვთხოვდით, მოფრთხილებოდა საუკეთესო კადრებს. მან კი, ნაცვლად იმისა, რომ ყურად ეღო ჩვენი რჩევა, დევნა-შევიწროება დაიწყო: დაგვიწესდა ყოველდღიური თვალთვალი გაკვეთილებსა და შესვენებებზე, გვიკავებდა ხელფასებს, ადგენდა აქტებსა და ბრძანებებს და ამზადებდა საფუძველს ჩვენს გასათავისუფლებლად.

სექტემბერში, სწავლის დაწყებამდე, ზედიზედ სამი შესანიშნავი თანამშრომელი გაათავისუფლა: აღმზრდელი, ძიძა და „დამხმარე კლასის" უსინათლო პედაგოგი, რომლის კლასიც თითქოს განათლების სამინისტროს ბრძანების საფუძველზე გაუქმდა; რამდენიმე დღის განმავლობაში უსინათლო პედაგოგ თ. აბაშიას „არაეთიკური საქციელის" გამო ბრძანებით ორჯერ გამოუცხადა საყვედური, რათა სულ მალე „იოლად" გაეთავისუფლებინა სკოლიდან.

სამეურვეო საბჭოზე, რომლის წევრიც ვიყავი, ამ ადამიანების შესახებ ვკითხე, რის გამო მან მეც და ქალბატონ აბაშიასაც „უზნეო" გვიწოდა და კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ მას ყველაფრის უფლება აქვს.

საკუთარ თავთან ორი დღე-ღამის ჭიდილის შემდეგ დავწერე განცხადება სკოლიდან იძულებით განთავისუფლების შესახებ, ცხადია, „მოწყალე" დირექტორმა ჩემი უკანასკნელი თხოვნა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა.

პედაგოგის სკოლიდან ამგვარი წამოსვლა ძალიან ჰგავს მის გარდაცვალებას!

„ჩალით ყოფილა ეს ქვეყანა დახურული", — ნაღვლიანად თქვა ერთმა მზიანმა ქალბატონმა სკოლიდან წასვლისას, არა და არ მინდა დავიჯერო, რომ ასეა.

მაშინ, როცა პარლამენტი მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, უსინათლოების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ, უსინათლო პედაგოგებს უსინათლო ბავშვთა სკოლაში აღარ დაგვედგომება.

განათლების ახლადდანიშნულ მინისტრს ბატონ გია გვარამიას მივმართავ თხოვნით, უკვე არა ჩემთვის, არამედ იქ დარჩენილ მოსწავლეთა და პედაგოგთათვის, აღადგინოს სამართლიანობა სკოლაში, რომელიც იქ აღზრდილი ყველა უსინათლოსათვის ტაძარივით ნათელი და წმინდაა!

**ცირა ვეფხვაძე,**
თბილისის 202-ე უსინათლო ბავშვთა
საჯარო სკოლა-პანსიონის
ყოფილი პედაგოგი.

წარდგინება

**ახალი წლის წინადღეებში, ქვეყნის პრეზიდენტს რომ ეგონა, ხალხი გოჭების შეწვითა და ინდაურების ჩასაცივებით არის დაკავებულიო, სმეა-ს სააქტო დარბაზში ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრმა საგანგებო შეკრება მოაწყო, რომელსაც სპეციალისტებთან ერთად არაერთი სხვა მოწვეულიც დაესწრო.**

სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სამეცნიერო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა დავით მუსხელიშვილმა.

საჯარო გამოსვლებში, მეცნიერულ შრომებში, საგაზეთო პუბლიკაციებსა თუ სატელევიზიო ეთერში ბევრი უცხოელი, არაკეთილმოსურნე პოლიტიკური და სამეცნიერო წრეების წარმომადგენელი ეწევა საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხების შეგნებულ ფალსიფიკაციას. ასეთი კამპანია მიმართულია ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და ქართველი ერის სუვერენული უფლებებისათვის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ძირის გამოთხრას, ერის კულტურული მიღწევებისა და მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში შეტანილი წვლილის დაკნინებას ისახავს მიზნად.

ვინ მოთვლის, რამდენი წიგნი თუ სტატია, ტელეგადაცემა თუ ინტერნეტგამოცემა მიუძღვნეს ჩვენმა არაკეთილმოსურნეებმა აფხაზეთის ისტორიის, შიდა ქართლის მთიანეთის ისტორიის, სამხრეთ საქართველოდან 1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობის ისტორიის სხვადასხვა საკითხის გაყალბებულ ინტერპრეტაციას. ეს ყველაფერი ყოველთვის ანტიქართული სულისკვეთებით, არცთუ იშვიათად, საქართველოსა და ქართველების დაუფარავი მტრობითა და სიძულვილით არის განმსჭვალული.

ახლა უკვე აშკარაა, რომ ამ-

## იდეოლოგიური პროვოკაციების წინააღმდეგ

გვარი უხამსი იდეოლოგიური პროვოკაციების წინააღმდეგ ბრძოლას ვაგვიანებთ, ვერ წარვმართავთ ვერც შესაფერისი ეფექტიანობითა და ვერც სათანადო ორგანიზებულობით; თუ მაინც ქვეყნდება რაიმე არგუმენტირებული, დასაბუთებული პასუხი, ეს უფრო ცალკეულ მკვლევართა პირადი თაოსნობაა, საკუთარ წვენში ხარშვა გამოდის, ქართულად „წერე და იკითხე" გამოდის, რასაც თითქმის არასდროს არ მოსდევს საერთაშორისო გამოძახილი, საჭირო მსოფლიო რეზონანსი. ასეთ ვითარებაში პრაქტიკულად მუდამ ვაგებთ საინფორმაციო ომს.

ამ სტრიქონების ავტორი აქ ერთგვარი „წიაღსვლის" ნებას აძლევს თავს. ომი რომ არც ინფორმაციული გვეხერხება და არ ხელგვეწიფება, აგვისტოს მოვლენების შემდგომაც გამოჩნდა. საქმე კურიოზამდე მივიდა — აგერ რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, უთუოდ იდეოლოგიური მრჩევლებით წაქეზებულმა, „თავს რიდე-დგმულმა, სიამაყით გულზე მოსულმა", აფხაზეთის ისტორიაში, აფხაზთა წარმომავლობაში ჩაყო ცხვირი. დედას გაფიცებთ, ამ ისტორიის „პუტინიზებას" თუ მოელოდით ვინმე?..

გავბედავ და იმასაც შევნიშნავ, რომ ინფორმაციულ ომში დამარცხების ცოდვაც, ისევე როგორც ნამდვილ ომში, ხელისუფალთა კისრებზეა, რომლებიც საკუთარი სავარძლების შენარჩუნება-გაძლიერებისათვის იდეოლოგიური ბრძოლით არიან მთლიანად დაკავებულნი და ეროვნული მნიშვნელობის ინფორმაციული ბატალიებისათვის ვეღარ იცლიან და არცა სცხელათ...

თუმცა მივუბრუნდეთ სმეა-ს სააქტო დარბაზში შემდგარ ღონისძიებას. სწორედ ზემოთ აღწერილი სურათიდან გამომდინარე გადაწყვიტა სამეცნიერო ცენტრმა დააფუძნება **საქართველოს ისტორიის თაობაზე გამოქვეყნებული არამეცნიერული ინფორმაციის მოძიებისა და მსგავს პუბლიკაციებზე დროული რეაგირების სამეცნიერო ჯგუფისა (ინფორმჯგუფისა).** ის მოწოდებული იქნება, რომ დროული და არგუმენტირებული პასუხი გასცეს ყოველ ამნაირ გამოხდომას, გაანეიტრალოს საქართველოს არაკეთილმოსურნეთა ნებისმიერი პუბლიკაცია, შექმნას და ინტერნეტში განათავსოს ინტერნეტ-პორტალი და ინტერნეტ-ჟურნალი, მოამზადოს და გამოსცეს სპეციალური ლიტერატურა უცხო ენაზე, დაამუშაოს სადისკუსიო თემები, უპასუხოდ არ დატოვოს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ანტიქართული სულისკვეთებით გაჟღენთილი არც ერთი მცდელობა და ფსევდომეცნიერული გამოკვლევა.

სწორედ ამ ინფორმჯგუფის პრეზენტაცია გახლდათ სამეცნიერო ცენტრის იმდღევანდელი შეკრების არსი.

გავესაუბრეთ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს, პროფესორ ალეკო დაუშვილს.

**— ბატონო ალეკო, კვლავ ისე ხომ არ წავა საქმე, რომ იდეოლოგიურად თავს დაგვესხმებიან რუსულ თუ ინგლისურ ენებზე, რომლებსაც მსოფლიოში ქართულზე გაცილებით მეტი „გამავლობა" აქვთ, მსმენელთა და მკითხველთა უზარმაზარი კონტინგენტი ჰყავთ, ჩვენ კი მხოლოდ ქართულად მოვიოხებთ გულს, ჩვენთვის დავწერთ და წავიკითხავთ, მკერდში მჯიღს დავიშენთ...**

— არა, არ უნდა წავიდეს... უკვე შედგენილია ჯგუფის ხარჯთაღრიცხვა, რომელშიც გათვალისწინებულია სწორედ ინგლისურ და რუსულ ენებზე ყველა დასკვნის გაკეთება. არა მარტო დასკვნები, უცხო ენებზე მონოგრაფიები დაიწერება და დაისტამბება, საამისოდ გვეყოლებიან და უკვე შერჩეულიც გვყავანან, როგორც ექსპერტები, ისე მთარგმნელები. რა თქმა უნდა, თანადგომა, დახმარება დაგვჭირდება საზოგადოებრიობისაგან, განსაკუთრებით ბიზნესმენთაგან.

**— დახმარება არც მთავრობისგან გაწყენდათ, ბატონო ალეკო...**

დიახ, სამეცნიერო ცენტრის გამგეობა იმედოვნებს, რომ ქვეყნის საზოგადოებრიობა, მასმედია, ყოველი დაინტერესებული მოქალაქე გვერდში ამოუდგება მას, რომ წარმატებით დაგვირგვინდეს ეს დიდი მამულიშვილური საქმე. მასმედიას რაც შეეხება, „საქართველოს რესპუბლიკამ" ამ პუბლიკაციითაც დაამტკიცა, რომ საამისოდ მზად არის...

**თამაზ ებანოიძე**

## ისმინე, სწავლის მძებნელო...

***ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი იმდენად პოპულარულია, რომ ამ უმაღლეს სასწავლებელს მისი სახელით მოიხსენიებენ — თავართქილაძის უნივერსიტეტი.***

***აი ეს თავართქილაძე, ბატონი გურამი იანვრიდან ახალ უნივერსიტეტს ხსნის — კერძოს, ლიცენზირებულს — თბილისის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტს, ლოტკინზე, უნიკალურ გარემოში, კრიალას, სავსეს სივრცითა და სიახლის სურნელებით, ახალი მერხებით გაწყობილი, კეთილმოწყობილი აუდიტორიებით, კომპიუტერული ცენტრებითა და ბევრი, ბევრი სიახლით.***



ახალი უნივერსიტეტის ხედი.

# თავართქილაძის ახალი უნივერსიტეტის დაბადება

ყველაფერზე, რასთანაც შეხება ჰქონდა თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობის სფეროში, საკუთარი შეხედულება აქვს — ობიექტური, მყარი, რაც მისი შინაგანი რწმენიდან გამომდინარეობს და მდიდარი გამოცდილებით არის დადასტურებული.

მისი კრედო სამ „ვეშაპზე“ დგას: განათლება, ზნეობა, დისციპლინა. ეს ტრიადა თავის მხრივ სტუდენტის პიროვნებისადმი ნდობასა და პატივისცემაზეა დაფუძნებული. უკუგება, შეიძლება ითქვას, ასპროცენტიანია.

ყველაფერი პიროვნებაზეა დამოკიდებული, ადამიანზე, ვისაც ტრადიციისა და სიახლის გონივრული შეხამება ხელეწიფება.

**— ერთ დღეს შემოვედი ეზოში და ვხედავ, რამდენიმე სტუდენტი გარეთ დგას,** — იხსენებს ბატონი გურამ თავართქილაძე, **— სწავლა ათი წუთის დაწყებულია. შეწუხებულები ჩანდნენ. ვკითხე, რატომ ხართ გარეთ-მეთქი, რა ხდება? მითხრეს, რომ მათ ჯგუფელს მამა გარდაცვლოდა.**

**— ყმაწვილებო, — ვუთხარი, — წადით იმ ოჯახში, მეგობარს გვერდით დაუდექით. და როცა მოიხდით თქვენს ვალს, მოდით და გაცდენილი საათები ავანაზღაუროთ. ამ უბრალო საუბრით ისეთი კმაყოფილები დარჩნენ, რომ მეტი აღარ შეიძლება...**

ამგვარი დამოკიდებულებით მოიპოვება ის ავტორიტეტი, რომელიც გურამ თავართქილაძეს აქვს: სტუდენტი გრძნობს, როგორი პატივისცემით ეპყრობიან და ისიც ადეკვატურად უპასუხებს.

ამ ყველაფერზე ამდენი იმიტომ გელაპარაკეთ, რომ სანამ ინტერვიუს წაიკითხავთ, იცოდეთ, პატივცემულო მშობლებო და მომავალო სტუდენტები, ვის ხელში მოხვდებით, როცა გადაწყვეტთ სწავლა განაგრძოთ თბილისის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის ახალ უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეებზე.

ახალი უნივერსიტეტი — მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, მიუხედავად უამრავი ლიცენზირებული თუ არალიცენზირებული უმაღლესი სასწავლებლისა, რომლებიც საქართველოში ფუნქციონირებს!

**— როგორ გარისკეთ, ბატონო გურამ?** — ამ შეკითხვით დავიწყე საუბარი რექტორთან.

— არა მგონია, რომ რისკზე მივდივარ. ყოველი კაპიკი, რომელიც ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლებისთვისაა გამიზნული, რაც გინდა მოხდეს, დაკარგული არ არის. მით უფრო დღეს, როცა ყველა წარჩინებულ მოსწავლეს სახელმწიფო საშუალებას აძლევს ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ სწავლა განაგრძოს უმაღლეს სასწავლებელში.

მეტსაც გეტყვით, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, გრანტით მოვა ახალგაზრდა თუ ამის გარეშე. კარგად თუ ისწავლის, ექნება სტიპენდია 60 ევროს ეკვივალენტური ლარებში. 92 ქულა და მეტი თუ ექნება შეფასება სტუდენტს, სტიპენდიაც გარანტირებულია. 1560 ლარი. ამას ემატება ის თანხა, რომელსაც სახელმწიფო გადაუხდის. სწავლის საფასური ერთი წლით ჩვენთან 3000 ლარი იქნება. ნიჭიერ ბავშვებს, ვის მშობლებს, შეიძლება, ფინანსურად უჭირთ, სწავლა აბსოლუტურად უფასო გამოუვა. ცოტა კიდეც დარჩებათ პირადი მოხმარებისთვის... თანაც, ერთბაშად კი არ გადაიხდიან, არამედ ოთხ ნაწილად.





ახალი ბიბლიოთეკა და აუდიტორიები ელოდება სტუდენტებს.

ყველაფერ ამის გამო ღირს ნებისმიერ რისკზე წასვლა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, სარისკო არაფერია — ყველაფერი გათვლილი გვაქვს.

ბატონი გურამი იმასაც მეუბნება, თუ რატომ არის კატეგორიული წინააღმდეგი იმ მახინჯი მოვლენის, როცა ლექტორები თავიანთ წიგნებს უმაღლესებში ასაღებენ: — ამით ისწავლეთ და ჩამაბარეთო. ეს კორუფციული გარიგების ერთ-ერთ ფორმად მიაჩნია.

სტუდენტისთვის სწავლების კომფორტული პირობები უზრუნველყოფილია: ჩაწერილი ლექციები (169 ლექცია აქვთ ჩაწერილი), ელექტროფოსტით ლექტორებთან, კათედრებთან ურთიერთობა და ა. შ. თუნდაც, დისტანციური სწავლება, რამაც უნდა შეცვალოს დრომოჭმული და უსწრებელი სწავლების პრაქტიკა, ახალგაზრდებს საშუალება მიეცემა სწავლა შეუთავსონ შრომას, სამუშაოდან მოუწყვეტლად ისწავლონ. ეს კი ჩვენი, არცთუ დალხენილი, ცხოვრების პირობებში ფრიად მნიშვნელოვანია.

— თუ სტუდენტს სწავლის ფულს ვახდევინებთ, აუდიტორიაც კეთილმოწყობილი უნდა დავახვედროთ და იმ აუდიტორიაში უმაღლესი კვალიფიკაციის ლექტორი უნდა შევიდეს, — ამბობს ბატონი გურამი.

დავეთანხმოთ, უნდა დავეთანხმოთ, რადგან მისი ეს კრედო გამომდინარეობს არა მარტო მისი ფართო განათლებიდან და ერუდირებულობიდან, არამედ უმდიდრესი პრაქტიკიდან, გამოცდილებიდანაც: 18 წელიწადი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის (ადრე ინსტიტუტის) რექტორი იყო. დღეს კი, როგორც თვითონ ამბობს — ადმინისტრაციის წარმომადგენელია, 1994 წლიდან საქმიანი კონტაქტები აქვს დამყარებული გერმანიის ჰაილევიტელზერგის უნივერსიტეტთან — სწავლების ახალი მეთოდები, ახალი პროგრამები და ა. შ. და ა. შ. რეფორმებს არ დალოდებია!

**— არ გეშინიათ, რომ თქვენი ძველი და ახალი უნივერსიტეტები ერთმანეთს კონკურენციას გაუწევს?**

— არა. პირიქით. არსებულმა უნივერსიტეტმა თავისი ადგილი საქართველოს განათლების სისტემაში უკვე დაიმკვიდრა. ახალს სწორედ იგი დაეხმარება სამეცნიერო კადრებით, პროგრამებით, გამოცდილებით. ახალ უნივერსიტეტში წამოვლენ ისეთი პოპულარული მეცნიერები, როგორებიც არიან დავით იაკობიძე, რეგინა იაკობიძე, რომლის ლექციები თავიდან ბოლომდე შემოქმედებაა, ლადო ჭანტურია, რომელიც ორ თვეში ერთხელ ათი დღით ჩამოვა გერმანიიდან და ლექციების კურსს გაუძღვება, გამოცდილი რომან შენგელია, იაკობ ფუტკარაძე, გია მეფარიშვილი — საინტერესო პიროვნება და მეცნიერი, ვენედი ბენიძე და სხვები.

ბებერი ხარის რქებიც ხნავსო და წინა თაობის მეცნიერებსაც მიიწვევს ახალ უნივერსიტეტში, ღვაწლმოსილ ადამიანებს: ოთარ გამყრელიძეს, ვალერიან ლორიას, — იურიდიული მეცნიერების კორიფეებს, რომლებიც შესაფერი სამუშაოთი დაკავდებიან.

— გადაწყვეტილი მაქვს, უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის სწავლება შემოვიღოთ. მინდა ისეთი ჟურნალისტები აღვზარდოთ, რომლებიც ეთიკურადაც მოწესრიგებული იქნებიან და მეტყველების კულტურასაც დაუფლებულები. ამ ფაკულტეტთან თანამშრომლობის თხოვნით მივმართეთ ბატონ ნუგზარ ფოფხაძეს, ქალბატონ ნატო ონიანს, ბევრ საინტერესო ადამიანს. ტურიზმის შესწავლას სათავეში ჩაუდგებიან ნიკა კვარაცხელია, მაია უკლება, კოტე აბულაძე.

დღეში ერთ საგანს ვასწავლით — 3 ასტრონომიული საათის განმავლობაში: პირველი საათი თეორია, მეორე — პრაქტიკა, მესამე — გამოკითხვა: საშინაო დავალებას შემდეგი კვირის იმავე დღისთვის ამზადებენ. სწავლების ციკლი კი ასეთია — ხუთი კვირა სწავლა, მეექვსე — გამოცდა.

**— ისწავლიან (კარგადაც ისწავლიან) თქვენთან სტუდენტები. დაამთავრებენ. როგორი პერსპექტივა ესახებათ შრომითი მოწყობის თვალსაზრისით?**

— სასწავლო პრაქტიკის პროგრამები დავამუშავეთ იმ ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც დაინტერესებულები არიან ჩვენი კურსდამთავრებულების მიღებით. იუსტიციის სამინისტროსთან, მაგალითად, შეთანხმებული ვართ, სტუდენტები სწავლების პროფილის მიხედვით მივამაგროთ სასამართლოებს, პროკურატურას, ადვოკატურას, ნოტარიატებს. პრაქტიკულ ჩვევებს სტუდენტები ჩვენს უნივერსიტეტშიც დაეუფლებიან — „სასამართლო კლინიკაში“, სადაც გამოცდილ მოსამართლეებთან და პროკურორებთან ერთად ჩაატარებენ სასამართლო პროცესების იმიტაციას.

გვექნება სასწავლო გაზეთიც, ტელესტუდიაც, კავშირი დავამყარეთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასთან“, ქვეყნის მასმედიის სხვა წამყვან გამოცემებთან.

ახალგაზრდულ კლუბში, რომელიც ახალ უნივერსიტეტში გაიხსნება, სტუდენტებს საშუალება ექნებათ მოაწყონ დისპუტები, საინტერესო შეხვედრები, გაიცნონ ერთმანეთი.

**— ამ გრანდიოზული პროგრამის განხორციელებას უთუოდ დასჭირდა და კვლავაც დასჭირდება ფინანსები. ფული საიდან, ბატონო გურამ?**

— უწინარეს ყოვლისა, ბიუჯეტიდან, რომელიც შემოსული თანხის — სწავლების ღირებულების მეშვეობით ჩამოყალიბდება. შემდეგ — სპონსორობა, რომელიც, სამწუხაროდ, მრავალთათვის წყალზე დაწერილი მცნებაა. ერთადერთი კაცი, რომელმაც ამ საქმეში ხელი გაგვიმართა, ბიზნესმენი ავთანდილ წერეთელია.

დიდხანს ვილაპარაკეთ. ოციოდ წლის წინათ ასეთ ადამიანებს ნოვატორ პედაგოგებს უწოდებდნენ და ხელისგულზე ატარებდნენ... ვილაპარაკეთ სპორტზე უმაღლეს სასწავლებელში, ტექნიკურ აღჭურვილობაზე, ბევრი თემა გავშალეთ და კიდევ ბევრი დაგვრჩა სალაპარაკო. როგორ გგონიათ, უბანს არ შევეხებოდით, ლოტკინის მთას, სადაც ახალი უნივერსიტეტი მდებარეობს?

**— რატომ მაინცდამაინც ლოტკინის უბანი?**

— ჩემი უბანია. აქ მიმიყვანეს და საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმი ჩამაბარეს. შემდეგ ევროპულ დონეზე გავედით, იმელშდტატის კოლეჯთან, კომერციის სასწავლებელთან დავამყარეთ საქმიანი ურთიერთობა. ჩვენი სასწავლებლის ბაზაზე მაშინ გაიხსნა კომერციის პირველი კოლეჯი.

ბატონი გურამი მადლობელია აშშ-ში ჩვენი ყოფილი ელჩის თედო ჯაფარიძისი, რომელმაც ამერიკელ კოლეგებთან კონტაქტების დამყარებაში ხელი შეუწყო.

თბილი სიტყვით იხსენებს ხუტა მამალაძეს: „საქსოფლტექნიკაში“ მუშაობდა და სასწავლებლის ავტობუსებისთვის რამდენჯერ მოუციაო მარაგნაწილები და საბურავები. და — სრულიად მოულოდნელი სპონსორი, რომელმაც უბნელების სახელით 10 ათასი დოლარი მიუტანა — სასწავლებელს მოახმარეო. თავისით. არავის უთხოვია, ისე. იციან უბანში პატივისცემა. აგერ ახლახან რექტორი სამარშრუტო ტაქსების პატრონებს მოელაპარაკა და ისინიც ნახევარ ფასად ამოიყვანენ სტუდენტებს ლოტკინზე, უნივერსიტეტის რამდენიმე ავტობუსი ქალაქის ყველა რაიონის გავლით უფასოდ ატარებს მათ, ხოლო ქალაქის მერიის თანამშრომელმა, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ანდრო ალავიძემ თავართქილაძის თხოვნა უყურადღებოდ არ დატოვა და ამიერიდან 36-ე და 48-ე ავტობუსები უნივერსიტეტის გავლით გააგრძელებენ მარშრუტს.

სანაცვლოდ რას მიიღებენ უბანში? ამოდენა უმაღლესის ამოქმედება აქაურებს გარკვეულწილად გადაუწყვეტს დასაქმების პრობლემას, სოციალურ საკითხებს, მომსახურების სფეროში არაერთი და ორი კაცი დაკავდება, გაქირავდება ბინები, რომლებიც აქ სხვა უბნებთან შედარებით გაცილებით იაფია, აქაური ბავშვებისთვის პირველი მზიურელი ლია ხორბალაძე ბავშვთა ანსამბლს მოამზადებს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

**ასე რომ, მიბრძანდით, სწავლის მძებნელებო, გურამ თავართქილაძის ახალ უნივერსიტეტში!**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## ინფორმაცია

მიმდინარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების: „ავტოტრანსრეგულირება თბილისი“-ს, „ავტოტრანსრეგულირება შიდა ქართლი“-ს, ავტოტრანსრეგულირება ქვემო ქართლი“-ს, „ავტოტრანსრეგულირება სამეგრელო-ზემო სვანეთი“-ს, „ავტოტრანსრეგულირება სამცხე-ჯავახეთი“-ს, „ავტოტრანსრეგულირება ფოთი“-ს, „ავტოტრანსრეგულირება კახეთი“-ს და „ავტოტრანსრეგულირება გურია“-ს შერწყმა.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ გამოგვეხმაურონ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6, მე-6 სართული, შპს „საქავტოტრანსუზრუნველყოფა“. ტელ: (22) 34-21-18, 8(99) 57 42 98.

## სსიპ „საწარმოთა მართვის“ სააგენტო აცხადებს:

2008 წლის 30 დეკემბრიდან სს „საქენერგოგაწყობასთან“ შპს „სათბობენერგოინფორმატიკის“, სს „ელექტრომომარაგების“, შპს „სატრენაჟორო სასწავლო ცენტრის“, შპს „ინფორმელექტროსა“ და შპს „სისტემის“ შერწყმას.

## შეზღუდული პასუხისმგებლობის სააგენტო მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იოლი კრედიტის“ ლიკვიდაციის შესახებ

განმეორებით გაცნობებთ, რომ 2008 წლის 14 ნოემბერს დაიწყო შეზღუდული პასუხისმგებლობის სააგენტო მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იოლი კრედიტის“ ლიკვიდაცია, ლიკვიდატორად დანიშნულია ბატონი ვაჟა მაისურაძე.

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №114; ტელეფონი 995(32) 555 555 (1025).

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კმარა დათვის გაღიზიანება

**ომმა საქართველოში, ზაფხულში რომ მოხდა, გააუარესა ისედაც დაძაბული ურთიერთობა მოსკოვსა, ერთი მხრივ, და ვაშინგტონსა და გაერთიანებულ ევროპას შორის, მეორე მხრივ. ახლა, როდესაც ეს კონფლიქტი უკან დარჩა, მწიფდება კიდევ უფრო სერიოზული კრიზისი.** მისი თავიდან ასაცილებლად საჭიროა შევიგნოთ, რომ დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა არასწორად. მხოლოდ ამის გაგების შემდეგ შეძლებს მომავალი პრეზიდენტი მოკლევადიან პერსპექტივაში, არ დაუშვას ამ ურთიერთობათა კიდევ უფრო გაუარესება, ხანგრძლივი ვადით კი განახორციელოს კურსი, რომელიც საბოლოო ჯამში შეიძლება მიგვიყვანს რუსეთის უფრო სრულ ინტეგრაციამდე დასავლეთის შემადგენლობაში.

ომის პროვოცირება საქართველოში გამოიწვია თბილისის მცდელობამ დაებრუნებინა თავის კონტროლის ქვეშ სამხრეთ ოსეთი. სხვათა შორის, საქართველოს უკმაყოფილება რუსეთს გაუჩნდა ჯერ კიდევ ამ მოვლენამდე: იგი დაკავშირებული იყო საქართველოს სწრაფვით შესულიყო ნატოში სხვა პოსტკომუნისტური სახელმწიფოების მაგალითის შესაბამისად. და ამისთვის კი პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება ვაშინგტონს. ნატოს გაფართოების ამერიკული პოლიტიკა „ცივი ომის“ შემდეგ ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა, რომლებმაც განაპირობეს რუსეთთან დასავლეთის ურთიერთობის გაუარესება. მოსკოვისთვის პრობლემა იყო ის, რომ, მისი აზრით, ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა დაპირებებს, რომლებსაც დასავლეთიდან ღებულობდა. რუსები დარწმუნებული იყვნენ, რომ 1990 წელს ამერიკული და გერმანული ოფიციალური წრეები კისრულობდნენ ვალდებულებას, არ გამოეყენებინათ მოსკოვის სისუსტე ნატოსკენ სწრაფვაში. როდესაც დასავლელმა ლიდერებმა ეს დაპირება დაარღვიეს, რუსეთის მხარეს გაუჩნდა ეჭვები: შეიძლება კი იმათი ნდობა? თანაც გაფართოების პროცესსაც თან ახლდა ამერიკელი ჩინოვნიკების არაგულწრფელი დაპირებანი. ისინი ყველანაირად უწევდნენ რეკლამას მას, როგორც დემოკრატიას. მაგრამ პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის დემოკრატიისკენ სწრაფვა ისედაც არ იწვევდა ეჭვს. თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს ნამდვილად სწამდა, რომ ქვეყნის წევრობა ნატოში საუკეთესო საშუალებაა თავისუფალი არჩევნებისა და ქვეყნის მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების უზრუნველსაყოფად, მას დაუყოვნებლივ უნდა შეეთავაზებინა მისთვის შეერთებოდა ალიანსს – ყველაზე დიდი პოსტკომუნისტური სახელმწიფო – რუსეთი. ამის ნაცვლად მოსკოვს აცნობეს, რომ ორგანიზაციაში მას შესვლის იმედი არ უნდა ჰქონდეს.




ნატოს გაფართოებამ რუსეთს უჩვენა კიდევ ერთი სამწუხარო გეოპოლიტიკური გაკვეთილი. ეს პროცესი გრძელდებოდა მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა, ვინაიდან მოსკოვი იყო ძალიან სუსტი, რომ ხელი შეეშალა ამისთვის. შედეგად რუსები მივიდნენ დასკვნამდე: იმისათვის, რომ მომავალში ქვეყანას ჰქონდეს ხმის უფლება ევროპულ საქმეებში, უნდა შეეძლოს დაიცვას თავისი პოზიცია, მათ შორის სამხედრო საშუალებებითაც. ამგვარი აზროვნების შედეგი იყო სწორედ მოვლენები საქართველოში.

ვინაიდან ნატოს გაფართოება ხდებოდა რუსეთის ნების წინააღმდეგ, თავად იგი კი მის გარეთ დატოვეს, დადგა იმ იმედის დასასრულიც, რასაც ვარაუდობდნენ ევროპაში უშიშროების ახალი სისტემის შექმნით.

რა უნდა გააკეთოს დასავლეთმა ამჟამად საქართველოს საკითხთან დაკავშირებით?

მიმზიდველი ვარიანტები მას არ გააჩნია. უმალვე ომის დამთავრებისთანავე შეერთებული შტატების ზოგიერთი მოღვაწე კვლავ გამოვიდა მოწოდებით მიეღოთ საქართველო ნატოში. მაგრამ ნატო – ეს სამხედრო ურთიერთდახმარების ორგანიზაციაა. თუ საქართველო შევა მის რიგებში, ეს ნიშნავს, რომ, ახალი სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში რუსეთთან, მოკავშირეები უნდა მივიდნენ მის დასახმარებლად. ამისთვის დასავლეთს მოუწევს განათავსოს თავისი ჯარები, ტანკები, თვითმფრინავები და შეიძლება ბირთვული იარაღიც რუსეთის საზღვართან, რაზეც მოსკოვს შეუძლია უპასუხოს პროპორციული ზომებით. ეს კვლავ უბიძგებდა ევროპას სამხედრო დაპირისპირებისკენ, რაც მან გადაიტანა ცივი ომის წლებში. ამგვარი საშიშროების შესაბამისად დასავლეთ-ევროპული სახელმწიფოები, ალბათ, აუცილებლად დაადებენ ვეტოს საქართველოს შესვლას ნატოში. თუ ვაშინგტონი თავის პოზიციაზე დარჩება, ამან შეიძლება გამოიწვიოს კიდევ ერთი მწვავე დავა ძველ და ახალ სამყაროებს შორის.

როგორ გადაწყვეტს ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგი პრეზიდენტი ამ დილემას? მოკლევადიან პერსპექტივაში მან უნდა მისდიოს სამკურნალო ეთიკის ანდერძს: მთავარია – ზიანი არ მიაყენო. ეს კი ნიშნავს იმის აუცილებლობას, რომ გადაიდოს უკეთესი დროისთვის წინადადება საქართველოს (აგრეთვე უკრაინისაც) ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით.

რასაკვირველია, უშიშროების სისტემის აღორძინება, რომელიც დამყარებული იქნება თანამშრომლობაზე და რომელსაც საქმე ექნებოდა დღევანდელ რუსეთის ხელისუფლებასთან, ადვილი არ იქნება. ეს ხელისუფლება განუხრელად ზღუდავს დემოკრატიულ პროცედურებს, ბევრი მისი კრიტიკოსი დაიღუპა ძალადობრივი სიკვდილით. დაბოლოს, იგი ახალისებს ორგანიზაციებს, რომლებიც თავის პრინციპად აღიარებენ ნაციონალიზმის მახინჯ ფორმებს. ამგვარი ხელისუფლება არ იმსახურებს ნდობის ისეთ დონეს, რაც საჭიროა ნამდვილი თანამშრომლობისთვის.

**მაიკლ მანდელბაუმი**

**Newsweek**

◎ ასეთს გვხედავენ!



*„როიტერი“ აქვეყნებს დოკუმენტს:*

## 2008 წლის პლანეტის გმირები და ანტიგმირები

### წლის პოლიტიკური სირცხვილი – მიხეილ სააკაშვილი

**საქართველო გადააქცია ბანანის რესპუბლიკად, მოახდინა შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირება კავკასიაში, მოაწყო ხალხის გენოციდი, გაურბოდა არარსებულ თვითმფრინავს, ღეჭავდა თავის ჰალსტუხს ტელეეკრანებზე, სცემა საქართველოს პრემიერ-მინისტრი.**

„როიტერის“ გამოქვეყნებული დოკუმენტი, რომელიც შეეხება საქართველოს პრეზიდენტს – „მიხეილ სააკაშვილი: პიროვნების ფსიქოლოგიური გამოკვლევა“ მოამზადეს მთელმა რიგმა უცხოელმა სპეციალისტებმა. დოკუმენტი ხუთი თავისგან შედგება, მათ შორის, დიაგნოზისა და რეკომენდაციებისგან. კერძოდ, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ საქართველოს პრეზიდენტს აქვს „ძლიერი პარანოიდული მოშლილობა პიროვნების ისტეროიდული ტიპის დროს ნარცისიზმის კომპლექსთან ერთად შიზოფრენიის ფონზე“.




## დეზინფორმაცია ოსეთში ომის შესახებ

**15 აგვისტოს „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა სტატია დიუკენის უნივერსიტეტის რუსეთელი სტუდენტის ოლგა ივანოვას ხელმოწერით, რომელიც მაშინ გადიოდა სტაჟირებას გაზეთის რედაქციაში.** მასში, ერთი წყაროს მითითებით, ქალბატონი ივანოვა წერდა საქართველოსა და რუსეთს შორის ომზე ოსეთში: „რამდენიმე საათის განმავლობაში ქართულმა ქვედანაყოფებმა დაანგრიეს ცხინვალი, ქალაქი, რომელშიც ცხოვრობდა 100 ათასი კაცი და დახოცეს 2 ათასი მშვიდობიანი მოსახლე“.

23 დეკემბერს ოფიციალურმა რუსულმა გამოკვლევებმა დაადგინეს, რომ სინამდვილეში ქართულმა ჯარებმა მოკლეს სულ 162 მშვიდობიანი მოსახლე, ხოლო ცხინვალი მსუბუქად დაზიანდა და არ „დანგრეულა“. ცრუ მტკიცებანი, რასაც ემყარება ქალბატონი ივანოვას კომენტარები, იწვევს ღრმა შეშფოთებას.

თუმცა იგი ამას არ აღიარებს, მისი ერთადერთი წყარო იყო თავად კრემლი, რომელიც ძნელად რომ მიიჩნიო საიმედო წყაროდ. მტკიცება 2 ათასი დაღუპული მშვიდობიანი მოსახლის შესახებ უმალვე დაისვა ეჭვქვეშ, მოგვიანებით კი მრავალგზის იქნა უარყოფილი. მაგრამ ქალბატონმა ივანოვამ გადაწყვიტა მისი წარმოდგენა ფაქტის სახით.

უმაღლესი დონის ირონიაა ის, რომ ქალბატონმა ივანოვამ გადაწყვიტა გაეკრიტიკებინა ამ მოვლენის ამერიკული გაშუქება. რუსეთის დაზვერვის სამსახურები დაუღალავად შრომობენ დეზინფორმაციის გასავრცელებლად სამხედრო კამპანიის შესახებ, რომელიც სამართლიანად იქნა დაგმობილი მთელ მსოფლიოში, და ასეთი საქმიანობის რისკები უფრო ცხადი უნდა იყოს ქალბატონი ივანოვასათვის.

**კიმ ზიგფელდი**

**The Washington Post**

# უმიზნოდ განვლილი წლები

**„ვარდების რევოლუციამ“ გააწბილა საქართველოს მოსახლეობის იმედები უკეთესი ცხოვრებისთვის და საბოლოოდ მოახდინა თავისი ბელადების დისკრედიტაცია. საახალწლო „საჩუქრებად“ მრავალი ათასი ქართველისთვის გახდა ცნობები სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, ხოლო კიდევ მრავალი ათასი კაცი შიშით შეხვდა დღესასწაულს, რომელიც მათ ჰპირდება უიმედო მომავალს, სიღარიბესა და შიმშილს.**

„შავად“ იქცა საახალწლო დღეები საქართველოს ბანკების ბევრი თანამშრომლისთვის, თანაც ყველაზე დიდი და მყარად მიჩნეული ბანკების თანამშრომლებისთვის. მარტო „საქართველოს ბანკში“ ელექტრონული ცნობა გათავისუფლების შესახებ, არაოფიციალური მონაცემებით, უკვე მიიღო 1200 თანამშრომელმა. ეს შეეხო მათ, ვინც უზრუნველყოფდა ეგრეთ წოდებულ მომენტალურ კრედიტებს ქვეყნის სავაჭრო წერტილებში. ბანკის ხელმძღვანელობის განცხადებით, სექტემბრიდან მნიშვნელოვნად შემცირდა კრედიტების გაცემა და ამ განყოფილებაში უკვე არ არის ასეთი ოდენობის თანამშრომელთა შენარჩუნების აუცილებლობა.

ხარჯების შემცირების მიზნით ათავისუფლებენ სხვა ბანკების თანაშრომლებსაც. „თიბისი ბანკში“, მაგალითად, გაათავისუფლეს 300 თანამშრომელი, რაც პერსონალის 10 პროცენტს შეადგენს. ოპტიმიზაციის პროცესი მიმდინარეობს „სახალხო ბანკშიც“, რომელიც დამთავრდება თანამშრომლების გათავისუფლებით 15 იანვარს. ამ საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებას აქვს ყველაზე დიდი და განვითარებული ფილიალების ქსელი და საანგარიშგებო-საკასო ცენტრები.

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, საბანკო სექტორისა და სავაჭრო სფეროს მუშაკთა 20-დან 30 პროცენტამდე თანამშრომელი დაკარგავს სამუშაოს. მაგრამ ყველაზე დიდ დარტყმას მიიღებენ ბიზნესის მშენებლობაზე: პროგნოზების მიხედვით, მასში დასაქმებულთა 70 პროცენტი გათავისუფლებული იქნება. ამჟერად შეჩერებულია უკვე პრაქტიკულად დაწყებული ობიექტების მშენებლობა, გაჭირვებით მიმდინარეობს მშენებლობა მხოლოდ იმ ობიექტებზე, რომლებიც დასრულების სტადიაშია.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ბანკები სერიოზულ კრიზისს განიცდიან ლიკვიდობასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეულია მსოფლიო საფინანსო კრიზისით, აგრეთვე სამხრეთ ოსეთში ომით. 2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ეგიდით გაიმართა საერთაშორისო დონორული კონფერენცია საქართველოსთან დაკავშირებით, რომლის დროსაც რამდენიმე ქვეყანამ, ორგანიზაციამ და კერძო კომპანიამ გამოთქვა მზადყოფნა გამოუყოს თბილისს 2008-2010 წლებში დაახლოებით 4,55 მილიარდი დოლარი საქართველო-ოსეთის კონფლიქტის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

2003 წლის დასასრულისთვის ახალგაზრდა რეფორმატორებმა ამერიკის შეერთებული შტატების პატრონაჟით გამოგლიჯეს ხელისუფლება „თეთრ მელა“ შევარდნაძეს, რომელიც უკვე დაძაბუნების ასაკში იმყოფებოდა. და ყველა ამ განვლილი წლების განმავლობაში პრეზიდენტი სააკაშვილი თავის გუნდთან ერთად დაუღალავად ჰპირდებოდა თანამოქალაქეებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, სიღარიბის ლიკვიდაციას და კეთილდღეობის სწრაფ ზრდას.

სინამდვილეში კი პატარა რესპუბლიკამ დიდი ხნის განმავლობაში, თუ სამუდამოდ არა, დაკარგა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. სავალალო შედეგებად იქცა რეჟიმის მცდელობა, მთელი ბრალდება დაეკისრებინა „გარეშე მტრის“ ძალებისთვის. მსოფლიო საფინანსო კრიზისიც ვერ იქცევა „ჯადოსნურ ჯოხად“ – სააკაშვილი ამაყად ამტკიცებს, რომ საქართველოში ეკონომიკა მხოლოდ „შენელდა“ და იგი „მტკიცდება“ კიდეც.

მაგრამ ზედაპირული ანალიზიც კი გვარწმუნებს, რომ საქართველოში ვარდების რევოლუციის დროიდან ეკონომიკა ერთ ადგილზეა გაყინული და საგრძნობი შედეგები არ ჩანს. ესე იგი, განვლილი ხუთი წელი აღმოჩნდა უმიზნოდ განვლილი წლები.

**ალბერტ ვენალაინენი**

**РОСБАЛТ**

**◉ ჭორის კვალდაკვალ**

# როცა პურის მაგივრად ფქვილს აცხობენ

***რუსეთის** აგრესიამ და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ხელი შეუწყო ფასების მატებას სამომხმარებლო ბაზარზე. ვარაუდი, რომ პურის ფასიც მოიმატებდა, საბედნიეროდ, არ გამართლდა.*

*ადგილობრივ ხორბალს ჩვენს ბაზარზე დღეს 20-25 პროცენტი უკავია, იმპორტირებულს კი — 70-80 პროცენტი, რატომ აღვნიშნავ ამას ასე ხაზგასმით?*

*იმიტომ, რომ, როგორც აღვნიშნე, ძირითადად იმპორტირებულ ხორბალსა და პურის ფქვილს ვიყენებთ. პრესაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ 1 იანვრიდან თბილისში კაპროვის ხოჭოთი დაავადებული ფქვილის დიდი პარტია შემოვაო.*

*ესლა გვაკლდა, ხალხი, ცოტა არ იყოს, პანიკაში ჩავარდა. ყველგან ამ ხოჭოიანი ფქვილის შესახებ იყო საუბარი. დღეს გასაკვირი არაფერია, ამიტომ გადავწყვიტე საკითხისთვის ნათელი მომეფინა.*

*საქართველოში დღეს 80-მდე სხვადასხვა სიდიდისა და სიმძლავრის წისქვილკომბინატი მუშაობს. ხორბლის ინდუსტრიაში პრობლემათა დასაძლევად წამყვან მეწარმეთა ერთი ჯგუფი გაერთიანდა და შექმნეს ასოციაცია „გლობალ-აგრო“. მე სწორედ ამ ასოციაციაში დავრეკე. ბედად გენერალური დირექტორი **ლევან სილაგავა** ადგილზე იყო და ჩვენი საუბარიც შედგა.*

— დაავადებული ფქვილის, კერძოდ კაპროვის ხოჭოთი დასნებოვნებული ფქვილის შესაძლო შემოტანის შესახებ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია აბსოლუტურად ტყუილია — თქვა ბატონმა ლევანმა, — ეს მავნე ჭორი, ალბათ, გაჭირვებული მოსახლეობის კიდევ უფრო დაზაფვრას ემსახურება. ჯერ ერთი, წისქვილკომბინატებს ფქვილი კი არა, ხორბალი შემოაქვთ, ფქვავენ და ისე ყიდიან. ჩვენ ხორბალს არ ვყიდით, ვყიდით ფქვილს, რომლის სიმცირეს ნამდვილად არ განვიცდით, პირიქით, ბევრი გვაქვს და ცოტათი გავაიაფეთ კიდეც. სხვისი ფქვილი რად გვინდა?

**— ბატონო ლევან, იმპორტირებული ფქვილი და ხორბალი ადგილზე მოწმდება?**

— ყველა პარტიას ახლავს სერტიფიკატი, ხდება დოკუმენტების გადამოწმება, შემდეგ ლაბორატორიულად მოწმდება ხორბალი. ყველა მსხვილ წისქვილკომბინატს თავისი ლაბორატორია აქვს. მინდა გითხრათ, რომ ჩვენს ასოციაციაში შემავალი კომბინატები ავტორიტეტით სარგებლობენ არა მარტო ჩვენთან, არამედ ხორბლით მდიდარ ქვეყნებშიც, მათ კარგად ესმით, რომ თუ უვარგის ხორბალს შემოიტანენ, ავტორიტეტი და ნდობა აღარ ექნებათ, აღარც მოგება, ამიტომ მას არავინ არ გააკეთებს. მრავალი წლის მუშაობის შედეგად მათ უკვე დამსახურებული ავტორიტეტი აქვთ, რომელსაც ძალიან უფრთხილდებიან.

ვიღაცამ შეიძლება სადღაც, მივარდნილ სოფელში რაღაც იყიდოს და შემოიტანოს, ვერ გეტყვით, ის კი ვიცი, რომ ჩვენი, წისქვილკომბინატები ამას არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებენ. ეს კომბინატებია „კაჭრეთი“ (კახეთში), „ფორტე“ (გორში), „პროგრესი“ (რუსთავში), შპს „თბილისი“, შპს „ალაფი“, შპს „თავთავი“ და სხვა. თითოეულ მათგანს დიდი წარმადობის დამხმარე ნაგებობა და ათასობით ტონა ტევადობის სასაწყობო მეურნეობა აქვს. ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს წარმატებული კომბინატები დაავადებულ ფქვილს შემოიტანენ? რისთვის? ფქვილის დეფიციტი ხომ არა გვაქვს? ვიმეორებ ხაზგასმით — ჩვენი, ადგილობრივი ფქვილიც საკმაოდ გვაქვს.

**— ბატონო ლევან, თქვენ ბრძანეთ, რომ თითქოს შესაძლებელია ვიღაცამ სადღაც იყიდოს, და შემოიტანოსო, ასეთ შემთხვევაში პროდუქციის ხარისხს ვინ ამოწმებს?**

— სახელმწიფო სტრუქტურა ხარისხს არ ამოწმებს. ადრე შემმოწმებლები ბევრნი იყვნენ. რამდენიმე წელია, რაც ყველა გაუქმდა, მათ ნაცვლად მთავრობამ შექმნა სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემავალი „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური“, მაგრამ ხარისხის კონტროლის უფლება არც მაგათ აქვთ, პარლამენტის დადგენილებით დროებით შეეზღუდათ...

გეთანხმებით, ბატონო ლევან, ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ დროებითი შეზღუდვის ვადა რამდენჯერმე გაგრძელდა, ბოლოს 2010 წლის 1 იანვრამდე დატოვეს ეს კანონი ძალაში, თუ კვლავ არ გააგრძელეს ეს შეზღუდვა. ჩვენმა გაზეთმაც რამდენჯერმე დაწერა ამის შესახებ, მაგრამ უშედეგოდ, თუმცა კონტროლის არა, მაგრამ მონიტორინგის უფლება აქვთ, მათ ევალებათ აიღონ სინჯები, შეამოწმონ პროდუქტი ლაბორატორიულად და დასკვნა საჯაროდ გამოიტანონ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს სამსახური რეგულარულად ახორციელებს კიდეც სხვადასხვა პროდუქციის და მათ შორის, ფქვილის, ხარისხის მონიტორინგს...

შემდეგი ჩემი რესპონდენტი შპს „ალფის“ ხარისხის დამდგენი სამსახურის ხელმძღვანელი **ემზარ ლომიძეა**.

ბატონი ემზარიც მიიჩნევს, რომ მავანნი სიტუაციას განგებ ძაბავენ და ჭორს ავრცელებენ, რაც არ ხდება, იმას წერენ. — დაავადებულ ფქვილს ვერავინ შემოიტანს, მით უმეტეს, კაპროვის ხოჭოთი დაავადებულსო, — ამბობს ბატონი ემზარი.

**— ბატონო ემზარ, თქვენ როგორ ამოწმებთ ხორბლის ხარისხს?**

— ვნახულობთ, დართული სერტიფიკატი შეესაბამება თუ არა საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებს. არ არსებობს, რომ, შეუმოწმებელი ხორბალი დავამუშაოთ. ჩვენც და სხვა ფირმებსაც მრავალწლიანი კონტაქტი გვაქვს ხორბლით მდიდარ ქვეყნებთან, რომლებიც, თავისთავად, ბევრს მუშაობენ ხორბლისა და ფქვილის ექსპორტ-იმპორტზე, ჩვენი დაფქვილი არ ვიცით სად წავიღოთ გასაყიდად, და სხვის ფქვილს ვინ შემოიტანს? გამორიცხულია. სტატიას კი გავეცანი, მაგრამ აბსოლუტურად არ ვეთანხმები.

და ბოლოს, მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციას, რომელიც ჩვენი თხოვნით ამ სამინისტროს პრესცენტრმა, ოპერატიულად მოგვაწოდა.

**...წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში შენარჩუნებულია ორთვიანი (80 ტონა) ხორბლის მარაგი. ამ კუთხით ქვეყნის უსაფრთხოება მთლიანად ადგილობრივმა ხორბლის წარმოების სექტორმა და მარცვალგადამმუშავებელმა მრეწველობამ (მათ შორის „გლობალ-აგრო“) იტვირთეს — ქვეყნის მთავრობისა და კერძო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით 2005-2006-2007 წლებში პურ-ფუნთუშეულზე შედარებით სტაბილური ფასები შენარჩუნდა, მაშინ როცა ხორბლის ექსპორტიორ ქვეყნებში დაბალი მოსავლის გამო ხორბლის ფასები გაიზარდა.**

**აგვისტოს თვეშიც კი, საომარი მოქმედებების პერიოდში, როცა გადაკეტილი იყო საქართველოს ცენტრალური მაგისტრალი და რკინიგზაც, ქვეყნის მოსახლეობა ყველა რეგიონში უზრუნველყოფილი იყო პურ-პროდუქტების რესურსებით...**

**...დღეს შიდა ბაზარზე პურპროდუქტების სიჭარბეა, რასაც ექსპერტებიც აღიარებენ.**

**ჩინეთიდან ფქვილის ტრანსპორტირება 120-150 აშშ დოლარი დაჯდება, მაშინ, როცა უკრაინიდან და რუსეთიდან ტრანსპორტირება 50-70 აშშ დოლარის ფარგლებშია... ამიტომ ჩინეთიდან ფქვილის შემოტანა გამორიცხულია.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს ხორბლისა და ფქვილის 90-პროცენტიანი იმპორტისა და ამ მიზნით გასაიდუმლოებული კომპანიის შექმნის ფაქტს. სახელმწიფო სტრუქტურას ასეთი კომერციული რგოლის შექმნა კანონმდებლობით და დებულებით აკრძალული აქვს. ინტერნეტის მეშვეობით ნებისმიერ მოქალაქეს (საქართველოს საბაჟოს საიტზე) შეუძლია მიიღოს ინფორმაცია შემოტანილი ფქვილისა და ხორბლის და მომწოდებელი ქვეყნების შესახებ, რაც შეეხება ინფორმაციას იმპორტიორების თაობაზე, „სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალულია მისი გაცემა.**

**ასოციაცია „გლობალ-აგრომ“ თავისი ინიციატივით სურსათის უვნებლობისა და რისკის ანალიზის სამმართველოს წარმომადგენლებთან ერთად მოამზადა მონიტორინგის სქემა ხარისხის კონტროლის შესახებ.**

**სამინისტრო არავითარ ლიცენზიას არ იძლევა, ყოველგვარი ლიცენზიის გაცემა გაუქმებულია 2005 წლის ივლისში პარლამენტის მიერ მიღებული კანონის („ლიცენზიების შესახებ“) თანახმად.**

**რაც შეეხება კითხვას საერთოდ შემოდის თუ არა ჩინეთიდან ფქვილი, მოგახსენებთ, რომ არ შემოდის. ამის დასამტკიცებლად სამინისტროს შესაბამისი სამსახური დაუკავშირდა ყაზახეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მარცვლეულის დეპარტამენტის დირექტორს, ქალბატონ ანა ბუცს, რომელმაც მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ ყაზახეთიდან ხორბლის არც ერთ კილოგრამს არ გადაუკვეთავს ჩინეთის საზღვარი, რადგანაც ამ ორ ქვეყანას შორის არ არის გაფორმებული და არ მოქმედებს საერთაშორისო საკარანტინო წესებით დადგენილი ფიტო-სანიტარიული ხელშეკრულება და, ამდენად, ინფორმაცია ყაზახეთიდან ჩინეთში ხორბლის გადატვირთვისა და ჩინეთიდან ფქვილის შემოტანის თაობაზე მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს...**

**ნაზი იმნაიშვილი**

***P. S. სოფლის** მეურნეობის სამინისტროში გავეცანი ინტერნეტით მოპოვებულ ინფორმაციას, სადაც საუბარია კაპროვის ხოჭოთი დაავადებულ ყირგიზულ და არა ყაზახურ ფქვილზე (საიდანაც ქართველ იმპორტიორებს შემოაქვთ ხორბალი და ფქვილი), მაგრამ იქვე აღნიშნულია, რომ სინამდვილეში არც ამ ფქვილზე აღმოჩენილა ეს დაავადება, რაც დასტურდება ყირგიზეთის (და არა ყაზახეთის) პირველი ვიცე-პრემიერის ისკენდერბეკ აიდარალიევის ინფორმაციით.*

***ნ. ი.***

**◉ მცირე ბიზნესი**

# ქართლში ახალი ბაღი აშრიალდება

**მსოფლიოში მძვინვარე ეკონომიკურმა კრიზისმა მრავალი, მათ შორის მძლავრი, მოწინავე ქვეყანაც კი „წამოაჩოქა“, რომ აღარაფერი ვთქვათ შედარებით სუსტებზე, მით უმეტეს განვითარების გზაზე ახლად ფეხშედგმულ ისეთ ქვეყნებზე, როგორიცაა საქართველო.**

ჩვენს ისედაც გაუმართავ მრეწველობას, დაქცევის პირზე მისულ სოფლის მეურნეობისა და წელში ჯერაც წამოუჩიტავ მცირე საწარმოებისა თუ ინდივიდუალური მეწარმეების ყველაზე დიდი გასაჭირი, მძიმე საგადასახადო უღელსა და ფისკალურ ორგანოთა წარმომადგენელთა მხრიდან კანონმდებლობასთან და მეწარმეებთან თავისებური „სილაღით“ მოქცევას თუ არ ჩავთვლით, საბრუნავი კაპიტალის ქრონიკული უკმარისობაა. ფინანსების დეფიციტი ტოტალური ეკონომიკური დეპრესიის ერთ-ერთი მხარეა, რომელიც საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების შემდეგ კიდევ უფრო გამძაფრდა. ამის მიზეზის შესახებ მრავალგზის დავწერეთ — გარეშე მუქარის რეალობით თუ შიდა სიმშვიდის სიმყიფით დამფრთხალი უცხოელი ინვესტორები არ ჩქარობენ საქართველოს ეკონომიკაში თავისუფალი სახსრების დაბანდებას და ეს არც არის გასაკვირი.

ამ პირობებში კიდევ უფრო დიდია ბანკების მიერ მეწარმეებზე გაცემული იაფი კრედიტების ფასი, რომლებიც მათ ჰაერივით სჭირდებათ. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მეტად მნიშვნელოვანი ხდება ეკონომიკური განვითარების ახალდანიშნული მინისტრის ლაშა ჟვანიას წარდგენით მთავრობის მიერ დამტკიცებული ექვსი პროექტის ფრთაშესხმა, რომელიც სწორედ რომ იაფი კრედიტის პროექტის ფარგლებში ხორციელდება. ექვსივე პროექტი შიდა ქართლში უნდა განხორციელდეს და ისინი **რეგიონული ტურიზმისა და ხალხური რეწვის განვითარების ქვეპროგრამის ნაწილს წარმოადგენენ.**

— განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება იმ საწარმოებსა და დარგებზე, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ აგვისტოს მოვლენების დროს, — განაცხადა ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლაშა ჟვანიამ. —



მთავრობის ხელშეწყობით ამოქმედდება ექვსი საწარმო, სადაც უშუალოდ დასაქმდება დაახლოებით 170 კაცი, ხოლო კიდევ ერთი ამდენი მათ საქმიანობაზე ფინანსურად დამოკიდებული იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაისად დამატებით კიდევ არაერთი ათეული ოჯახი შემოსავალს საკუთარი შრომის საფასურად მიიღებს, — დასძინა ბატონმა ჟვანიამ.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მონაცემებით, **იაფ საბანკო კრედიტს მიიღებენ სოფელ კარალეთში მეფრინველეობის ფაბრიკის მეპატრონე შპს „ფლამინგო“, რომელიც წარმოების გაფართოებას, ნედლეულის შეძენასა და ინკუბატორის მოწყობას აპირებს. საგულისხმოა, რომ „ფლამინგოში“ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობა დასაქმდება; დაფინანსდება ასევე სოფელ ვარიანის შპს „ზზტ“, რომელიც მიკრობიოლოგიური მეთოდით ქართულ ტრადიციულ მწნილეულს ამზადებს. აღნიშნული სახეობის პროდუქციის რეალიზებას საზოგადოების მესვეურნი აპირებენ როგორც შიდა, ასევე უკრაინის, ბალტიისპირეთისა და ევროპის ზოგიერთი სხვა ქვეყნის ბაზრებზე.**

გარდა აღნიშნული მცირე საწარმოებისა, იაფ კრედიტს აგრეთვე მიიღებენ ინდივიდუალური მეწარმეები **ალექსანდრე გოგიაშვილი,** რომელიც გორში სამშენებლო ბლოკებს აწარმოებს, ხის მასალას ამუშავებს და ლითონ-პლასტმასის კარ-ფანჯრებს ამზადებს; ხაშურელი მეწარმე **ლალი ტაბატაძე,** რომელიც, წარდგენილი პროექტით, ფუტკრის 30 ოჯახისა და თაფლის წარმოებისთვის საჭირო ინვენტარს შეიძენს; გორელი მეწარმე **თემურ გიგაშვილი,** რომელიც აქვე საკალმახე მეურნეობის გაფართოებას გეგმავს; **ივანე ლაზარაშვილი** — იგი სოფელ ხვითში ვაშლის ბაღის გაშენებას აპირებს.

სამინისტროში აცხადებენ, რომ დაფინანსებული პროექტების მთლიანი ღირებულებაა 545 ათასი ლარი და ამ თანხის მიზნობრივ ხარჯვაზე სათანადო კონტროლი იქნება დაწესებული.

**ოთარ ტურაბელიძე**

თემიდა

**გასულ წელს ქვეყანაში განხორციელდა პატიმართა შეწყალების ორი აქტი და ერთი ამნისტია. გაპიარებული ღონისძიებების შედეგად ოჯახებს უნდა დაბრუნებოდა 3 ათასზე მეტი ყოფილი ტუსაღი. როგორც ექსპერტები აცხადებენ, საერთო ჯამში განთავისუფლებულთა რაოდენობა 600-ს არ აღემატება. თუმცა ამ ექვსასი ოჯახისათვის ახალი 2009 წელი მართლაც განსაკუთრებულია – მათი ახლობლები ხომ ახალ წელს საკუთარ ოჯახში, ახლობლების გარემოცვაში შეხვდნენ. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მდგომარეობა იმ პატიმრებისა, რომელთაც სასჯელი გაუნახევრდათ. ყოველკვირეულ პოლიციურ მეთვალყურეობას (პოლიციაში სისტემატურ გამოცხადებასძ აღარ დაექვემდებარებიან პირობითი სასჯელმისჯილები. საერთო ჯამში ჩვენმა ხელისუფლებამ ჰუმანიტარული ნაბიჯი გადადგა. მართალია, წინასწარ დაპირებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა არ განთავისუფლებულა, მაგრამ რაც მოხდა, ისიც მისასალმებელია. მსოფლიოში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ამნისტიები, შეწყალებები ხელისუფლების ჰუმანურობისა და დემოკრატიულობის ერთ-ერთი მაჩვენებელია. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც 48 მსჯავრდებული ქალი, დედა, მეუღლე, შვილი ახალი წლის დადგომას საკუთარ ოჯახებში შეხვდა.**

# ბუნდოვანი ამნისტია, ბუნდოვანი მომავალი

### როგორ განხორციელდა ამნისტია

**იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში 25 ათასზე მეტი პატიმარია, ხოლო ციხე-კოლონიები მხოლოდ მათი მესამედის მიღებაზე თუა გათვლილი, ამნისტია და შეწყალება (ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვისძ არა თუ მისასალმებელი, გარდაუვალი უნდა ყოფილიყო – მიაჩნიათ ექსპერტებს. ადვოკატები, იურისტები, არასამთავროები არაერთხელ აყენებდნენ ამ აქტების ჩატარების აუცილებლობის საკითხს. მაგრამ ნულოვანი ტოლერანტობის მომხრე ჩვენი ხელისუფლება შეგონებას ყურად არ იღებდა. უმნიშვნელო დანაშაულისთვისაც კი დიდი ხნით კეტავდა პიროვნებას ისედაც ზედმეტად გადატვირთულ სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში.**

მიღებულ ამნისტიას საკმაოდ კრიტიკულად უდგებიან ადამიანის უფლებათა დამცველები. მათი განმარტებით ვადამდე განთავისუფლებულთა მხოლოდ 2 პროცენტი იხდიდა სასჯელს მსუბუქი დანაშაულისთვის. ძირითადად შეღავათები შეეხოთ ნარკოტიკების მომხმარებლებსა და სხვა მძიმე მუხლებით გასამართლებულებს.

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მისთვის უცნობია, როგორ მოხვდნენ შეღავათების სიებში პიროვნებები, რომელთა განთავისუფლებაზე შეღავათის კომისიაში მსჯელობაც არ ყოფილა. უფლებათა დამცველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამნისტია გამჭვირვალე არ ყოფილა. ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს. დაპირებული 1.200 კაცი არ განთავისუფლებულა. სპეციალისტთა მონაცემებით, შეწყალება 200 კაცზე მეტს არ შეხებია. არასამთავრობოები, ადვოკატები, უფლებათა დამცველები ხელისუფლებისგან ითხოვენ გამოქვეყნდეს შეწყალებულთა გვარები, სასჯელაღსრულების ის დაწესებულებები, სადაც ისინი იხდიდნენ სასჯელს და რა მუხლები შეეხოთ ამნისტირებულებს. მიუხედავად შეკითხვის არაერთგზის დასმისა, ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, ჯიუტად დუმს.



### დაუსაქმებლობის პერსპექტივა

**მსოფლიო ეკონომიკურ-ფინანსურ კრიზისს ჩვენს ქვეყანაში საბიუჯეტო სექტორში მასობრივი განთავისუფლებები მოჰყვა, მათ არც კომერციული სტრუქტურები ჩამორჩნენ. ათობით ათასი ჩვენი თანამოქალაქე და მათ უკან მდგომი ოჯახები საარსებო მინიმუმის მიღმა აღმოჩნდნენ. მათ ქვეყნის უმუშევართა 2-მილიონიანი არმია კიდევ უფრო გაზარდეს. ამას ემატება შეწყალებულთა და ამნისტირებულთა რაოდენობაც.**

როგორც ჩვენთან საუბარში ერთ-ერთი ვადამდე განთავისუფლებულის ახლობელმა ზურაბ გოგოლაძემ განაცხადა: „მისთვის (ყოფილი პატიმრის ვინაობა ახლობლების თხოვნით არ სახელდებაძ, ყურადღების მიქცევა ციხეში უფრო გვიადვილდებოდა, ვიდრე აწი. ახლა ძალიან გაგვიჭირდება: ცოლისა და ორი შვილის გარდა, ღრმად მოხუცებული დედაც ჰყავს. ჩვენ ჩვენსას მაინც ვეცდებით, მაგრამ მოხდა ისე, რომ 5 მეგობრიდან 2 უმუშევარი დატოვეს. ნაციხარის სადმე მოწყობა ხომ თითქმის შეუძლებელია. წინათ, პირიქით, ყოფილ მსჯავრდებულს სამსახურს უქმნიდნენ და აიძულებდნენ ემუშავა. მათზე კონტროლი იყო დაწესებული. დღეს ეს ხალხი სამუშაოს ეძებს, იხვეწება, მაგრამ ხან ასაკს უწუნებენ, ხან – წარსულს, ხანაც – „პახოდკას...“

### როგორ შეხვდნენ ციხე-კოლონიებში დარჩენილები 2009 წელს

**მართალია, სასჯელის აღსრულების სისტემას პატიმართა ტანჯვა-წამების მანიაკურად მოყვარული ბაჩო ახალაია ჩამოსცილდა, მაგრამ მისი წასვლის შემდეგ საპატიმროებში ბევრი არაფერი შეცვლილა. ყველაფერი ინერციით გრძელდება.**

საპატიმროებთან დაკავშირებით მომზადებულ ანგარიშში სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ მართალია, საკანონმდებლო ორგანოში უკვე ორი წელია შესულია პატიმრობის შესახებ კოდექსის პროექტი, მაგრამ მისი განხილვა შეგნებულად ჭიანურდება. პარლამენტარების ამგვარი საქციელი იმაზე მიუთითებს, რომ პატიმრების თემა ხელისუფლებისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს.

სუბარი განსაკუთრებით აღნიშნავს ციხე-კოლონიებში ტანჯვა-წამების ფაქტების სიმრავლესაც. მართალია, წინა პერიოდთან შედარებით ამგვარმა ქმედებებმა იკლო, მაგრამ ჯერ ერთ წამების ფაქტზეც კი არ აღძრულა სისხლის სამართლის საქმე. არავინ დასჯილა. ტუსაღები ადმინისტრაციის ზღვარგადასული უხეშობის შესახებ მხოლოდ კერძო საუბრებში ჰყვებიან სახალხო დამცველთან, მისი აპარატის წევრებთან. წამების შესახებ როგორც მსჯავრდებულები, ასევე განსასჯელები ოფიციალურ საჩივრებს არ წერენ, რადგანაც იციან, რა მოჰყვება ამას.

ციხე-კოლონიები უაღრესადაა გადატვირთული. შენობა-ნაგებობები ამ რაოდენობის ბინადართათვის არ არის გათვალისწინებული. თბილისის №1 საპყრობილეში 919 პატიმარია, როდესაც ლიმიტი 750-ია, №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში შესაბამისად – 2084 და 1846; №7 მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში – 2216-1336; №8 დაწესებულებაში – 1554-1917, არასრულწლოვანთა კოლონიაში – 194-160; №6 დაწესებულებაში – 1556-830 და ა. შ. ნულოვანი ტოლერანტობის პირობებში გამუდმებით მატულობს ტუსაღთა რაოდენობა, უცვლელი რჩება დასაშვები ლიმიტის მაქსიმუმი.

აუტანელ ჰიგიენურ პირობებში შეხვდნენ პატიმრები ახალ წელსაც. თბილისის №1 საპყრობილეში ტუალეტის მაგივრობის გამწევი ჭურჭელი საკნებშია ჩადგმული. საპყრობილეს საერთოდ არა აქვს შხაპის ბლოკი. ტუსაღები წყალს საკნებშივე ივლებენ. არ არსებობს სამრეცხაო. თეთრეულიც საკნებში ირეცხება.

პატიმართა დასჯის ადგილი (კარცერიძ თავლას უფრო ჰგავს, ვიდრე ადამიანის დროებით სადგომს. შესულ პირს მიახლოებისთანავე ეცემა ტუალეტის სუნი. ირგვლივ სიბინძურეა. არ მუშაობს ვენტილაცია. სუნთქვა, განსაკუთრებით ზაფხულობით, შეუძლებელია.

ხონის კოლონიაში მართალია საშხაპე არსებობს, მაგრამ უწყლობის გამო უფუნქციოდაა. პატიმრებს არა აქვთ გათბობისა და ვენტილაციის სისტემა.

საშინელი ანტისანიტარიაა ქუთაისის ახლად აშენებულ ციხეში. არასრულწლოვანთა კორპუსში კი თავისუფლად დასეირნობენ მღრღნელები და ტარაკნები. ნამდვილად არ იგრძნობა მკბენარებისა და მწერების სიმცირე.

ზუგდიდის №4 საპყრობილეში ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული, მეფობს ანტისანიტარია, მღრღნელები, მკბენარები და მწერები. საკნებში გაშიშვლებულია ელექტროსადენები. შეუმინავ ფანჯრებს გარედანაც და შიგნიდანაც გისოსები აქვთ დაყენებული.

სახალხო დამცველის ანგარიშში იმაზეცაა საუბარი, რომ რუსთავის №2 საპყრობილისა და არასრულწლოვანთა კოლონიის გარდა, არსად არ ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები. სასჯელმისჯილთ და განსასჯელთ თითქმის არა აქვთ საშუალება გაეცნონ ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს. არასამთავრობოებს მიაჩნიათ, რომ ყველაფერი შეგნებულად კეთდება. ყველაფერი მიმართულია პატიმართა სრული დამონებისკენ, – აცხადებენ ისინი. ამას არ უარყოფს თვით იუსტიციის მინისტრის მოადგილე დიმიტრი ძაგნიძე: „მსჯავრდებულები ბუნებრივია მოკლებული არიან ინფორმაციულობასა და სოციალურ აქტიობას. ყველაფერი მიმართულია იმისკენ, რომ შეიქმნას პირობები მათი რესოციალიზაციისათვის“.

### დასკვნის მაგივრად

**სიტყვით, ხელისუფლება ითვალისწინებს როგორც ქვეყნის საზოგადოების აზრს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და მითითებებს. ამ მიზნით შენდება თურმე ახალი, ეკოსტანდარტების შესაბამისი ციხეები.**

ქართველი არასამთავრობოებისა და უფლებების დამცველების განცხადებით ახალი ციხეების გახსნა პატიმრების მდგომარეობას ვერ შეამსუბუქებს. მთავარია პოლიტიკა, რომელსაც ხელისუფლება პატიმრების მიმართ ატარებს – მკაცრი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა, ანუ ნულოვანი ტოლერანტობა. ასეთ პირობებში კი რაიმე სასიკეთო ცვლილებებზე ფიქრიც კი ზედმეტია, მით უმეტეს, რომ არ არსებობს ამის პოლიტიკური ნება.

ასე რომ, ჩვენი ხელისუფლების პირობებში გისოსებს მიღმა იგივე პრობლემები აქვთ 2009 წელსაც, რაც „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ წლებში. უნდა ვილოცოთ, რომ განვლილი წლების მსგავსად მდგომარეობა მეთოდურად არ გაუარესდეს.

**ზაზა ბილიხოძე**

გუშინ, დღეს

# „ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემ!“

## ილია ჭავჭავაძის ერთი საახალწლო მილოცვის შესახებ

**– „ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემ!“ – მოდის თაობიდან თაობაში ეს ძველი შაჰ-აბასისეული წყევლა და ყველა თაობა შესაშური ერთგულებით ვასრულებთ მას. ავიღოთ უკანასკნელი ორი საუკუნე:**

ჯერ ერეკლე მეფის შვილებმა და შვილიშვილებმა მოსისხლე მტრებივით დასცხეს ერთმანეთს, ქვეყანა კი რუსეთს ჩააბარეს. „აირივნენ მეფეთ ძენი“ – ასე ლაკონურად შეაფასა ხალხმა ბაგრატოვანთა უკანასკნელი მოჰიკანების ეს თვითმკვლელობის აქტი...

მერე, ერთი თაობის შემდეგ, 1828-1832 წლების შეთქმულების მოღალატური გაცემა და ქვეყნის განთავისუფლების დიდი იდეაც იქვე დასამარდა...

XIX საუკუნის II ნახევარი – ახალი თაობები, ახალი გამცემლები, ახალი ტრაგედიები, ახალი სისხლი და ცრემლი **„დას-დასად დაყოფილი“** საქართველოსი, წინამურთან რომ დაგვირგვინდა ბოლოს...

მთელი XX საუკუნე მესამედასელ კოსმოპოლიტთა ამ წინამურული მარშით წარიმართა. ყველაფერს ამას კი ჯერ **„იმპერატორის III განყოფილება“** და **„ოხრანკა“**, მერე **„ჩეკა“**, **„კაგებე“** და დღეს **„ფეესბე“** პატრონატობდა კარგად ნაცადი **„გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკით. ფული და მოსყიდვა არის ამ პოლიტიკის მთავარი იარაღი...**

რა შეიძლება დავუპირისპიროთ ამ ჩვენს დამღუპველ პოლიტიკას? რა უნდა ქნას ხალხმა და ქვეყანამ, რომ ძალა დაკარგოს ამ შაჰ-აბასისეულმა წყევლამ? რა წამალი და მალამო უნდა დაედოს ყველაფერს ამას?

ბუნებრივია, ამაზე ჩვენზე ადრე ბევრს უფიქრია, ძალიან ბევრს... ჯერ კიდევ გიორგი ათონელმა-მთაწმინდელმა და რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ დააკანონა **„ერთნებაობითა და თანადგომით ქვეყნის მართვა“**, სიტყვიდან საქმედ რომ აქცია **„დავითის ძალისხმევის“** და **„თამარის სათნოების ხაზმა“**. სწორედ ამან მისცა ჩვენს ისტორიას ის ძველი **„დიდებული ოქროვანი ხანა“**...

ეს მეორე ათასწლეულის დასაწყისში... დღეს კი მესამე ათასწლეულს მიღწეული ქართველობისთვის ამ ათონელისეული პრინციპის კონცენტრირებულ გამოხატულებას **ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის“ თეორია წარმოადგენს თავისი ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპებით.** კაპიტალიზმი სხვანაირ პოლიტიკას, სხვანაირ ეკონომიკას, სხვანაირ ცხოვრებას თხოულობდა და თხოულობს დღესაც. ამიტომ წერს იგი 1897 წლის 31 დეკემბერს თავის მეტად სიმბოლურ საახალწლო მილოცვაში:

**„აჰა, კიდევ ერთი ახალი წელი... ნუთუ ისევ ძველებურად თავი უნდა დაგიკრათ და გითხრათ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი...“ წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქნას მარტო წყალობამ, თუ თვითონ ადამიანი არ უვლის, არ პატრონობს მას.**

**ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია, არა დაუზოგვია, არა დაუკლია-რა... რაც ღვთის შემძლებლობით არის, ყველაფერი უხვად მოგვმადლა ღმერთმა... რა გინდა სულო და გულო აქ არ მოიხვეჭო, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე... დღეს მძლეთა მძლეა შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისთვის და არა გაუმაძღარ სურვილებისთვის“.**

ილიასთვის კაპიტალიზმი. უპირველეს ყოვლისა, შრომა-გარჯისაა. ამიტომ, **„დღეს ქვეყანა იმისაა, ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს“. და ვინ მოთვლის, რამდენჯერ უთქვია მას ეს შეგონებაც – კაპიტალიზმი, თუ იგი „ნამუსიანია“, კარგია, ერთ ძლიერ კრებულად კრავს ერს“, თუ არა და – „აქუცმაცებს, ანთვითეულებს, შურსა და მტრობას თესავს“...**

დღევანდელ პოლიტოლოგიურ ენაზე ილიას და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის ეს მოთხოვნა ნიშნავს ე. წ. **„დიდი საშუალო კლასის“** შექმნას. თუ ჩვენ ვერ შევძელით ეს, მაშინ ჩვენს მტერს და ავადმახსენებელს კვლავ მივცემთ ასპარეზს თავისი ავი ზრახვებისთვის. და თუ შევძლებთ, ახალ „ოქროვან ხანას“ მივცემთ ხალხს და ქვეყანას. ამიტომ უწოდებდა ივანე ჯავახიშვილი ამ თეორიას და მის ავტორს **„საქართველოს მომავლის გზის გამკვალავს“**...

**საქმეც ისაა, რომ ილია მართალის მართალ სიტყვას თავისი გზა-კვალი მივცეთ...**

**ელგუჯა ბატიაშვილი**

## ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**ესპანეთი. XVII ტური.** ბარსელონა — მალიორკა 3:1, რეალი — ვილიარეალი 1:0, სევილია — ოსასუნა 1:1, ვალენსია — ატლეტიკო 3:1, მალაგა — ხიხონი 1:0, უელვა — ნუმანსია 3:1, ვალიადოლიდი — რასინგი 0:1, ალმერია — ბეტისი 1:0, ბილბაო — ესპანიოლი 1:1, ხეტაფე — დეპორტივო 1:2.

**სატურნირო მდგომარეობა:** ბარსელონა — 44, ვალენსია — 33, რეალი, სევილია — 32-32, ატლეტიკო, დეპორტივო — 30-30, ვილიარეალი — 29, მალაგა — 25, ვალიადოლიდი — 23, ხეტაფე, რასინგი, ხიხონი — 21-21, ბილბაო — 20, ალმერა — 19, ბეტისი — 18, ნუმანსია — 17, უელვა — 16, მალიორკა, ესპანიოლი — 14-14, ოსასუნა — 13 ქულა.

**ბომბარდირები:** ეტოო (ბარსელონა)— 15, ვილია (ვალენსია) — 13, ფორლანი (ატლეტიკო), იგუანი (რეალი) — 11-11, მესი (ბარსელონა) — 10, ანრი (ბარსელონა) — 9 გოლი.



**შემდეგი ტური:** ვალენსია — ვილიარეალი, დეპორტივო — სევილია (10 იანვარი), ატლეტიკო — ბილბაო, რასინგი — უელვა, ესპანიოლი — ალმერია, ოსასუნა — ბარსელონა, ნუმანსია — ხეტაფე, ხიხონი — ვალიადოლიდი, ბეტისი — მალაგა, მალიორკა — რეალი (11 იანვარი).

**ინგლისი. ასოციაციის თასის გათამაშების III რაუნდი.** ტოტენჰემი — უიგანი 3:1, ჰართლპული — სტოკი 2:0, არსენალი — პლიმუთი 3:1, ვესტჰემი — ბარნსლი 3:0, ჩელსი — საუთენდი 1:1, მაკლსფილდი — ევერტონი 0:1, ჰალი — ნიუკასლი 0:0, მიდლსბრო — ბეროუ 2:1, სიტი — ნოტინგემი 0:3, სანდერლენდი — ბოლტონი 2:1, საუთჰემპტონი — მანჩესტერი 0:3, ვესტ ბრომვიჩი — პიტერბრო 1:1, პრესტონი — ლივერპული 0:2, კარდიფი — რედინგი 2:0, შეფილდ უენსდეი — ფულჰემი 1:2, მილუოლი — ქრიუ 2:2, ქოვენთრი — კიდერმინსტერი 2:0, ჩარლტონი — ნორვიჩი 1:1, ფორესტ გრინიდერბი 3:4, იფსვიჩი — ჩესტერფილდი 3:0, ლესტერი — კრისტალ პალასი 0:0, კეტერინგი — ისტვუდი 2:1, პორტსმუთი — ბრისტოლი 0:0, ტორკი — ბლექპული 1:0, ქპრ — ბარნლი 0:0, უოტფორდი — სკანთორპი 1:0, ჯილინგემი — ასტონ ვილა 1:2.

**შოტლანდია. XXI ტური.** სელტიკი — დანდი იუნაიტედი 2:2, ჰართსი — ჰიბერნიანი 0:0, ჰამილტონი — აბერდინი 2:0, სენტ მირენი — მოზერუელი 0:0, ინვერნესი — რეინჯერსი 0:3, ფოლკრისკი — კილმარნოკი 1:1:.

**ლიდერთა ჯგუფი:** სელტიკი — 51, რეინჯერსი — 46, დანდი იუნაიტედი — 35 ქულა.

**პორტუგალია. XIII ტური.** ნასიონალი — პორტუ 2:4, ტროფენსე — ბენფიკა 2:0, სეტუბალი — პორტინგი 0:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** პორტუ — 27, ბენფიკა, სპორტინგი — 26-26 ქულა.

**საბერძნეთი. XVI ტური.** ტრიპოლისი — ოლიმპიაკოსი 0:1, პაოკ — ოფი 2:0, პანათინაიკოსი — აეკ 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** ოლიმპიაკოსი — 39, პაოკ — 33, პანათინაიკოსი — 30 ქულა.

## ჭადრაკი

# გრონინგენსა და ბიტუნში



**ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენში დამთავრდა საახალწლო ტურნირი, რომელშიც ქართველი დიდოსტატი მერაბ გაგუნაშვილიც მონაწილეობდა. ცხრა შესაძლებლიდან 7-7 ქულა მოაგროვეს გაგუნაშვილმა, ჰოლანდიელმა რობინ შინკელსმა და გერმანელმა არკადი როდშტაინმა, რომლებმაც I-III ადგილებში დამატებითი მაჩვენებლებით, სწორედ, ამგვარი თანმიმდევრობით გაიყვეს.**

შარშან საქართველოს მოჭადრაკე ქალებმა მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე პირველი ადგილი დაიკავეს. მათი მწვრთნელი გახლდათ ახალგაზრდა დიდოსტატი თორნიკე სანიკიძე, რომელიც ძველი და ახალი წლების მიჯნაზე საფრანგეთის ქალაქ ბიტუნის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. ასპარეზობის შემდეგ აქაც სამმა მოჭადრაკემ მოაგროვა ერთნაირი ქულები. უარესი კოეფიციენტით სანიკიძე მესამე ადგილზე აღმოჩნდა. პირველ-მეორეზე, შესაბამისად, ბელარუსი სერგეი აზაროვი და რუსი ვლადიმერ ბურმაკინი გავიდნენ.

## ჭიდაობა

# საახალწლო მახშრუცები



**ქართველმა ფალავნებმა შარშანდელი სეზონი წარმატებით ჩაამთავრეს. პოზიციების დათმობას ისინი არც წლეულს აპირებენ.** ჩვენს ბიჭებს 2009-შიც საინტერესო ასპარეზობები ელით. უმთავრესი კი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებია. ამ შეჯიბრებებისთვის თავისუფალ და ბერძნულ-რომაული ჭიდაობაში ნაკრები გუნდების დასაკომპლექტებლად დიდი მნიშვნელობა ექნება ეროვნული ჩემპიონატების შედეგებს. ეს ტურნირები, შესაბამისად, 20-21 იანვარსა და 5-6 თებერვალს თბილისში გაიმართება. ევროპის ჩემპიონატი 31 მარტიდან 7 აპრილამდე ვილნიუსშია დაგეგმილი, მსოფლიოს უძლიერეს ფალავნებს კი დანია 21-27 სექტემბერს უმასპინძლებს.

## ჰოკეი

# ვენდეტა კანადურად



**გემახსოვრებათ, როგორი ალიყური აჭამეს შარშან რუსებმა კანადელებს, როცა მათსავე ყინულზე გამართული მსოფლიო ჩემპიონატის**

**ფინალური მატჩი 5:4 მოუგეს (არადა, ბოლო პერიოდის წინ 2:4 მარცხდებოდნენ) და თავმოყვარეობა კარგა გვარიანად შეულახეს.**

ჰოკეის სამშობლოს წარმომადგენლებმა რევანში ახალი წლის დასაწყისში აიღეს, თანაც დრამატულ ბრძოლაში. მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ნახევარფინალურ შეხვედრაზე მოგახსენებთ, რომელიც „ნეკერჩხლის ფოთლებმა“ ბულიტების სერიით დაასრულეს თავიანთ სასარგებლოდ — 6:5. აღსანიშნავია, რომ ოტავის სპორტის სასახლეში განვითარებულმა მოვლენებმა კულმინაციას ძირითადი დროის დამთავრებამდე 5 წამით (!) ადრე მიაღწია — მასპინძლებმა სწორედ ამ დროს გაათანაბრეს ანგარიში.

დავძენთ, რომ მეორე ფინალისტი შვედეთის ნაკრები გახდა, რომელმაც სლოვაკები დაჯაბნა — 5:3.

## ფრენბურთი

# ტალინი უმასპინძლებს



**საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრები ტალინს გაემგზავრა. ესტონეთის დედაქალაქი 9-11 იანვარს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს უმასპინძლებს. მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ჩვენი გოგონები მასპინძლებს, მოლდოველებსა და დანიელებს დაუპირისპირდებიან.**

## ინტერნეტიდან

### მათ თავი დაგვამახსოვრეს!

**დიახ, 2008 წელს მრავალი სამახსოვრო სპორტული მოვლენა მოხდა, რომელთაც ღირსეულად მოიპოვეს ადგილი ისტორიაში — მაინც ვინ არიან ისინი?**

აი, ზოგიერთი მათგანი:

**უსეინ ბოლტი:**

ყველაზე სწრაფი ადამიანი, ვისაც დედამიწაზე ურბენია. ცხოვრობს იამაიკაზე. 10 წამზე ნაკლებ დროში ახერხებს 100 მეტრის გარბენას, თანაც ნამდვილი სპექტაკლის გამართვას (გაიხსენეთ პეკინის ოლიმპიადა).



როგორც ამბობენ, თუ ადამიანი უახლოეს ხანში შეძლებს თავისი სისწრაფის ფიზიკური ზღვარის გადალახვას, ეს პირველ რიგში სწორედ უსეინ ბოლტი იქნებაო.

2008 წელს ის სპორტის ისტორიაში გახდა პირველი ათლეტი, რომელმაც ერთ ოლიმპიადაზე სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა სამ სპრინტერულ დისტანციაზე და ასევე პირველი კარლ ლუისის შემდეგ, ორ „სამეფო დისტანციაზე“ — 100 და 200 მეტრზე სირბილში რომ გაიმარჯვა.

აღსანიშნავია, თანაც განსაკუთრებულად, რომ ბოლტმა თავისი გამარჯვების ზეიმი დაიწყო 100 მეტრზე გარბენის სასტარტო გასროლასთან ერთად. სწორედ ეს აძლევს საშუალებას სპეციალისტებს, ამტკიცონ, რომ იამაიკელ მორბენალს ძალუძს კიდევ რამდენიმე მეათედი წამი მოაკლოს მსოფლიო რეკორდებს.

### მაიკლ ფელპსი

**ამერიკელს ბავშვობაში ძალზე ეშინოდა წყლისა, მაგრამ დაძლია რა ის, როგორც „წვიმის კაცმა“, სწრაფად გახდა „კაცი-ამფიბია“. მის ანტროპომეტრულ მონაცემებზე ამხანაგებმა სიცილი შეწყვიტეს, როგორც კი ის წყალში აღმოჩნდა. საშინელი მადა აქვს — დღეში ხუთი კაცის რაციონს ულევს ბოლოს.**



პეკინის ოლიმპიადაზე დაამხო რეკორდი, ჩვენს ერამდე 152 წელს ანტიკურმა ბერძენმა ლეონიდემ რომ დაამყარა, გახდა რა პირველად სპორტის ისტორიაში 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი. სადღეისოდ მტკიცედ უჭირავს ხელში შვიდი მსოფლიო რეკორდი და ალბათ, მალე დაამხობს თანამემამულე მარკ სპიტცის რეკორდსაც.

### რაფაელ ნადალი



**ესპანელმა ჩოგბურთში რევოლუცია მოახდინა — „ტახტიდან ჩამოაგდო“ უძლეველი შვეიცარიელი როჯე ფედერერი, რომელზეც, ის 237 კვირა იჯდა. ამჯობინებს მარცხენა ხელით თამაშს, თუმცა ჩვეულებრივ ცხოვრებაში „მემარჯვენეა“.** როგორც იქნა ჩამოიშორა აკვიატებული, მუდამ მეორე“. ტრიუმფით გაიმარჯვა უიმბლდონზეც და ოლიმპიადაზეც.

ის დღეს პლანეტის პირველი ჩოგბურთელია.

### მექსიკელი ფეხბურთელის სექსუალური ფიფქია

**საახალწლოდ თავის უამრავი თაყვანისმცემელი გაახარა ცნობილმა ინგლისელმა პორნომოდელმა, თანაც გადასარევი ბიუსტის მფლობელმა იმოგენ ტომასმა. ის მონაწილეობდა ერთობ პიკანტურ ფოტოსესიაში ჟურნალისთვის ZOO, სადაც ძალზე სექსუალურ ფიფქიად გამოჩნდა.**



2008 წელს ლამაზმანმა თავი დაგვამახსოვრა მექსიკელ ფეხბურთელ ნერი კოსტილიოსთან მძუხარე რომანით, როდესაც ის „შახტარიდან“ არენდით „მანჩესტერ სიტიში“ თამაშობდა. და ღამეებს ამ ქალიშვილთან ერთად „ათენებდა“.

იმოგენი ინგლისური რეალიტ-შოუს „დიდი ძმის“ ვარსკვლავია. ბიკინებში გამოწყობილი მისი მიმზიდველი ფორმები დილა-საღამოს ინგლისურ მუშათა კლასს ახალისებს.

# მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია...

## მეგობრული სიტყვა ზურაბ წერეთელზე

◎ ვულოცავთ!



**წამში იცნო გულმა გული:**
**— სხვათა შორის, მეუღლე მყავს წერეთელი...**
**— ვა, სიძე, შე ძველო!.. ხომ არ აბრაზებ?!.**
**— როგორ გავუბედავ, ჩემო ბატონო!**
**ვიცინით, ვხალისობთ...**
**— მოიწი, მოიწი... გადაიღე რამე!..**

ვეებერთელა მაგიდა სავსეა პურმარილით, სასმელებით... (მოგვიანებით გავიგე, როცა თბილისში ჩამოდის, ზურაბ წერეთლის სახლის კარი კეთილი სტუმრისთვის ყოველთვის ღიაა, გამოულეველი პურმარილია მაგიდაზე... ახლობლები, მეგობრები მოდიან, სადილობენ, საუბრობენ, კამათობენ, მიდიან... მასპინძელი ერთ-ორ სიტყვას თუ ჩაუგდებს მათ, თორემ, დასაჯდომად სად სცალია — ვიღაცასთან რეკავს, ვიღაცეები ურეკავენ... გადი-გამოდის, თან მოლბერტთან ტრიალებს...ძ.

ხვალ მისი დაბადების დღეა — ორმოცდაათისა ხდება, ამ ასაკში მსგავსი პოპულარობა იშვიათია — სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი... მისი ნამუშევრები ამშვენებენ ამერიკის შეერთებული შტატების, ბრაზილიის, იაპონიის, პორტუგალიის, სირიის, კანადის მთავარ ქალაქებს... დიდ ინტერესს ზურაბ წერეთლის შემოქმედებისადმი, ალბათ, ისიც განსაზღვრავს, რომ მის ნამუშევრებს თანამედროვე ქალაქის ყველაზე თვალსაჩინო ადგილებში ვეცნობით, და არა მარტო საგამოფენო დარბაზებში...

საინტერესოა, რომ სახელ-დიდებას თავიდანვე უწინასწარმეტყველებდნენ სახვითი ხელოვნების მოყვარულნი. სამხატვრო აკადემიის 1958 წლის კურსდამთავრებული ახალგაზრდა მხატვრის ფერწერაში გვიზიდავდა დიდი ოპტიმიზმი, წვდომა შინაგანი სამყაროსი, რომელიც სიცოცხლის განუზომელ სიყვარულს გვიმხელდა, ნათელი, საზეიმო ფერების სიჭარბე, მაჟორულობა... და დღესაც, უკვე მხატვარ-მონუმენტალისტ ზურაბ წერეთლის შემოქმედებას, უპირველესად, სწორედ ამ თვისებებით ვაფასებთ.

— ხომ არ დათმეთ ფერწერა, ბატონო ზურაბ? ალბათ მისთვის დროც აღარ გრჩებათ...

— პირიქით, მე ახლაც ფერმწერად ვთვლი ჩემს თავს და იშვიათია დღე, რომ ცოტა მაინც არ „წავიმუშავო“ ამ დარგში.

— მაშ, რამ გამოიწვია თქვენი დაინტერესება მონუმენტური ხელოვნებით?..

— მინდოდა თავი გამომეცადა, თანაც, დღევანდელობამ დიდი გასაქანი მისცა ამ დარგს...

ჰოდა, აი, შედეგიც: ზურაბ წერეთლის მონუმენტურმა ნაწარმოებებმა ელფერი და მიმზიდველობა შემატეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აგებულ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს არქიტექტურულ ანსამბლებს. მათი ჩამოთვლით თავს აღარ შეგაწყენთ, სახვითი ხელოვნების მოყვარულთ ყოველივე კარგად მოგეხსენებათ.

დედამიწის სიგრძე-განედებს რომ სწვდება, ზურაბ წერეთლის ფიქრი და სიკეთის ქმნის სურვილი, ყოველთვის, მაინც სამშობლოს დასტრიალებს. მაგალითად, შარშან საფრანგეთში, პარიზში, ბუნებისა და ხალხთა ყოფის ამსახველ მუზეუმში, დიდი ხნის მცდელობის შემდეგ, მოაწყო კუთხე — მუდმივი ექსპოზიცია ქართული ეთნოგრაფიისა, მისი მოძიებული, ზოგიც კერძო პირებისგან ნაყიდი უამრავი ექსპონატი თვალსაჩინო ადგილას გამოფინა, ანუ სხვადასხვა ქვეყნის დამთვალიერებელს საშუალება მისცა ახლოს გაეცნოს ჩვენი ერის ყოფა-ცხოვრების ამსახველ უძველეს ნიმუშებს.

...მიზიარებს უცხოურ შთაბეჭდილებებს, იგონებს თბილისელ მეგობრებს, ახალგაზრდობის წლებს, არც იმას მალავს თავიდან როგორ უჭირდა ცხოვრება, რამდენი დღე და საათი უკაპიკოდ გაუტარებიათ მას და ინესას — ზურაბის უსათნოეს და უკეთილშობილეს მეუღლეს, ანდრონიკაშვილის ქალს...

უცებ ბედმა გაუღიმათ, წელი წამოდგეს...

დღეს იგი მდიდარი კაცია... და რა ბედნიერებაა, რომ ეს მატერიალური კეთილდღეობა ახლოსაც ვერ მივა ზურაბის სულიერ სიმდიდრესთან, უზარმაზარ გულის სითბოსთან...

— კაცო, პასტით რომ იწერ რაღაცეებს, დიქტოფონს რატომ არ ხმარობ?

— ჩვენში ახლა შემოდის მოდაში და, ჯერჯერობით, ვერ შევიძინე...

— მოგიკვდეს ჩემი თავი!.. ერთ თვეში ისევ მოვბრუნდები თბილისში და ჩამოგიტან დიქტოფონს... მე თვითონ დაგირეკავ!..

ერთ დღეს მართლაც დარეკა, ამოდი ბაგებში, დიქტოფონი ჩამოგიტანეო...

„პანასონიკის“ ფირმის დიქტოფონი, როგორც დიდი მხატვრის ნაჩუქარი, ძვირფას რელიკვიად მიდევს სახლში, მე კი ისევ ბლოკნოტით და პასტით ვსაუბრობ რესპონდენტებთან... ასე მირჩევნია...



მასთან საუბარი ყოველთვის საინტერესოა ჟურნალისტისთვის...

...ეს ოცდახუთი წლის წინათ იყო. მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე შევხვდი. მოუცლელობის გამო უკვე არც ისე ხშირად ჩამოდის თბილისში.

* * *

და აი, ოცდახუთი წლის შემდეგ ისევ საიუბილეო თარიღს ვულოცავთ ზურაბ წერეთელს, ოღონდ, დღეს უკვე დაბადების 75 წლისთავს, რომელიც 4 იანვარს შეუსრულდა. ეს უკვე ცხოვრების საღამოა, დასალიერია, თუმცა გააჩნია ვინ როგორ ხვდება მას. მადლობა ღმერთს, ბატონი ზურაბის ცხოვრებას მჩქეფარება არ აკლია... კვლავ ახალგაზრდული გული, ახალგაზრდული ღიმილი, ახალგაზრდული შემართება... იგი ქმნის, იგი მოგზაურობს, მსოფლიო მოქალაქეა, მშვიდობის დესპანია, გაფართოვდა სიღრმე და ჰორიზონტი მისი შემოქმედებისა. თუმცა, რა გასაკვირია, სევდაც ახლავს ყოველდღიურობას. მაგალითად, მეუღლის გარდაცვალების გამო (როგორ არ წამლობდა, როგორ თან ჰყვებოდა ქალბატონ ინესას, მაინც ვერ გამოსტაცა იგი ბედისწერასძ, ახლობლების, მეგობრების დაკარგვის გამო... და, რაც მთავარია, სევდა ადამიანთა უმადურობის გამო... კაცუნების მომრავლების გამო... და რატომ?.. გალაკტიონისა არ იყოს: „მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია, მარად და მარად ტყდება ჩინარი“, მხოლოდ იმიტომ, რომ შემოქმედის ტალანტი და სიკეთის ქმნის ტალანტი ერთად დაუბერტყავს მისთვის განგებას. ამაზე მეტი მზაკვრობა რაღა იქნება? ზოგიერთები, თან დახმარებას ილებენ მისგან, თან ათას ჭორს ავრცელებენ... არადა, მთელმა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ ხომ იცის, რა ხელგაშლილი, რა გულგაშლილია წერეთელი, რა ქველია, რა მეოხია... დიდი ფული, რაც მან შრომა-გარჯით იშოვნა, შეიძლება ითქვას, მიმობნეული აქვს, ოღონდ ვინმე გაჭირვებულს რაიმეში წაადგეს... და, გგონიათ სამაგიერო სიკეთეს ელოდება ვინმესგან?.. იგი, სწორედაც რომ დათა თუთაშხიას ფილოსოფიით ცხოვრობს — კარგი ჰქენი და გაიარე...

ეს ჩემი „ტალახსროლია“ კოლეგები, ხომ ნამეტანი გააქტიურდნენ მის მიმართ ამ ბოლო დროს. ქართველ მხატვართა მრავალი თაობის ოცნება იყო, რომ თბილისს მუდმივმოქმედი საექსპოზიციო სამხატვრო გალერეა ჰქონოდა. უკვე თითქმის დასრულდა და, ალბათ, გაზაფხულზე გაიხსნება კიდეც რუსთაველის გამზირზე მდებარე მუდმივმოქმედი საექსპოზიციო ცენტრი, რომელიც დედაქალაქს აუშენა და აჩუქა ბატონმა ზურაბმა. ერთ-ერთ გაზეთში კი დაწერეს, წერეთელი რუსთაველზე ეროტიკულ მუზეუმს აგებსო. ეს „ტალახსროლიები“ ინტერნეტში რუსულ საიტებზე ნაბჟუტურებ ჭორებს ზურაბ წერეთლის შესახებ, თარგმნიან და მონდომებით აწვდიან ქართველ მკითხველს. მაგალითად, ზურაბ წერეთელი პუტინის ძეგლს დგამს ცხინვალშიო... ერთ „პრესტიჟულ“ გაზეთში ამოვიკითხე, ზურაბ წერეთელს, საქართველოსთვის, არასოდეს არაფერი გაუკეთებიაო. ღმერთი აღარ გწამთ, ხალხო?!. მოუხდა თუ არა თბილისის შუაგულს მისი „წმინდა გიორგი“, რომლის დადგმასაც ასე ეწინააღმდეგებოდნენ „ყოვლისმცოდნენი?!“ აღარაფერს ვამბობ მის სხვა ნამუშევრებზე... ჭეშმარიტად უნიკალური იქნება ყეენის მთაზე მშენებარე მისი გრანდიოზული კომპოზიცია „საქართველოს ისტორია“, რომელიც მალე გაიხსნება. ნეტა იცოდეთ, რა საშვილიშვილო საქმეებს აკეთებს საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი, რომელსაც ბატონი ზურაბი პატრონობს! მარტო მისი დიდი მასწავლებლის გიორგი ჩიტაიას ხუთტომეულის გამოცემა რად ღირს! ზურაბ წერეთელს ისიც ეყოფა სასიქადულო საქმედ, ექვთიმე თაყაიშვილის წერილი-ანდერძის ნახვის შემდეგ, უკანასკნელი სურვილი რომ აღუსრულა სამაგალითო მამულიშვილს — მისი მეუღლე ნინო პოლტოროცკაია ლევილიდან თბილისში გადმოასვენა და მეუღლის გვერდით დაკრძალა. სათქმელად და საწერად ადვილია, არადა, ზურაბ წერეთელს ამ საქმის განსახორციელებლად უამრავი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა...

ამ რამდენიმე წლის წინათ, ბატონი ზურაბი საფრანგეთის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს და გადასცეს ჯილდო — „მსოფლიო კულტურაში დიდი წვლილისა და ცნობილი მონუმენტების შექმნისათვის“, ეს იყო ქართველი კაცის ნიჭის კიდევ ერთი დაფასება (საფრანგეთის სამხატვრო აკადემია 1648 წელს დააარსა კარდინალმა რიშელიემ და დღემდე მხოლოდ 55 აკადემიკოსს და ამდენივე ფრანგ და უცხოელ წევრ-კორესპონდენტს აერთიანებსძ, ჰოდა, გახარებულმა, იოსებ ნონეშვილის ცნობილი ლექსის მოტივზე ბატონ ზურაბ წერეთელს ექსპრომტი შევკადრე, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

**თუმც საქმიანობით**
**მსოფლიო კაცია,**
**ქართულად ცხოვრობს და**
**ქართულად აცვია.**
**სიკეთის კეთება**
**ამ კაცის ნიჭია**
**თბილისში გაზრდილი**
**„მაგარი ბიჭია“.**
**სადაც კი მიდის და**
**სადაც კი წავიდა,**
**ქართულ ქუდს არასდროს**
**იშორებს თავიდან.**
**სადაც კი მივიდა,**
**სადაც კი შეჩერდა,**
**სულ „საწერეთლოსთან“**
**მსგავსებას ეძებდა.**
**ეს კაცი კვლავ მრავალ**
**დიდ საქმეს გვპირდება,**
**ეს კაცი მამულს და**
**მსოფლიოს სჭირდება.**

...საიუბილეო თარიღს რომ თბილისში შეხვედროდა, ალბათ, ვისაუბრებდით და მასალაც სულ სხვა ხასიათისა გამოვიდოდა, ძვირფასო მკითხველო. ახლა კი, იძულებული ვარ, ერთ-ერთი მოსკოველი ჟურნალისტის ინტერვიუთი შეგატყობინოთ ზურაბ წერეთლის უახლოესი გეგმების შესახებ. იგი ამჟამად მუშაობს კომპოზიციაზე, რომელიც პოლტავის ბრძოლის 300 წლისთავს ეძღვნება. ახორციელებს დიდი ხნის ჩანაფიქრს, მუშაობს, აგრეთვე, ქრისტეს ქანდაკებაზე, რომელიც 33 მეტრი იქნება, სოჭის ოლიმპიადის ორგანიზატორებისთვის უკვე შეუთავაზებია ერთ-ერთი კომპოზიციის მაკეტი, რომელიც ძალიან მოეწონათო, ეუბნება იგი ჟურნალისტს.

ასე რომ, ზურაბ წერეთელი „ფორმაშია“. ღმერთმა ჯანი და ნიჭის სიკისკაზე არ მოაკლოს!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## სახელოვანი მამულიშვილის ხსოვნას

# იუზა ვერულავა

ქართულმა სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, სახელოვანი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე იუზა შალვას ძე ვერულავა.

ქვეყნის ინტელიგენციას გამოაკლდა შეუბღალავი სახელის, სამაგალითო ადამიანობისა და ზნეობის პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მეცნიერების სამსახურსა და ახალგაზრდა საინჟინრო კადრების აღზრდის საქმეს მიუძღვნა.



იუზა ვერულავა დაიბადა 1944 წელს ქ. თბილისში ცნობილი იურისტის შალვა ვერულავას და ფარმაცევტ დარეჯან ხუნდაძის ოჯახში. დედაქალაქის სახელგანთქმული პირველი სკოლის მადლს ნაზიარები ნიჭიერებით გამორჩეული ოქროსმედალოსანი ახალგაზრდა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. წარმატებულ სწავლასთან ერთად, არჩეული სპეციალობით სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აქტიურმა მონაწილეობამ, მას იმთავითვე პროფესორ- მასწავლებელთა და თანაკურსელთა საყოველთაო აღიარება მოუპოვა.

თავისი ახალგაზრდული აზროვნებით იგი აშკარად უსწრებდა დროს. სტუდენტობის წლებში იუზა ვერულავა ღირსეულად ატარებდა სახელობითი სტიპენდიანტის წოდებას. ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ავტომატიზაციის საშუალებათა თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1967 წ. იგი ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკის კათედრის ასპირანტურაში. 1970-71 წწ. სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ბუქარესტის მათემატიკის ინსტიტუტში, საიდანაც დაბრუნებისთანავე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სპეციალობით „ტექნიკური კიბერნეტიკა და ინფორმაციის თეორია“.

ამ პერიოდიდან მოყოლებული ბატონმა იუზამ მთელი თავისი საქმიანობა დაუკავშირა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, სადაც თავდაუზოგავად იღვაწა სამეცნიერო-პედაგოგიურ ასპარეზზე და განვლო უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედებითი წარმატებებით დატვირთული გზა. 1975-85 წწ. იგი სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა „საინჟინრო-ეკონომიკურ გაანგარიშებაში ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენების“ კათედრაზე. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საინჟინრო მიმართულებების მიხედვით ახალი საინფორმაციო ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის პროცესი. იუზა ვერულავამ ურთულესი საქმე იტვირთა. მან უდიდესი ძალისხმევის ფასად საფუძველი ჩაუყარა სამშენებლო ფაკულტეტზე არქიტექტურასა და მშენებლობაში ავტომატიზებული პროექტირების სისტემების კათედრას, რაც ერთ-ერთი პირველთაგანი იყო საბჭოთა კავშირის სინამდვილეში. კოლოსალური შრომის ფასად ბ-ნ იუზას ხელმძღვანელობით კათედრა სულ მალე უახლესი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ უძლიერეს სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად იქცა, სადაც სამშენებლო ინდუსტრიისა თუ არქიტექტურული ქალაქ-გეგმარების ავტომატიზებული პროექტირების ურთულესი პრობლემები იქნა გადაწყვეტილი. დამუშავდა მრავალი ტექნიკური სიახლე, შეიქმნა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოები, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები, მჭიდრო კავშირები დამყარდა საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების კათედრებთან და სამეცნიერო ცენტრებთან.

სწორედ ამ პერიოდში ბატონი იუზა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ ერთსულოვნად აირჩია პროფესორის თანამდებობაზე. ფართო და მრავალმხრივი იყო იუზა ვერულავას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დიაპაზონი. მისი კვლევის საგანს წარმოადგენდა განაწილებულ-პარამეტრებიანი ობიექტების ოპტიმალური მართვის საკითხები, რთული ტექნიკური ობიექტების იდენტიფიკაციის თეორია, სტოქასტიკური სისტემების მათემატიკური მოდელირება. მის მიერ დამუშავებულ იქნა დაგვიანების მქონე განაწილებულ-პარამეტრებიანი სისტემებისათვის მაქსიმუმის თეორია, რამაც გამოყენება ჰპოვა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გამახურებელი ჭების პროექტირებაში; აგრეთვე ავტორეგრესიული მოდელის პარამეტრების შეფასების სტოქასტიკური აპროქსიმაციის მეთოდები, რაც რთული თბოენერგეტიკული პროცესების მართვისათვის იქნა გამოყენებული. ბატონმა იუზამ დაამუშავა შენობათა სეისმედეგობის გაანგარიშების სრულიად ახალი პრინციპები, რაც ამ დარგის სპეციალისტთა მიერ მეცნიერის ერთ-ერთ თვალსაჩინო მიღწევად იქნა მიჩნეული.

შესრულებული სამეცნიერო შრომები საფუძვლად დაედო ბატონ იუზას სადოქტორო დისერტაციას, რომელიც მან წარმატებით დაიცვა 1997 წ. პროფესორ ი.ვერულავას სადოქტორო ნაშრომის შედეგები მთლიანად იქნა გამოყენებული ევროპის ერთ-ერთი უმძლავრესი ატომური სადგურის პროექტირებასა და მართვაში.

პროფესორი იუზა ვერულავა სხვადასხვა დროს მიწვეული იყო დიდი ბრიტანეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, რუსეთის, უკრაინის და ევროპის სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო ცენტრებში ლექციებისა და სემინარების ჩასატარებლად. მეცნიერის საყოველთაო აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბატონი იუზა არჩეულ იქნა საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო შემდგომ ამ აკადემიის ნამდვილ წევრად. იგი ნაყოფიერად საქმიანობდა როგორც საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი ინფორმატიზაციის, გამოთვლითი ტექნიკისა და მართვის პროცესების განყოფილებაში. იყო გერმანიის სამეცნიერო აკადემიის რეფერატული ჟურნალის ექსპერტი და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის „ავტომატიკა და ტელემექანიკას“ რეცენზენტი. სამეცნიერო პრობლემების განხილვისას იგი გამოირჩეოდა უაღრესად პრინციპულობითა და თანმიმდევრულობით.

იგი გახლდათ ჩინებული მეოჯახე, ოთხი შვილის მამა და შვილიშვილების ბაბუა, რომლის ქრისტიანული ცხოვრების წესი სამაგალითო იყო გარშემო მყოფთათვის. იგი ზეციურ საქართველოში შეუერთდა ღირსეულ მამულიშვილებს, მის დიდ მასწავლებლებს ივერი ფრანგიშვილს, ნიკოლოზ ჩხატარაშვილს, სიყრმისა და სტუდენტობის უახლოეს მეგობარსა და თანამოაზრეს ჟიული შარტავას...

გამორჩეული მეოცესაუკუნელის, ჭეშმარიტად დიდი და საიმედო კაცის ბატონ იუზა ვერულავას ნაადრევი წასვლა უდიდესი დანაკლისია, ვინაიდან ყველას მოაკლდა მისი ღიმილი, სითბო, თანადგომა, იუმორი, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე გასცემდა.

პროფესორ იუზა ვერულავას – ღირსეული ერისკაცის, მეცნიერის, აღმზრდელისა და მოღვაწის ნათელი სახე დიდხანს იცოცხლებს ქართული საზოგადოების მეხსიერებაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველოს საინჟინრო აკადემია.

---

მეუღლე ბუცია ოკუჯავა, შვილები მედეა, ანდრო, გოჩა, შვილიშვილები გოგი, ანზორი, ნიკა შენგელიები, რძლები ხათუნა ბარაბაძე, ნუნუ მერაბიშვილი, სიძე შოთა ხუციშვილი, მძახლები ზაირა ვერულავა, ქეთო, ოთარ მერაბიშვილები, ახლო ნათესავები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შალვა (გოგია) ლავრენტის ძე შენგელია

პანაშვიდი 6, 7 I, 16 სთ. გამოსვენება 8 I, 14 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, IV კვარტალი, XX კორპუსი, I სადარბაზო, I სართული, ბინა №1.

---

კომპანია „მარტინ ბაუერის“ თანამშრომლები გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ანდრო შენგელიას მამის, პროკურატურის ორგანოების დამსახურებული მუშაკის და ღირსეული პიროვნების

შალვა შენგელიას

გარდაცვალების გამო.

---

შვილები რამაზი, ეკა, კობა კვანტალიანები, რძალი მარინა კაციტაძე, დები ლაურა, აზა გიგინეიშვილები, რძალი მანანა ზაქარიაძე, ინგა კვანტალიანი, მული ეთერ კვანტალიანი ოჯახებით იუწყებიან

ნათელა აკაკის ასული გიგინეიშვილი-კვანტალიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7 I, 16 სთ. შ. დადიანის №22. გამოსვენება 8 I, 15 საათზე, ვერის სასაფლაოზე არსებული წმიდა პანტელეიმონის ეკლესიიდან.

---

## ხსოვნა

# იაკობ საათაშვილი



აგრონომიულმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა – მოულოდნელად გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ქართული აგრონომიული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის კონსულტანტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იაკობ (იაშა) საათაშვილი.

პროფ. იაკობ საათაშვილი დაიბადა 1929 წელს გორის რაიონის სოფელ სვენეთში. 1949 წელს წარჩინებით დაამთავრა გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და უგამოცდოდ ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. იაკობ საათაშვილი სტუდენტობის პერიოდშივე გამოირჩეოდა წარჩინებული სწავლითა და საზოგადოებრივი აქტიურობით, იყო სტალინის სახელობის სტიპენდიანტი.

1955-1956 წლებში იაკობ საათაშვილი მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურის სიღნაღის ფილიალში უმცროს მეცნიერ მუშაკად.

1956-1959 წლებში იაკობ საათაშვილი სწავლობდა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტურაში სელექცია-მეთესლეობის სპეციალობით.

1962 წელს იაკობ საათაშვილმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1995 წელს – სადოქტორო დისერტაცია „სელექცია და მეთესლეობა“ სპეციალობით.

იაკობ საათაშვილი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მუშაობდა 1962 წლიდან ჯერ ლაბორანტად, შემდეგ ასისტენტად, დოცენტად, 1996 წლიდან – პროფესორად.

პროფესორი იაკობ საათაშვილი წლების განმავლობაში იყო ფაკულტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი, ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის წევრი, სამეცნიერო საბჭოს წევრი; ხელმძღვანელობდა მაგისტრებსა და ასპირანტებს.

პროფ. ი. საათაშვილმა ხანგრძლივი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე მრავალი სპეციალისტი აღუზარდა აგრონომიულ დარგს. იგი ავტორია 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის.

იაკობ საათაშვილი დაჯილდოებულია საპატიო სიგელებითა და სამკერდე ნიშნით „სოფლის მეურნეობის წარჩინებული“, 1999 წელს – ღირსების ორდენით.

დიდია დანაკლისი პროფ. იაკობ საათაშვილის გარდაცვალების გამო. ამ ცხოვრებიდან წავიდა ენერგიული, შრომისმოყვარე, თავის საქმეზე უაღრესად შეყვარებული ადამიანი, მეცნიერი და მკვლევარი, რომელსაც დიდი დამსახურება აქვს სოფლის მეურნეობის კვალიფიციური კადრების მომზადებაში.

ბატონი იაშას ხსოვნა სამარადჟამოდ იცოცხლებს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის კოლექტივისა და აღზრდილთა მეხსიერებაში.

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი

---

საქართველოს საინჟინრო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის

იუზა ვერულავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილი ილია (ბაჩა) მუნჯიშვილი, რძალი მარი კოჭლამაზაშვილი, დოდო, დურმიშხან მაღლაკელიძეები, შვილიშვილები ეკა, ხათუნა, ქეთინო, ნინო, გოგიტა, ნინი, სიძეები ილია, ლაშა, ბექა, რძალი თეონა, შვილთაშვილები, ძმისწული გიორგი მასხულია ოჯახით, დისწული მაია ლორია ოჯახით, მძახლები ვახტანგი, ნაილი კოჭლამაზაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალინა სერგოს ასული მასხულია

გამოსვენება 6 იანვარს, 14 სთ. მისამართი: ფალიაშვილის ქ. 106.

---

დედა სვეტლანა სარიევა, მამა არჩილ ჩიხლაძე, მეუღლე ნიკოლოზ კეთილაძე, შვილები გიორგი, ალექსანდრე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მაია არჩილის ასული ჩიხლაძე

პანაშვიდი 8, 9 I, 16 სთ. გამოსვენება10 I, 14 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, სანზონა, ერწოს ქ. №6 (9-სართულიანი კორპუსი, II სადარბ. მე-3 სართული, ბ. 32.

---

ი. ფალავას სახელობის პედიატრიის ს/კ ინსტიტუტი იუწყება, რომ რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმს ნიკოლოზ უმიკაშვილს გარდაეცვალა მეუღლე

სოფიო ჭინჭარაძე

და ღრმა მწუხარებას უცხადებენ ოჯახს.

---

სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო“-ს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან სააგენტოს გენერალური დირექტორის ელენე სეხნაშვილის დედამთილის ქალბატონ

ლალა (სოფიო) ჭინჭარაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

დავით შიმშილაშვილი, ოლგა სალარიძე და ოლგა შიმშილაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან გია უმიკაშვილის დედის, ქალბატონ

ლალა (სოფიო) ჭინჭარაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## „საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორედით!



რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87;
899 32-85-76.

## ძვირფასო მკითხველო!

# ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა გაიაფდა!



## თქვენი თანადგომისა გვჯერა

ფინანსური და ზნეობრივი პრობლემებით სავსე საქართველოში გაზეთმა **„საქართველოს რესპუბლიკამ“** შეინარჩუნა თავისი აკადემიური ტონი, პრინციპულობა და მიუკერძოებლობა, სითამამე და სიმართლე. ჩვენთვის არ არსებობს ყალბი ავტორიტეტები, ტაბუდადებული თემები, აკრძალული პრობლემები.

მკითხველთა აღიარებით **„საქართველოს რესპუბლიკა“** ყველაზე სანდო, დახვეწილი, კარგი ქართულით გამორჩეული, ტრადიციული, ჭეშმარიტად ეროვნული გაზეთია.

წლეულს, გაგანია ომის წინა დღეებში, **„საქართველოს რესპუბლიკას“** 90 (ოთხმოცდაათი) წელი შეუსრულდა!

რედაქცია, მიუხედავად თავისი მძიმე ფინანსური მდგომარეობისა, მოსახლეობის შეჭირვებული ყოფა-ცხოვრების გათვალისწინებით, გაძვირების ნაცვლად 2009 წლის იანვრიდან აიაფებს გაზეთზე ხელმოწერის ფასს. ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკა“ ერთი თვით მხოლოდ 10 ლარი ეღირება!

**ჩვენო ერთგულო მკითხველო! — შეატყობინეთ ყველას გაზეთის გაიაფების ამბავი და გამოიწერეთ ყოველდღიური, ყველაზე გაწონასწორებული, ყველაზე სანდო, ყველაზე ეროვნული „საქართველოს რესპუბლიკა“!**

შეგახსენებთ იმ ორგანიზაციებს, სადაც გაზეთზე ხელმოწერა შეგიძლიათ: მაცნე — 37-47-49; 25-33-88; საქპრესა — 51-59-05; პრესექსპრესი — 93-66-78; ჯეომედია — 95-51-70; ინფო-2007 — 34-11-40; ელვა სერვისი — 38-80-02; პლანეტა ფორტე — 98-89-90; პილონი — 35-59-53; რუბიკონი — 96.45.69.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ აგრეთვე უშუალოდ რედაქციაში — კოსტავას ქ. №12. დაგვიკავშირდით ტელეფონებზე — 98.65.87, 899 79.76.79; 899 56.81.86.

**ბიზნესმენებს და რეკლამის ორგანიზატორებს შევახსენებთ, რომ ჩვენთან რეკლამა ყველაზე იაფი და მომგებიანია!**

გაიაფების შემდეგ გაზეთზე ხელმოწერა სამი თვით ღირს 30 ლარი, ექვსი თვით — 60 ლარი, ერთი წლით — 120 ლარი.

ჩვენი ინდექსია — 66434

**თქვენი თანადგომა ჩვენი გაზეთის აღორძინების ერთადერთი გზაა.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ, გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია!**

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა



ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით, საავტომობილო გზების დეპარტამენტი მძღოლებს მოუწოდებს თავი შეიკავონ გაუმართავი და გაცვეთილი საბურავების მქონე ავტოტრანსპორტით მოძრაობისაგან; გამოიყენონ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვები; დაემორჩილონ მოძრაობის დაწესებულ რეჟიმებს, საპატრულო პოლიციისა და საგზაო სამსახურების მოთხოვნებს.

ზამთრის პერიოდში, საავტომობილო გზების დეპარტამენტი, გზებზე ტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობისთვის საჭირო ღონისძიებებს სისტემატურად ახორციელებს. თუმცა, შეგახსენებთ, რომ დაწესებული რეჟიმებისადმი მძღოლების დაუმორჩილებლობა გზის გაწმენდით სამუშაოებს აფერხებს და სატრანსპორტო საცობების შექმნას უწყობს ხელს.

- გამოიყენეთ ზამთრის საბურავები!
- თან იქონიეთ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვები!
- დაიცავით მოძრაობის დაწესებული რეჟიმი!

ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ!

საქართველოს საავტომობილო
გზების დეპარტამენტი

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ და მისი პრეზიდენტი ბონდო კობაძე ღრმა სამძიმარს უცხადებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას ძვირფასი დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის

ნინა ცხადაიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, ვალიკო (კუკური) როგავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან ფრიდონ თოდუას დედის

ნინა თეიმურაზის ასულ ცხადაიას

გარდაცვალებას.

---

ირაკლი ჟორდანია, ილია ბარათაშვილი თანაუგრძნობენ ბატონ ფრიდონ თოდუას ძვირფასი

დედის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია სამძიმარს უცხადებს ბატონ ფრიდონ თოდუას დედის

ნინა თოდუას

გარდაცვალების გამო.

## ანეკდოტები

— პუტინმა დაასახელა კრიზისის დასასრული, კრიზისმა დაასახელა პუტინის დასასრული!

* * *

— საინტერესოა, თხუნელები როგორ ერკვევიან მიწაში, თუ საით გათხარონ?

— კარგი სმენა აქვთ, ესმით, თუ სად ხაროზს სტაფილო.

— რაში სჭირდებათ სტაფილო?

— მხედველობისთვის აუცილებელია!

* * *

დობილი დობილს:

— რა მშვენიერი კაბა გაცვია. მას ხომ პრაქტიკულად ქსოვილიც არ სჭირდება!

* * *

ცოლი უხსნის ქმარს, შემთხვევით როგორ უღალატა ახალგაზრდა კაცთან:

— ის მოვიდა გამხდარი, ჭუჭყიანი, ჩამოფლეთილი, მშიერი... მე ნება მივეცი, ებანავა, ვასვი-ვაჭამე, მივეცი შენი ძველი ხალათი და კოსტიუმი... ის კი მეკითხება „თუ შეიძლება, მითხარით, რა გაქვთ კიდევ ისეთი, თქვენი ქმარი რომ ხმაროზსო?!

გამოვიდა რომანი „მშვენიერი გეიშა“. იკითხეთ „საუნჯეში“, „პარნასში“, სხვა მაღაზიებში.




## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.